619
1990/2

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

51

დროშა

ივლისი №7, 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოფლითა
შენითა
სჭამდე
პურსა
შენსაო

მაგულო, საყვარელო!

დროშა

№ 7 (402), ივლისი, 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

ნომერში:

ოთარ ქინქლაძე. პური ჩვენი არსოგისა.

ჯემალ მეხრიშვილი. ქართული ხორგალი.

შალვა კაკულია. ილია — ეგრაელთა ქომაგი.

კლიმენტ ელიზბარაშვილი. საკუთრება: უფლება და ფორმები.

მაია გელუტაშვილი. ეს ციცქნა ულუფა.

იპოლიტე გამსახურდია. ხვალ უკეთესი ამინდი იქნება.

ლია გუგუნავა. იმედის კოცონი.

ნუნუ კუპრეიშვილი. „ბერიკონის“ პრემიერა.

გოჩა საითიძე. აქედან იწყება სამშობლო.

გიორგი გელაშვილი. სასანგრე ნიჩაბი.

ჯონ სტეინბეკი. რუსული დღიური.

ჰენრი ფორდი. ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები.

ანტონ ჩეხოვი. ტრაგიკოსი.

კროსვორდი.

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ოთარ ქინქლაძე

პური ჩვენი არსობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური რომ ადამიანთა მოდგმის ფიზიკური არსებობის თავი და თავია, ამაზე არავინ, არსად და არასდროს არ კამათობს.

არც ის არის საკამათო, რომ ლაპარაკი „ხმელა პურზე“ არაა. პურს კაცმა რაღაც მაინც უნდა მიაჭამო. თუნდაც ყველი. შესაძლოა აქედანაც მოდის ქართულად ნათქვამი — საყველპურო. ხოლო, ყველი ხორცის პროდუქტია ისევე, როგორც რძე, კარაქი, ხაჭო და კიდევ ბევრი რამ სხვა.

ასეა თუ ისე, მაღალ იდეებსა და მატერიებზე უპუროდ ლაპარაკს არც ფასი აქვს და არც რაიმე მნიშვნელობა.

მანამდე კაცმა იმაზე უნდა იფიქრო, რომ პური ჩვენი არსობისა ჩვენივე მოსაყვანია და ჩვენვე უნდა მოვიხმაროთ, რამეთუ როცა პური სხვას მოყავს და შენ გაჭმევს, შენი არსებობაც იმ სხვაზე იქნება დამოკიდებული. იმაზე, ვინც გიგზავნის და გაჭმევს. მაგრამ, როცა პური ჩვენი არსობისა სხვაზეა დამოკიდებული, ჩვენ როგორღა ვიქნებით დამოუკიდებელი?

მართალი გითხრათ, მე ეს მთავარი საკითხი მაწუხებს მით უფრო, რომ მარტოოდენ სურვილიდან „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ არაფერი გამოვა, თუ თავად ჩვენ არ ვიზრუნეთ ამ სურვილის მატერიალიზებისათვის ახლა მაინც, ჩვენი ყოფისა და ცხოვრების ამ გარდატეხის ჟამს.

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!

მაშინ პურიც ჩვენი არსობისა ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს.

ესე იგი, ჩვენივე მოსაყვანია ეს პური ჩვენი არსობისა.

არადა, ამაზე არ ვზრუნავთ.

რეალური სინამდვილე ისეთია, რომ ქაღალდზე დაწერილისა და ეთერში გასროლილი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარდა ჯერ-ჯერობით პრაქტიკულად მაინც არაფერი გაგვიკეთებია საიმისოდ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.

როდემდე ვნაყოთ წყალი?

ჩემის აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობა არსებული სტრუქტურის რადიკალურ განახლებას მოითხოვს. შესაძლოა, უფრო მართებული იყოს იმის თქმა, რომ „გაძველებას“ მოითხოვს, ესე იგი იმის გათვალისწინებით განახლებას, როცა ჩვენი გონიერი წინაპარი მისთვის ბოძებულ მიწა-წყალს გაცილებით უფრო ყაირათიანად იყენებდა, ვიდრე ჩვენ, მისი მოდგმა და შთამომავალი.

იყო დრო, როცა ქართველ კაცს თავისი სამყოფი პურიც მოყავდა, სიმინდიც და ღომიც. ყოფნიდა მას თავისი ნაშრომ-ნაამაგარი, ვინაიდან იცოდა სად, რა და რამდენი მოეყვანა. ამიტომ ყოფნიდა.

ახლა?

ახლა ისეა ყველაფერი აბურდულ-დაბურდული, რომ კაცმა არ იცის რამდენი შეაქვს, მაგალითად, საქართველოს საკავშირო ფონდში და რამდენს ღებულობს იქიდან. ისეა არეული ქვეყნის საფინანსო, საგადასახადო და ფასების სისტემები, რომ არავინ უწყის, ვინ ვის არჩენს და ვის ვისი, ან რამდენი აქვს ვალი. მაგრამ ის მაინც კარგად არის ცნობილი, რომ პურიც შემოგვაქვს, ხორციც, კარაქიც და ყველიც. ესე იგი, ჩვენი სამყოფი არ გაგვაჩნია.

ზოგიერთი სხვა რამეც შემოგვაქვს, რაც ბევრმა არ იცის. ხოლო ვინც იცის, მიაჩნია, რომ ვერ გახდება საქართველო დამოუკიდებელი ამ უბრალო მიზეზის გამოო. ესე იგი, იმის გამოო, რომ საკუთარ თავს ვერ ირჩენს, ვერ გამოკვებავსო.

როგორ გეკადრებათ!

კარგადაც ირჩენს და გამოკვებავს კიდეც, მაგრამ არა ჩამოყალიბებული, არსებული სახალხო მეურნეობის, საერთოდ, ხოლო სოფლის მეურნეობის, კერძოდ, სტრუქტურის პირობებში, არამედ ახალი სტრუქტურისა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრების შემთხვევაში. მათ შორის ისეთებისა, რომლებიც კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკაზეა დაფუძნებული.

მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, თუ რატომ სხვამ ვერ გაიგო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ კერძო საკუთრების გარეშე ვერავითარი საბაზრო ეკონომიკა ვერ იარსებებს.

ამბობენ, ქართველმა ეკონომისტებმა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოდელის რამდენიმე ვარიანტი შეიმუშავესო. მათ შორის ისეთიც, რომელიც ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებშიც გამოდგებაო. კეთილი და პატიოსანი. მე ამის მაინცდამაინც არა მჯერა, მაგრამ თუ ეს მართლა ასეა, ნუთუ არ შეიძლება ამ ვარიაციული მოდელებიდან გამომდინარე თუნდაც ერთი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა, თუნდაც ერთი რომელიმე ვარაუდის რეალურად მოსინჯვა და მისი განხორციელება უკვე დღეს, ჩვენი მომავალი ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალიზების ნაწილობრივი გათვალისწინების თვალსაზრისით მაინც?

მე ეს მით უფრო საშურ საქმედ მიმაჩნია, რომ ვეჭვობ, შევძლოთ ჩვენი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ჩაფიქრებულ და ქაღალდზე აღბეჭდილ მოდელზე ერთბაშად გადასვლა.

და აი, რატომ.

ამას წინათ ტყიბულის ზონის სოფელ ცუცხვათის მშრომელთა საერთო კრებას ერთსულოვნად გადაუწყვეტია გლეხურ მეურნეობაზე, ესე იგი კერძო საკუთრებაზე, გადასვლა, კოლმეურნეობის გაუქმება და „გლეხთა კავშირის“ შექმნა, მაგრამ ცხოვრებითა და საღი გონებით ნაკარნახევი ეს გადაწყვეტილება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს არ დაუმტკიცებია.

ვის რად უნდა და რაში სჭირდება ასეთი აღმასკომი ან რატომ არ მოიწვიეს სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელიც, მოსალოდნელია, გლეხობის სურვილსაც დაუჭერდა მხარს და ასეთ აღმასკომსაც გადაირჩევდა. არც „საქაგრომრეწვის“ უზარმაზარი აპარატი აღმოჩენილა მოწოდების სიმაღლეზე და ასეთი კადრებით ძნელია კაცმა რაიმე სასიკეთო ძვრების იმედი იქონიო.

არადა, ასეთი და უკვე სადღეისო ძვრების გარეშე ვერ ვიქნებით სახვალიოდ მზად. ისე, როგორც სასურველია და საჭიროც.

ნუთუ, აღარავის არ უნდა გაგვახსენდეს, როცა კალუგიდან ან ბოლობანოვოდან გამოგზავნილ ასანთს გავკრავთ გაზის ქურის ასანთებად, რომ მცხეთის ასანთის ფაბრიკა კარგა ხანია დაიწვა, ხოლო მთელ საქართველოში ერთი ასეთი ფაბრიკაც კი არა გვაქვს. კი, მაგრამ, რომ აღარ გამოგვიგზავნონ ეს ასანთი რუსეთიდან, რა ვქნათ მაშინ? ხომ უნდა დაფიქრდეს ვინმე ამაზე და როცა დაფიქრდება, ააშენოს ასეთი საწარმო. ვინ გვიშლის ამაში ხელს? რატომ არ შეიძლება უკვე გვქონდეს ასეთი ფაბრიკა? და კიდევ ზოგიერთი რამ, რის გაკეთებაც ჩვენ თითონ შეგვიძლია სხვისი დახმარების გარეშე და დამოუკიდებლადაც.

ის, რაც დღეს არის გასაკეთებელი, რის გაკეთებაც უკვე დღეს შეიძლება, დღესვე უნდა გაკეთდეს.

მე რომ საქმეს ვაკვირდები და თვალს ლიტვის უკვე გამოცხადებული დამოუკიდებლობის გაჭიანურებულ პროცესს ვადევნებ, უმალ საკუთარი ფეხით გასავლელი დამღლელი გზა მახსენდება და ჩაფიქრებული ჩამოვჯდები.

საფიქრალს კი ეგრეთწოდებული „საკავშირო დაქვემდებარების“ ფაბრიკა-ქარხნები, მოსკოვისა თუ რუსეთის სხვა ქალაქების ადგილობრივი ფილიალები, შორეთიდან მისაღები ნედლეული და კიდევ ათასი სხვა ისეთი რამ აღმიძრავს, რის გამოც სხვისაგან ვართ დამოკიდებული. გამოგიგზავნის კარგია, არ იზამს სიკეთეს და, რას შვები მერე?

ესეც ხომ პურია ჩვენი არსობისა.

ჩვენ კი ისეთი „პური“ უნდა გამოვაცხოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, რომელიც სხვას არა აქვს და თან ისეთი ხარისხის, რომ მას გასაღების ბაზარი ექნეს.

არ არის ეს იოლი საქმე.

და მით უფრო ძნელი იქნება, თუ ჩვენ ვერ ვისწავლეთ ჩვენივე ბუნებრივი სიმდიდრისაგან ისეთი და იმ სახის პროდუქციის დამზადება, რომელსაც კონკურენტი არ ეყოლება არც ჩვენთვის კარგად ნაცნობ „შინაურ“ და არც მსოფლიო ბაზარზე.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილოები.

ქართულ ჩაის, მისი დღევანდელი სახით მაინც, მსოფლიო ბაზარზე მომხმარებელი არ ეყოლება. არც ზოგიერთ სხვა რამეს, ჩვენ რომ დიდი რამე გვგონია. ამიტომაც არ გვინდა აჩქარება და ახალი საიმედო მომხმარებლის პოვნამდე, ძველებთან კავშირის გაწყვეტა. ჩვენ, ჯერ-ჯერობით მაინც, სხვას ვერავის დავაინტერესებთ და ვერც ჩვენი ნახელავით გავაკვირვებთ. ამის გაუთვალისწინებლობა დიდი ცოდვაა და, მე რომ კაცმა მკითხოს, არა მარტო სხვისი, არამედ საკუთარი თავის უპატივცემულობაც.

არავინ გაიღებს შენთვის მოწყალებას და ნურც გავიხდით სამოწყალოდ თავს. სირცხვილია ეს და ეროვნული თვითშეგნების დამაკნინებელი.

არ ყოფილა ქართველი კაცი მათხოვარი და ნუ ვიზამთ საძრახ საქმეს.

ილია:

— ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარი სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი?

მგონი, რომ არა. არც ახლა არა.

ბოლო აღარ უჩანს ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატაცებისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღმაშფოთებელ ფაქტებს. სამოქალაქო მშენებლობისათვის ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 25,4 ათასი ჰექტარი მიწა გაიცა. მათ შორის სათიბებიც. ვის მისცეს? ავტომაღაზიებს და ავტომომსახურების ობიექტებს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის კომბინატებს, სავაჭრო საწყობებს და, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც კი მოისურვა და არც „ვალში“ დარჩენილა.

ქართულ მიწას რომ განსაკუთრებული მონდომებით სხვები ეპატრონებოდნენ და დაეპატრონენ კიდეც, ახლა ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველო, და ისიც, რომ საქმეს, ჯერ-ჯერობით მაინც, რაიმე არსებითი გაუმჯობესება არ დასტყობია.

თავად განსაჯეთ.

ოფიციალური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, 626 ჰექტარი მიწის ფართობია მითვისებული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელთა არც თუ უანგარო წაყრუებით. ცნობილია რაიონები, სადაც გამოვლინდა მიწის ფართობების მიტაცებისა და მითვისების დანაშაულებრივი ფაქტები, ცნობილია მიმტაცებელთა ვინაობა და მათი ხელმეწყობნიც. და რა მერე? არაფერი. გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, და სხვაგანაც, ფარულად იყიდება არაქართველებზე ქართველი მოსახლეობის სახლები. ეს ცნობები უკვე 1987 წლიდან აქვთ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მაგრამ შედეგი არა და არა ჩანს. უძლური აღმოჩნდა ხელისუფლება, დაებრუნებინა კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურეში „მოსულების“ მიერ მითვისებული მიწები და აეღოთ უნებართვოდ აშენებული სახლები. მიზეზი? სხვისი მიწა-წყლის მიმტაცებლები არ ეთანხმებიანო სახალხო სასამართლოს განაჩენს.

მახლას!

აბა, საიდან და როგორ პური ჩვენი არსობისა?

ქართველ კაცს მიწა აღარ დარჩა.

რაც დარჩა, აღარც იმაზე უნდა იმუშაოს იმიტომ, რომ არც ეს დარჩენილი მიწაა მისი.

კარგი ცხოვრება კი ყველას გვინდა, რამეთუ მუცელი და გულთა-თქმა გაგვიხდია ბატონად.

მე მაინც მგონია, რომ მიწის შესახებ კანონს, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ, რეალურ სინამდვილესთან შესაბამისობაში უნდა მოყვანა, რათა აღმოიფხვრას ხელსაყრელი პირობები ნებისმიერ დარღვევათა და დამახინჯებათათვის. როცა თავად კანონია მახინჯი, მათ შორის გარდაქმნის ამ წლებშიც მიღებული, მისი კიდევ უფრო დამახინჯება უკვე აღარაა მთლად ძნელი საქმე. მთავარი მიზეზი იმისა, რომ კანონი არ მუშაობს და არც იმუშავებს, მის სიმახინჯეშია საძებარი. მაგრამ, არსებობს სხვა მიზეზებიც, რომლებიც კანონისადმი პატივისცემის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი.

ეს იმაზეა ნათქვამი, რაც ადამიანის სულიერი ცხოვრების სამყაროს განეკუთვნება.

მე ამ შემთხვევაში, ქართული ხასიათის ფენომენი მაინტერესებს მის ტრადიციულ და თანამედროვე ასპექტში. ესე იგი, უფრო ის და კონკრეტულადაც ის, რაც ჩვენს ყოფასა და ცხოვრებაში შემოიჭრა, რამაც შებღალა ქართული ხასიათი, შეურაცხყო იგი და გადაგვარების გზაზე დააყენა.

ჩვენი თავგზაბნეული უბედურება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

დიახ, 1801 წელი.

ამ დროიდან მოყოლებული ვიბრძვით ჩვენ საკუთარი მეობის დასაცავად და, ამავე დროს, ვებრძვით საკუთარ თავსაც ამ მეობის შენარჩუნებისათვის.

ბევრი რამ შევინარჩუნეთ, შესაძლოა უმთავრესიც, მაგრამ ყველაფერი ვერა.

დიდი და მრავალფეროვანი ასორტიმენტის აღმოჩნდა რუსული „იმპორტი“.

მაგალითად:

ქრთამი — თანამდებობის პირისათვის მოსასყიდად მირთმეული ძღვენი ან ფული. საჩუქარი, გასამრჯელო საქმის გარიგების ან რაიმე სამსახურის გაწევისათვის.

აგრეთვე.

კორუფცია. ესე იგი, მექრთამეობა, მოსყიდულობა-თანამდებობის პირთა.

და კიდევ.

თვითნებობა ანუ რუსულად „პროიზვოლ“.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ქართულ ყოფასა და ცხოვრებაში რუსეთის იმპერიიდან შემოტანილი ეს მოვლენები იმთავითვე მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს და ახლაც აწევს.

ყველაფერი თავისთავად მოხდა და კანონზომიერადაც, რამეთუ ყოველივე ეს იმდროინდელი რუსეთისათვის დამახასიათებელი და საკმაოდ ფესვგამდგარი მოვლენები ყოფილა. საუკუნიდან საუკუნეში რომ გადადიოდა, ისეთი.

მე არ მითქვამს ეს.

ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ამოვიკითხე, რუს რევოლუციონერ დემოკრატთან: უხსოვარი დროიდანო, უწერია მას, თვით რიურიკიდან ვიდრე ჩვენს დღეებამდე, ჩვენი რუსეთი მდიდარიაო მექრთამეებით. მანვე განმიმარტა, რომ ქრთამს წარმოშობსო თვითნებობა, უუფლებობა და ცენტრალიზაცია. ესე იგი თვით საზოგადოებრივი წყობილების ორგანიზაციაო. ამიტომაც ყოფილა შეუძლებელი, რასაც ისტორიული გამოცდილებაც გვიდასტურებს, გამარჯვება ქრთამსა და კორუფციაზე მარტოოდენ დამსჯელი მეთოდებით.

თურმე ამაშიც სცდებოდა ვ. ი. ლენინი, როცა ფიქრობდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შობილი ისევ და ისევ ცენტრალიზებული, თვითნებობისა და ხალხის უუფლებობაზე დამყარებული ძველი იმპერიის იერშეცვლილი სისტემა მოერეოდა და დაამარცხებდა მექრთამეობასაც, კორუფციასაც, თვითნებობასაც და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ვითარებაში კიდევ უფრო გავრცელებულ სხვა მანკიერებებს.

ვერ მოერია.

ვ. ი. ლენინი მის მიერვე შობილი დამთრგუნველი სისტემის უძლური მძევალი აღმოჩნდა.

ასეა ეს.

დრომ და ისტორიულმა ბედუკუღმართობამ თავისი ჰქმნა. ჩვენს ყოფასა და ცხოვრებაში შემოიჭრა ქართული ხასიათისათვის მანამდე უცხო ბევრი ისეთი რამ, რომელიც ახლა ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ შემოიჭრა, დაბინავდა და დამკვიდრდა კიდეც.

ნ. გ. ჩერნიშევსკი იმაშიც მართალი იყო, როცა გაგვენდო, რომ რუსებს ყველაფერში შეგვაქვსო თვითნებობის იდეა. იცოდა თავად რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა თავისი ერის თვისება და ხასიათი.

კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

ვარ თუ არა, ახლა ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ფაქტი ფაქტად რჩება. მეც ბევრი რამ გადამედო ჩემთვის უცხო და მიუღებელი. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იმპერიული ძალების წინააღმდეგ როცა გამოვდივარ, ვგმობ მათ და სამარცხვინო ბოძზე ვაკრავ, თავად უნდა ვეცადო, განვთავისუფლდე ყოველივე იმისაგან, რაც თავს მომახვიეს.

ახლა ყველას პირზე გვაკერია ეთნოკრიზისი. ვწერთ, ვლაპარაკობთ, ვღელავთ და ვცდილობთ, გამოსავალი ვიპოვოთ. ხოლო ამ მძიმე ვითარებაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 1987 წლის 10 თებერვალს ღებულობს დადგენილებას, რომელიც რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოდ მიიღონ მოქალაქეები თბილისში ჩაწერისა და ფართობის უფლების გარეშე არა მარტო დედაქალაქის მოსაზღვრე რაიონებიდან, ესე იგი სოფლებიდან, არამედ რესპუბლიკის გარედანაც.

და ღებულობენ.

იმიტომ რომ, ეს დადგენილება არ გაუქმებულა და დღესაც ძალაშია.

ჩვენივე ხელით ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ახლა უკვე ისე ვზივართ, რომ თავს ძლივსღა ვიმაგრებთ.

ერთი ხელით ვწერთ და ვქადაგებთ, რომ სოფელი დაიცალა, შველა უნდაო, ხოლო მეორეთი — ვინც გინდათ და რამდენიც გინდათ ჩამოიყვანეთ ჩვენივე სოფლებიდან და საქართველოს გარედანაცო.

კი, მაგრამ რას ვშვებით, რას ვაკეთებთ?

არა მგონია, მართებული იყოს, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მტკივნეული საკითხი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყურადღების მიღმა რჩება.

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დამოუკიდებლობის პირობებში ცხოვრებისათვის ჩვენ გვჭირდება არა მარტო პური ჩვენი არსობისა, არამედ შეგნება და აღიარება იმისაც, რომ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი.

ჟურნალი ბორბალი

„ჩაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

„ჩვენთან არს ღმერთი “

დღეს ქართველისთვის ამ ორ ფრაზაზე უფრო მაგიური და საოცნებო სხვა არა არსებობს რა. ამ მოწოდებებით იწყება და მთავრდება სტატიები, წერილები, ორატორთა გამოსვლები, ღვთისმსახურება. ეს სიტყვები გრგვინავენ მიტინგებზე და ელვარებენ ტრანსპარანტებზე.

მართლაც წაიკითხავთ მავანის სტატიას, დემონსტრაციებზე გულის ძგერით შეხედავთ ერთსულოვნად დარაზმულ თანამემულეთა ურყევ კოლონებს და გეჯერებათ: მთელი ერი გარდაქმნილა და ხელახლა დაბადებულა, გაწმენდილა ყოველივე ძველი ნაკლისაგან და მორჩა, ახლა კი მთებს შევძრავთო!

მაგრამ აი, ყოველდღიურ ცხოვრებაში პირისპირ შეეჩეხებით ჩვენი სიზარმაცის, გაუტანლობის, უყაირათობის, მფლანგველობისა თუ უდარდელ-უზრუნველობის საქვეყნოდ ცნობილ მაგალითებს და წეღანდელ ზეაწეულ რწმენასა და აღფრთოვანებას ახლა ეჭვი ეწაცვლება: ღმერთო ჩემო, ეს რა ვნახე, ან წავიკითხე. ნუთუ ასე ვაპირებთ დამოუკიდებლობის მიღწევასა და შენარჩუნებასო.

აი, მაგალითად, გაზეთში გამოჩნდება ინფორმაცია — რესპუბლიკა ყოველ დღეღამე ამდენ გამომცხვარ პურს ყრისო და რაკი უმალ პაექრობა-ურჩობის სურვილით იმსჭვალები, კითხვაცა და ეჭვიც ერთდროულად გებადებათ: ჩვენ, ვინც ყოველ დღე ტონობით პურს ვყრით სანაგვეზე, რა უფლებითა და პირით გავიძახით — „ჩვენთან არს ღმერთი!“ და ამ კრიტიკულ წუთში გეჩვენებათ, რომ ღმერთი ჩვენთან კი არ არის, არამედ ღმერთს ჩვენთან მოსვლა და ყოფნა სურს, ჩვენ კი — ღმერთგამწყრალები, ყოყოჩები, უანგარიშონი, უყაირათონი, ღმერთს ყურს არ ვუგდებთ და ყველაფერს ისევ ძველებურად განვაგრძობთ.

არავინ იფიქროს ემოციების ტყვეობაში ვიყო. ემოცია კი არა, სტატისტიკა მალაპარაკებს. ზოგჯერ სასტიკი სტატისტიკა კი ყოველგვარ ემოციაზე უფრო ემოციურად მოქმედებს ადამიანზე. ჰოდა, როგორც სტატისტიკა გვეუბნება, სამი სულისაგან შემდგარი ოჯახი ყოველდღიურად 100 გრამ პურის ნარჩენებს ყრის. გამოდის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის წყალობით ყოველ დღე სანაგვეზე ხვდება 200 ტონამდე გამომცხვარი პური. თბილისში ეს დანაკარგები თურმე 50-55 ტონას შეადგენს!!! თანაც აქ ლაპარაკია მხოლოდ ოჯახებზე და არაფერია ნათქვამი საზკვების უთვალავ ობიექტებზე, სადაც პურის ნარჩენების ბორცვები აღიმართება ხოლმე. თუ ამას მივუმატებთ კერძო კოოპერატივებსა და კერძო პურსაცხობებში დაგროვებულ ნარჩენებსაც, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა სავალალო დონეზეა ჩვენთან პურის მოხმარების კულტურა. თანაც რა დროს?!

როგორც პირუთვნელი სტატისტიკა ირწმუნება, ერთი დასავლეთევროპელი წელიწადში საშუალოდ მიირთმევს 50-60 კილოგრამ პურს. კავშირში ეს მაჩვენებელი 135-ია, ესტონეთში — 93. ჩვენ? აბა, რაღა ბიჭობა იქნება, თუ ქვეყნიერება არ გავაოცეთ — 195 კილოგრამი! სხვამ თუ არა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ აქედან თითქმის ნახევარი უაზროდ იყრება! აბა, რაღა ვთქვათ, რით გავახაროთ ერთმანეთი? ჩვენთან არს ღმერთი?!

დღეს საქართველოში ალბათ არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ჯიბეში ედოს მზა რეცეპტი — ზუსტად როდისა და რა ფორმით მოხდება ამ უზარმაზარი იმპერიის დეკოლონიზაცია. არ არის გამორიცხული, ცამოწმენდილზე ლიტველთა, ანდა უფრო უარეს დღეში აღმოვჩნდეთ. რა ვქნათ მაშინ? ვინმე ილუზიაყოლილს ნუ ეგონება, რომ ასეთ შემთხვევაში აღფრთოვანებული დასავლეთიდან ხორბლით დატვირთული გემები და ეშელონები უწყვეტ ნაკადად გამოეშურებიან საქართველოსკენ. ლიტვის მაგალითი ცხადყოფს, დასავლეთი მსგავს შემთხვევებში ხელმძღვანელობს ცივი გონებითა და უფრო შორს გამიზნული დინჯი მოსაზრებებით და არა მომიტინგე გულფანცქალა ყმაწვილის ემოციებით. ერთი სიტყვით, პირველ რიგში მხოლოდ საკუთარი თავისა და ბაზის იმედზე უნდა ვიყოთ. სამწუხაროდ, მოსახლეობის ფართო ფენას, რომელიც ასე აბუჩად იგდებს პურს, მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ გააჩნია პურთან დაკავშირებულ რთულ პრობლემატიკაზე.

— პრობლემები მართლაც სერიოზულია, — ამბობს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მარცვლეულის მეურნეობისა დაა ზეთოვანი კულტურების წარმოების ინტენსიფიკაციის განყოფილების უფროსი ზურაბ ცქიტიშვილი, — ამჟამად რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ვაწარმოებთ მხოლოდ 120 კილოგრამ მარცვლეულს, მაშინ, როდესაც მარტო პურისა და პურპროდუქტების სულადობრივი მოხმარება ჩვენში ლამის ორას კილოგრამს უახლოვდება, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 135-ისა. სულ დოტაციის ჩათვლით ერთ სულზე მოდის 450 კილოგრამი, მაგრამ არც ეს კმარა, ვინაიდან ცივილიზებულ მსოფლიოში ოპტიმალურ მაჩვენებლად ერთ სულზე ითვლება ერთი ტონა მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება.

— საინტერესოა, საერთოდ რამდენ მარცვლეულს ვაწარმოებთ, რამდენი გვჭირდება და რამდენი შემოგვაქვს?

— ყოველწლიურად რესპუბლიკა საშუალოდ აწარმოებს 530-540 ათას ტონა მარცვლეულს. ხოლო უფრო ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ცოტა მეტს. მაგალითად, 1988 წელს მივიღეთ 714 ათასი ტონა. ოპტიმალური ვარიანტის მიხედვით კი საქართველოს ყოველწლიურად ესაჭიროება 4,5-5 მილიონი ტონა მარცვლეული. მაგრამ ამდენს არავინ გვაძლევს და რესპუბლიკაში ფაქტიურად შემოდის დაახლოებით მილიონ რვაასი, მილიონ ცხრაასი ათასი ტონა. ასე რომ, რაკი გამომცხვარ პურს უსულგულოდ ვეპყრობით და განუკითხავად გაგვაქვს სანაგვეზე, ნურავის შეექმნება ყალბი წარმოდგენა, თითქოს ჩვენ მარცვლეული თავზე საყრელი გვქონდეს და ამ კუთხით ყველა პრობლემა მოგვარებული იყოს. არა! როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, ჩვენ ყოველწლიურად საშუალოდ 2-3 მილიონი ტონა მარცვლეული გვაკლდება! ჰოდა, პირდაპირ განსაცვიფრებელი პარადოქსი იქმნება: ერთი მხრივ მარცვლეულის ასეთი დეფიციტი, მეორე მხრივ გაუგონარი უყაირათო დამოკიდებულება პურისადმი. არ ვიცი, პირდაპირ გაუგებარია!...

— საერთოდ, ოოგორი სურათი და ტენდენციებია მარცვლეულის წარმოებაში?

— აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შემდეგი: მარცვლეულის ნათესი ფართობებიდან სარწყავს უჭირავს მხოლოდ 20 პროცენტი, დანარჩენი კი ეგრეთ წოდებულ სარისკო მიწათმოქმედების ზონაშია. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ფაქტობრივად კლიმატური კაპრიზების ტყვეობაში ვართ. ამის მკაფიო მაგალითად ბოლო ორი წელიც კმარა.

1988 წელს, როცა ხელსაყრელი ამინდები იყო, მაგალითად, წითელწყაროს რაიონმა მარცვლეულის არნახული მოსავალი მიიღო — 93 ათასი ტონა! შარშან? შარშან კი გვალვებმა გადაგვბუგა და ამავე რაიონში ძლივს აწარმოეს რაღაც 12 ათასი ტონა. საჭიროა კომენტარი?

ახლა რაც შეეხება ნათეს ფართობებს. 1944 წელს მარცვლეულს ეკავა 749 ათასი ჰექტარი. 1953 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და რეკორდულ ზღვარს მიაღწია — 771 ათასი! დღეს? დღეს საზოგადოებრივ მეურნეობებში მემარცვლეობას 215 ათასი ჰექტარიღა უკავია!

— აბა, რამ წაიღო დანარჩენი ფართობი?

— 1944 წელს საკვები კულტურის ნათესებს ეჭირა 36 ათასი, დღეს კი უკავია 350 ათასი ჰექტარი. აი, რამ წაიღო! ამას მიუმატეთ მებოსტნეობა, მებაღეობა, ვენახები, ჩაი, ეროზია და... ზოგიერთი მუშაკი ამასაც კი გაიძახის: რაკი მარცვლეული იაფია, ყურძენი და სხვა კულტურები კი ძვირი, მემარცვლეობის ფართობები

კიდევ უფრო შევამციროთ და მრავალწლიანი ნარგავების ფართობები გავზარდოთო. პირდაპირ გულსატკენია ასეთი პოზიცია. ჯერ ერთი, ამ ცვალებად პოლიტიკურ სიტუაციაში მოულოდნელად ალყაბლოკადაში რომ აღმოვჩნდეთ, თავი რით გავიტანოთ — მარტო ხილი, ციტრუსი და ღვინო გვიშველის? თუგინდ ამასაც თავი დავანებოთ: ვინ იძლევა გარანტიას, რომ ამ კულტურების წარმოების ჩვენებური ტექნოლოგია და პროდუქციის ხარისხი უცებ ისეთ დონეს მიაღწევს, რომ პირდაპირ ხელიდან დაგვტაცებენ?

— რა ამოცანები და მიმართულებებია დასახული მემინდვრეობაში?

— ამოცანა ასეთია: ახლო მომავალში ყოველწლიურად ვაწარმოოთ მილიონ ტონამდე მარცვლეული. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში სარწყავი მიწების ჭეშმარიტი ინვენტარიზაციის ჩატარება და მათი ეფექტურობის ამაღლება, დეგრადირებული ფართობების აღდგენა, ახალი მიწების გაწმენდა და ათვისება, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის გადიდება. ბოლოს და ბოლოს კოლხეთის ჭაობების დაშრობამაც უნდა გამოიღოს ნაყოფი: 2 010 წლისთვის იქ ალბათ დამატებით 70 ათას ჰექტრამდე ფართობს დაამრობენ, საიდანაც 20-25 ათასი ჰექტარი სიმინდისა და სოიის ნათესებს დაეთმობა.

— ბატონო ზურაბ, სიმინდი ჩვენი, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული საკვები იყო და რჩება. საინტერესოა, რა დღეშია ამჟამად ეს კულტურა?

— სურათი არცთუ სასიხარულოა. სიმინდის რეკორდული მოსავალი მივიღეთ 1950 წელს — 505 ათასი ტონა. მაშინ საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი 13 ცენტნერს არ აღემატებოდა. დღეს ეს ციფრი 26-27 ცენტნერამდე გავზარდეთ, ხოლო აგერ აბაშის რაიონში ყოველწლიურად 40-50 ცენტნერს იწევენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ რეკორდულ მაჩვენებელს ვეღარ მივახლოვებივართ — შედარებით უხვმოსავლიან, 1987 წელს ვაწარმოეთ 337 ათასი, შარშან კი 286 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი. მიზეზი? ნათესი ფართობი 390 ათასი ჰექტრიდან 110 ათას ჰექტრამდე შემცირდა! არადა, სიმინდსა და მის პროდუქტებზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება როგორც მოსახლეობაში, ისე მეცხოველეობაში. ამიტომ აქ ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს კოლხეთის ჭაობნარიდან ათვისებული ფართობები, რაც წეღან ვახსენეთ.

— რა წინააღმდეგობები ეღობება რესპუბლიკაში მემარცვლეობის წარმოებაგანვითარებას?

— ძალიან ბევრი! მემარცვლეობა დღეს-დღეობით ნაკლებეფექტიანი დარგია, ვინაიდან წარმოუდგენლად იზრდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწვავ-საცხების ღირებულება.

კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას. მე პირადად მომხრე ვარ, რომ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც მტკიცედ დგანან ფეხზე და მარცვლეულის მაღალი მოსავალი მოჰყავთ, ხელუხლებლად დავტოვოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ის ფორმები, როგორიც დღევანდლამდე იყო. ზოგიერთი მეურნეობის პირობებში კი იჯარამ ნამდვილად დიდი სიკეთე მოიტანა. ხოლო ცალკეული რაიონებისა და მეურნეობების სპეციფიკა და ბუნებრივ-რელიეფური პირობები ისეთია, რომ, ჩემი აზრით, გლეხს თუ ვაძლევთ მიწას, მაშინ სამუდამო და მემკვიდრეობითი მფლობელობის უფლებით უნდა გადავცეთ, თორემ ათი, ოცი, ოცდაათი წლით მიწის თხოვება ზიანის მეტს არაფერს მოუტანს საქართველოს!

— რატომ?

— რაკი გლეხი ხედავს, რომ მას არ ენდობიან და მიწა გადაეცა არა სამუდამოდ, არამედ დროებით, მაშინ ის ისე არ იზრუნებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისა თუ ამაღლებისათვის, როგორც მას ესაჭიროება. ეს კი მარჩენალ მიწას გამოფიტავს, გააპარტახებს, დააკნინებს, მოსპობს! რას იზამ, ასეთია სოციალური დიალექტიკა და გლეხის ფსიქოლოგია. ამიტომ რიგ მთისა და მთიანი ზონის რაიონებში მიწა გლეხს უეჭველად მუდმივ მფლობელობაში უნდა გადაეცეს, რათა თავისად დაიგულოს და შეიყვაროს, მოუაროს, მიეფეროს, როცა საჭიროა, დაასვენოს, შეიტანოს ორგანული სასუქი.

სიღნაღის რაიონი მემარცვლეობის ერთ-ერთი წამყვანი და ტრადიციული რაიონია. 1988 წლის უხვმოსავლიანობისას აქ 47 ათასი ტონა აწარმოეს. ოღონდ ეგაა, ვერც ამ რაიონის სამარცვლე ფართობები გადაურჩა შეკვეცა-შევიწროებას: თუ 1976 წელს ოცი ათასი ჰექტარი იყო, აქედან სამი ათასი ჰექტარი უკვე საკვებმა კულტურებმა და ვენახებმა მიითვისეს. მიუხედავად ამისა, სამარცვლე მეურნეობის განვითარების რესპუბლიკური კონცეფციის პროექტის მიხედვით 1995 წლისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოებამ მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს. აქედან სიღნაღის რაიონზე 65 000 ტონა მოდის.

— ჩვენ ამ პროექტს არ ვეთანხმებით, რადგან არარეალურია, — გადაჭრით ამბობს სიღნაღის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი რობიზონ ხუნაშვილი, — ამიტომ ჩვენ საპასუხო პროგრამა შევიმუშავეთ.

— რას ითვალისწინებს თქვენი პროგრამა?

— იგი მოკლედ ასე გამოიყურება. ნათესი კულტურების ფართობი როგორმე უნდა გავზარდოთ ათასი-ათასხუთასი ჰექტარით. თუ ცოტა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობასაც ავამაღლებთ, მაშინ ყოვლად რეალური იქნება, რომ ყოველწლიურად მივიღოთ 52 ათასი ტონა მარცვლეული და არა 65 ათასი, როგორც ამას ხელოვნურად გვიგეგმავენ ზევიდან. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ესეც კი გაგვიჭირდეს, ვინაიდან რაც დრო გადის, მით უფრო მეტად გვეშლება ხელი.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— თუნდაც იჯარით დავიწყოთ. მართალია, მოიჯარეები ჩვენშიც არიან, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, ყველაფერი განსაზღვრული და დადგენილი რომ იყოს! მაგრამ დღესაც არ არის შემუშავებული იჯარის ერთიანი მტკიცე და ნათელი კანონი. ამიტომ კოლმეურნეობებში მოქმედი თითოეული მოიჯარე სულ სხვადასხვანაირი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს. მოკლედ, ყველა ხელმძღვანელობს კონკრეტული პირობების, თავისი მოსაზრების, ეშმაკობის, ვარაუდის, სიფრთხილისა და გაბედულების მიხედვით. ვერც გაამტყუნებ — არ არსებობს ერთიანი კანონი და!

— ამ ტექნიკაზე რატომ არაფერს იტყვით? — საუბარში ჩაერია მაღაროელი მოიჯარე ამირან ყანდაშვილი, — ქვეყანაში რა გაზრდის მარცვლეულის წარმოებას, როცა სახელმწიფო პირდაპირ ტყავს გვაძრობს ყველანაირად. რაღა შორს წავიდეთ: აი, ეს ტრაქტორი „კ-700“ ხუთი წლის წინ 16 ათასი მანეთი ღირდა. მერე ფასი უჩხირკედელავეს, მარკა შეუცვალეს და ახლა 24 ათასი მანეთი დაადეს! აქვს კი რამე ამის საღირალი? ან ერთი ვიცოდე, სინამდვილეში რა უჯდება მისი წარმოება სახელმწიფოს?

— ტრაქტორს თავი დაანებე, ამირან, — შეეპასუხა მეორე მექანიზატორი შალვა ბაიდოშვილი, — ისევ მარცვლს მივუტრიალდეთ. სახელმწიფო ჩვენგან კილოგრამს 13 კაპიკად ყიდულობს, მერე კი, მაგალითად, კომბინირებულ საკვებს, 18-24 კაპიკად გვასყიდებს. სად არის სამართალი? თვითონ ყოველწლიურად ასერიგად რომ მიძვირებს თავის ტექნიკასა და საწვავ-საცხებს, მაშინ შესაბამისად ჩემს მიერ ტანჯვით მოყვანილ ხორბალსაც აუწიოს ფასი...

— კაცო, იმან რატომ უნდა აუწიოს?! — სიტყვა წაართვა ცეზარ მილაშვილმა, — მე დამაწესებინოს... სადაც სამართალია, ჩემს მიერ მოწეულ ჭირნახულზე მე უნდა ვაწესებდე ფასს. ის თავის ტრაქტორსა თუ სათესელას ფასს რომ ადებს ან უმატებს, მე მეკითხება, მითანხმდება? მაშინ ჩემს ხორბალზე კიდევ მე თვითონ დამადებინოს ფასი და მერე ვივაჭროთ!

— სწორეს იძახიან ეს მექანიზატორები, — შენიშნა რობიზონ ხუნაშვილმა, — აბა, რანაირად დაინტერესდება მემინდვრე და გაიზრდება მარცვლეულის წარმოება, როცა ამ სფეროში სახელმწიფო ბატონობს განუკითხავად და ყველაფერს ის ადებს ფასს: მარცვალსაც, მარცვლეულის ნაწარმსაც, მანქანა-იარაღებსაც, საწვავ-საცხებსაც, მარაგნაწილებსაც — მოკლედ, ყველაფერს!

— აი, რა მძიმე დღეში ვართ და როგორი მწარეა ჩვენი ოფლით მოყვანილი პური, რომელსაც მერე ზოგიერთი თურმე სანაგვეზე ყრის, — ამოიოხრა ბოდბისხეველმა მემინდვრემ ნოდარ ნასყიდაშვილმა. — დღეს ყველა გაიძახის — ჩვენთან არს ღმერთიო! სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენ, სოფლის მარჩენლები, სახელმწიფომაცა და ღმერთმაც რომ მიგვივიწყა, ეს ცხადია! მოგებული რომ დარჩეს, სახელმწიფო თავის ტექნიკას მამასისხლად გვასყიდებს, ჩვენი ოფლით მოყვანილ ჭირნახულში კი კაპიკებს გვიხდის. მართალია, იგი ამით ერთგვარ მოგებას ნახულობს, მაგრამ ეს მოგება მოჩვენებითი და უსარგებლოა, ვინაიდან რაკი დაინტერესება არ არის და ვერ ვაწარმოებთ საჭირო რაოდენობის მარცვლეულს, იგი იძულებულია, უცხოეთში შეისყიდოს ასეულ მილიონობით ტონა. თანაც დაძონძილ მანეთებზე კი არა, სუფთა ოქროთი!

— ჰოდა, რაც იქ ოქრო ეფლანგება, — დაასკვნა ვალიკო პავლიაშვილმა, — იმის ნახევრის ნახევარი მემინდვრეობას რომ მოახმაროს, მაშინ ხომ აღარც ყიდვა დასჭირდებოდა.

— ყიდვაო? — გაოცდა ამირან ყანდაშვილი, — ვალიკო, ყიდვა კი არა, იმდენს მოვიყვანდით, გარეთაც გავიტანდით!!!

— პირდაპირ გასაკვირია, — მწარედ ჩაეცინა შალვა ბაიდოშვილს, — ამას ჩვენ, სოფლის უსწავლელი მემინდვრეები რომ ვხედებით, ნუთუ იქ, ზევით ეს ვერ გაუგიათ?

ყველამ მხრები აიჩეჩა, ერთმანეთს მდუმარედ გადახედეს და დამნაშავესავით ჩაქინდრეს თავი.

ჯემალ მეხრიშვილი

19.316
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია — ებრაელთა ქომაგი

ქართველი ერის უკვდავ შვილთა შორის ელვარებს დიდი მოაზროვნის, პოეტისა და ისტორიკოსის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, მწერლისა და პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის სახელი. თავისი რენესანსული მოღვაწეობით მან ჰუმანისტური როლი შეასრულა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, შეიმუშავა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი იდეოლოგია, რომლის პროგრამული მოთხოვნის პროლოგი იყო: თავისუფლება ერისა და თავისუფლება შრომისა.

თავისი ერის ფიქრთა მპყრობელსა და დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ არასოდეს დაივიწყებდა გაჭირვებასა და მონობაში ჩავარდნილ თავის ქვეყანას, რომელიც მას სხვა ქვეყნებს ერჩია, თუნდაც ისეთებს, რომლებისთვისაც უცხოა მონობა. ილია კარგად ერკვეოდა საერთაშორისო მდგომარეობაში და განსაკუთრებით იცავდა პატარა ერების ინტერესებს. ამასთან ერთად იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ თვით ერთი სახელმწიფოს ფარგლებში თანასწორი უფლებებით ესარგებლა „სხვადასხვა გვარტომების წარმომადგენლებს, ყოფილიყო მათ შორის მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრება“. ეს პრინციპი მტკიცედ არის გამჯდარი ქართველი ერის არსებასა და ცხოვრებაში. შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მგმობელი ილია ჭავჭავაძე წერს სპეციალურ სტატიას „ებრაელთა საკითხზე“ (1886), რომელშიც ებრაელ ერს ახასიათებს, როგორც „ოდესმე დიდებულსა და სახელგანთქმულს“, რომელმაც „გამოიარა დიდი ტანჯვა და წამება“. იგი აღშფოთებას გამოთქვამს ევროპაში, კერძოდ, ავსტრიასა და გერმანიაში ფეხმოკიდებული ანტისემიტური მოძრაობის გამო. მაგალითად მოჰყავს, თუ რა სენსაცია გამოიწვია ვენაში ებრაელი მოღვაწის გლაზერის ძეგლის კურთხევამ. როდესაც უნივერსიტეტის რექტორმა ფოკელმა ლაპარაკი დაიწყო განსვენებულის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მაშინ ექსტრემისტმა ანტისემიტებმა ხმაური ატეხეს და დღესასწაული ჩაშალეს. ამის გამო ილია შენიშნავს, რომ „ამ ნაწილს საზოგადოებისას შეუძლია თავისი კვალი დააჩნიოს ებრაელთა ბედსა და უბედობას“.

ანტისემიტების წინააღმდეგ მებრძოლი ილია მხურვალედ უჭერს მხარს უსამართლოდ დევნილ და შევიწროებულ ებრაელებს. იგი წერს: „სდევნიდნენ ებრაელებს — ვითარცა ერს, სდევნიდნენ ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებუ-

საკუთრება: უფლება და ფორმები

ჯერ რამდენიმე სიტყვა თვით საკუთრების არსისა და მნიშვნელობის შესახებ. საკუთრება ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც ასახავს მატერიალური დოვლათის წარმოების, გაცვლა-განაწილებისა და მოხმარების პირობებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთრების უფლება გვევლინება როგორც კანონით დამტკიცებული წესრიგი, რომლის მიხედვით ცალკეული პირები, ადამიანთა ჯგუფები ან სახელმწიფო ფლობენ, იყენებენ და განაგებენ ამა თუ იმ ქონებას. საკუთრების უფლების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია ქონების მფლობელობა.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობის ძირითადი მასა სახელმწიფო, ანუ საერთო-სახალხო საკუთრებაა. მასთან წარმოების საშუალებათა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გარკვეული ნაწილი გლეხობის შრომით გაერთიანებებს — კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს ეკუთვნის, ესე იგი, საკოლმეურნეო კოოპერაციულ საკუთრებას წარმოადგენს.

ახლა მოკლედ შევეხოთ კანონს სსრ კავშირში საკუთრების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე იქნა მიღებული. იგი ექვსი კარისა და ოცდათხუთმეტი მუხლისაგან შედგება. საკუთრების შესახებ ზოგადი დებულებების გარდა დახასიათებულია და რეგლამენტირებულია საკუთრების სახეები და ფორმები, გადმოცემულია საკუთრების უფლებისა და მისი დაცვის გარანტიები.

ამიერიდან სსრ კავშირში იარსებებს საკუთრების ოთხი ძირითადი ჯგუფი, რაც თავის მხრივ, თვრამეტ სახეობად და ფორმად არის დაყოფილი.

დავიწყოთ სახელმწიფო საკუთრებით (თუმცა კანონში, საბუნაროდ, სხვა თანმიმდევრობაა). ეს ნაწილი აერთიანებს სამ სახეობას: საერთო-საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების, აგრეთვე კომუნალურ საკუთრებას.

საერთო სახელმწიფო საკუთრების არსი და მნიშვნელობა ერთი გამოსახავს, რომ იგი საბჭოთა მოქალაქეების საკუთრებაა და ამდენად თვით ხალხის დავალებითა და სახელით სახელმწიფო სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებით. თუმცა მას ცალკეული ადამიანები კი არ განაგებენ, არამედ, სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა შრომითი კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის საშუალებით სახელმწიფო არეგულირებს შესაბამისი ქონებით სარგებლობის უფლებებს, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში ქმნის ახალ ორგანიზაციებს, აუქმებს ძველს, ნიშნავს ან ათავისუფლებს ხელმძღვანელებს, სჯის მათ, ვინც ბოროტი განზრახვით ან დაუდევრობით ანიავებს სახელმწიფო ქონებას.

საკუთრების ამ ნაწილში ერთობ შებღალულია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებები, რადგან სახელმწიფო საკუთრების ერთსა და იმავე ობიექტზე — მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე — ერთდროულად ცხადდება რამდენიმე სუბიექტის — მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების საკუთრების უფლება. მაგრამ საქმე ის არის, რომ საერთო-საკავშირო საკუთრებას უნდა აყალიბებდნენ მოკავშირე რესპუბლიკები და სწორედ მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრებაში უნდა იყოს მისი კუთვნილი მიწა, წიაღი, ტყეები, წყლები, ცხოველთა სამყარო, აგრეთვე მიმდებარე კონტინენტური შელფის ბუნებრივი სიმდიდრენი, საწარმონი და სამეურნეო კომპლექსები, კულტურული და ის-

ლის რჯულის მაღიარებელთ. სდევნიდნენ — ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილების წარმომადგენელთა და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი“.

ებრაელთა დიდი ქომაგი ცხოველი ინტერესით გამოხმაურებია ჯორჯ ბაირონის შემოქმედების „ებრაულ მელოდიებს“ (1815), რომლის მთავარი შინაარსია თავისუფლებისმოყვარე ებრაელი ხალხის ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და მისი ისტორიული ბედი, გმირული ბრძოლის სურათები, სულიერი სიმტკიცე. აქ ნაწინასწარმეტყველებია „ისრაელის“ მკვდრეთით აღდგენა. ილიას საგანგებოდ გადმოუქართულებია ჯორჯ ბაირონის ლექსი „ებრაული მელოდიები“ (1858), რომელშიც მხატვრული ფორმითაა გადმოცემული ებრაელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მრისხანე სურათები, ხალხის ტანჯვა, გაცოცხლებულია სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა გმირული სახეები, ერის სულიერი სიმტკიცე, ნაჩვენებია ბრძოლაში გასისხლიანებული ფეხების განბანვა ბაბილონის მდინარეებში.

ილია ჭავჭავაძე თავის გამოხმაურებაში მხოლოდ ებრაელთა მდგომარეობის ჩვენებით არ კმაყოფილდება. იგი ფილოსოფიურად განაზოგადებს ევრომელი ხალხების ისტორიულ გამოცდილებას, საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს ბიბლიურ თემებს და სახეებს. მისტერია „კაენით“, რომლის ერთი სცენა (პირველი მოქმედებიდან) ილიას უთარგმნია (1861 წელს), მოწმობს, რომ მას იზიდავდა რევოლუციური სულისკვეთება, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამბოხების სცენები. „კაენი“ იტალიაში რევოლუციური მოძრაობის გამოძახილადაა მიჩნეული. „კაენის“ ილიასეული ინტერპრეტაცია მეტად მნიშვნელოვანია აზროვნების ისტორიაში.

ბაირონის „ებრაულ მელოდიებთან“ ერთად ილია ჭავჭავაძეს ყურადღება მიუქცევია „ირლანდიური მელოდიებისათვის“, რომელშიც თომას მური (1779-1852) მწუხარებას გამოთქვამს მშობლიური ირლანდიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის გამო. იგი გადმოგვცემს თანამემამულეების ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის პრინციპით „თავისუფლება ადამიანის მაღალი და ნათელი მიზანია“. ილიას მიაჩნდა, რომ თომას მურმა დიდი იდეური ზეგავლენა მოახდინა თავისი დროის მოწინავე მწერლობაზე, კერძოდ კი, ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაზე.

ილია ჭავჭავაძის კონცეფცია, როგორც ვნახეთ, გააზრებულია საერთოდ მწერლობისა და ისტორიის ფონზე, მაგრამ მისი საფუძველია ქართული სინამდვილე, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰარმონიულად ცხოვრობდა ორი უძველესი ერი — ქართველები და ებრაელები. ისტორიულ წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში ებრაელთა ტომი პირველად გამოჩნდა ქართლის უძველეს ქალაქებში მცხეთასა და ურბნისში. ისინი თანდათანობით გავრცელდნენ საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე, მაგრამ დისკრიმინაცია არსად განუცდიათ. ქართველებსა და ებრაელებს განსხვავებული რელიგიური რწმენა ჰქონდათ, განსხვავებულად ლოცულობდნენ, მაგრამ ამას მათი ეროვნული ურთიერთობისათვის არასოდეს შეუშლია ხელი. ხანგრძლივ ისტორიულ ურთიერთობაში საქართველოს არასოდეს გამოუხატავს ანტისემიტიზმი, არც ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას უცდია ებრაელთა იძულებითი გაქრისტიანება, არც ერთი მხრიდან არ ჰქონია ადგილი ეროვნულ ეგოიზმს, რაიმე პრივილეგიის პროპაგანდას.

ქართველთა და ებრაელთა ისტორიულ ურთიერთობაში ჩამოყალიბდა მაღალი კულტურული ტრადიცია. მასში ჩაქსოვილია ზნეობრივი ნორმები და სიბრძნე, რომელიც ყოველგვარი სიკეთისა და სათნოების საფუძველია. ასეთი ტრადიცია უნიკალური მოვლენაა, და ის გადაეცემა თაობიდან თაობას, ვითარცა ძმობისა და თანადგომის მისაბაძი მაგალითი.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი დაუბრუნდა თავის ისტორიულად მკვიდრ სამშობლოს — ისრაელს, მაგრამ ისტორიული მეგობრობა, ურთიერთპატივისცემის ზნეობრივი ღირებულება წარსულის ფერფლით არ იფარება, მას არც ჟანგი და ხავსი ეკიდება. კიდევ უფრო გაცხოველდა და გაძლიერდა ჩვენი სულიერი ერთიანობა, კულტურული ურთიერთობა.

ასეთ დიდ თანამეგობრობას ეხმიანება ებრაელთა თანაგრძნობის ილიასეული ჰუმანისტური კონცეფცია.

შალვა ქააულია,
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტორიული ღირებულებანი, რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები, ბანკები და ყველა ის ქონება, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის სამეურნეო დამოუკიდებლობას და, ამრიგად, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

ამასთან საერთო-საკავშირო საკუთრებად უნდა გამოცხადდეს მხოლოდ ისეთი ქონება, რომელიც საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული უფლებამოსილებების ერთობლივი განხორციელებისათვის. ასე ითქმის, მაგალითად, საზღვაო, რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის ხაზებზე, მაგისტრალურ მილსადენებზე, შეიარაღებული ძალების ქონებასა და თავდაცვის ობიექტებზე და ა. შ.

კანონის მიხედვით საკუთრების მეორე დიდ ფორმად გვევლინება კოლექტიური საკუთრება. იგი თავის მხრივ, რვა სახეობად იყოფა. ესენია: სახელმწიფო საწარმოს შრომითი კოლექტივის საკუთრება; მშრომელთა ასოციაციის ანუ კოლექტიური საწარმოს საკუთრება: კოოპერატივების საკუთრება; სამეურნეო ამხანაგობათა საკუთრება; სააქციო საზოგადოებების საკუთრება; სამეურნეო ასოციაციათა (გაერთიანებათა) საკუთრება; საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრება.

კოლექტიური საკუთრების წარმოშობისა და განვითარების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრება. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამის შრომით კოლექტივებს იჯარის წესით გადაეცემათ სახელმწიფო ობიექტები, რათა შექმნან მშრომელთა ასოციაციები, საწარმოები და ორგანიზაციები წილობრივ, საპაიო და სააქციო საწყისებზე. ამასთან ამგვარ მესაკუთრეებს უფლება ექნებათ, მიღებული შემოსავალი გამოიყენონ სახელმწიფო ქონების გამოსასყიდად.

ახლა ასევე მოკლედ შევეხოთ მოქალაქეთა საკუთრებას. ეს არის მათი პირადი კუთვნილება, რომელსაც ისინი შეხედულებისამებრ გამოიყენებენ თავიანთი მრავალფეროვანი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ან სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად გასაძღოლად.

მოქალაქეთა საკუთრება იქნება: პირადი და კერძო საკუთრება, შრომითი მეურნეობის საკუთრება და გლეხთა მეურნეობის საკუთრება.

საკუთრების ამ სახეობებს განეკუთვნება: საცხოვრებელი სახლი, სახელმწიფო, კოოპერატიულ ან სხვა საბინაო ფონდში შეძენილი ბინა, აგარაკი, საბაღე სახლი, ნარგავები მიწის ნაკვეთზე, ფულადი დანაზოგი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების საგნები, აგრეთვე ინდივიდუალური და სხვა სამეურნეო საქმიანობის საშუალებები.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთებს, იგი მიეცემათ მოქალაქეებს, როგორც იჯარით, ისე სამუდამო სამკვიდრო მფლობელობისათვის.

და ბოლოს, საკუთრების მეოთხე ძირითადი ფორმის შესახებ. ესაა ერთობლივი საკუთრება. იგი ოთხ სახეობად ყალიბდება. პირველი გულისხმობს საბჭოთა და უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით მოქმედ ერთობლივ საწარმოთა საკუთრებას; მეორე, უცხოეთის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრებას; მესამე, უცხოეთის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილ საკუთრებას; მეოთხე, უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრებას.

და, მაინც, კანონში ზოგიერთი, თანაც ერთობ მნიშვნელოვანი საკითხი გაურკვეველი რჩება. როგორც წარმოდგენილი დასახელებებიდან ჩანს, მითითებულ დოკუმენტში ნახსენებია კერძო საკუთრება. მაგრამ მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. აღნიშნულ საკუთრებათა პირობებში როგორ დაკვალიფიცირდება, მაგალითად, იმ მუშების სტატუსი, რომლებსაც კოლექტიური მესაკუთრენი მიიღებენ „თავისი“ წარმოების გაფართოების — ახალი საამქროებისა და საწარმოების ამოქმედების შემთხვევებში? იქნებიან თუ არა ასეთი მუშები შესაბამის მესაკუთრეთა მონაწილენი? ანდა, როგორი იქნება მეპატრონეთა დამოკიდებულება იმ ახალგაზრდა მუშების მიმართ, რომლებსაც წარმოებაში ჩაბმის მომენტისათვის არ ექნებათ დანაზოგი და მემკვიდრეობა?

ამ კითხვებზე პასუხი ჯერ არა გვაქვს.

კლიმენტ ელიზბარაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია გელუტაშვილი

ულუფა

ლენინგრადიდან შინ აღტაცებული ვბრუნდები.

ბევრი რამ მსმენია ამ წარმტაცი ქალაქის შესახებ, წიგნებიც წამიკითხავს, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიც მინახავს, მაგრამ ადგილზე ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მართალია, საკუთარი თვალით ხილულსა და განცდილს ვერაფერი შეედრება. თვითმფრინავმა სიჩქარეს მოუმატა და შეუმჩნევლად მოსწყდა მიწას. ცაში აიჭრა. მოხაზა წრე და გეზი სამხრეთისაკენ აიღო.

ახლა უზარმაზარი ღრუბლების სამეფოში მივცურავთ. სამიოდე საათის შემდეგ კი თბილისში ვიქნებით.

— პირველად იყავით ლენინგრადში?

— დიახ.

— მოგეწონათ?

თანამგზავრ ქალს, რომელიც ღიმილით შემომყურებს, თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

ზოია პუშკოვსკაია ჩემზე უფროსი ჩანს. სხვაობა მხოლოდ ოთხი წელია. პროფესიით ექიმია. თბილისში მოყვრის ოჯახი მიელის.

მხიარული ქალია. მოძრავი. თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული და სასიამოვნო მოსაუბრე.

— ერმიტაჟში იყავით? რა თქმა უნდა, იქნებოდით. პეტერგოფში?

— პეტერგოფშიც გახლდით და გატჩინაშიც. პუშკინოშიც და პეროდვორეცშიც.. ნევის პროსპექტი შესანიშნავია!

— კიდევ? ყველაზე უფრო რამ მოგხიბლათ?

— ყველაფერმა!

ჩემს მოსაუბრეს ეღიმება.

— რა მოგეწონათ განსაკუთრებით? — მიმეორებს კითხვას ზოია პუშკოვსკაია.

— აკი მოგახსენეთ, ყველაფერი..

— მაინც, წარუშლელი შთაბეჭდილება რამ დატოვა თქვენზე?

— გამხმარმა პურის ნაჭერმა!

— რა ბრძანეთ?

ჩემი მეზობლის გაფართოებულ თვალებში აშკარა გაოცება და ღიმილი ერთდროულად გამოჩნდა.

მე კი სრულიადაც არ ვხუმრობდი.

გინახავთ პურის გამხმარი ნაჭერი? ლენინგრადის ერთ-ერთ მუზეუმში მინის ქვეშ გამოფენილი შავი პურის თხელი სიფრიფანა ნაჭერი?

პურის ეს ციცქნა ულუფა, რომელიც სასწაულებრივად მოღწეულა ჩვენამდე, ლენინგრადის ბლოკადის დროს ყოველდღიურად ეძლეოდა მხოლოდ ერთ მუშას. დიახ, 125 გრამი გამოუმშრალი შავი პური — ეს იყო და მხოლოდ ეს!

მასში ხომ ტკივილი, სევდა, ობლობის წლები ჩანს. თვალწინ თითქოს ნათლად ცოცხლდება გარდასულ დღეთა შემზარავი სურათები...

ყინავს. ზეცა ტყვიისფრად ჩაჟამულა. მოშორებით, ქალაქის მისადგომებთან, ქვემეხები გუგუნებენ.

ლენინგრადში სიკვდილი დანავარდობს, ყინვასა და ძონძებში გახვეული სიკვდილი...

გახედეთ, წელში მოხრილ შავოსან ქალს კისერთან განასკული თოკი იღლიაში ამოუჩრია, მილასლასებს და მხრებს ტაატით მიათრევს.

ჩერდება. მარხილიდან გადმოსვენებულ გვამს ტროტუარის გასწვრივ, მინიშნებულ ადგილას აწვენს და ქვითინით ემხობა ზედ.

ასეა ყოველდღე...

თვითმფრინავი შექანდა. მერე ისევ შემოიმაღლა. გასწორდა და გუგუნით გაუყვა ოქროსფრად განათებული ღრუბლებით სავსე ცას...

— ისევ პურზე ფიქრობთ? — მესმის ზოია პუშკოვსკაიას ხმა.

— დიახ.

— პური ჩვენი არსებობისა, არა?! — ჩემი მეზობელი წამით ჩერდება და განაგრძობს, — მოხუცი დედა მყავს. მე მისი მესამე ქალიშვილი გახლავართ. ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეა. საოცრად მორწმუნე; ყოველთვის, როცა ოჯახში პურს შემოვიტანთ, პირჯვარს იწერს და ზეცისკენ სასოებით აღაპყრობს ორთავე ხელს.

— იცით რა? — მოულოდნელად შევაჩერე.

ზოია პუშკოვსკაიამ ყურადღებით შემომხედა.

— იცით რა... ეს აზრი ახლა მომივიდა.. რაც თქვენ მითხარით, იმაზე ღირს დაწერა!

— რაზე?

— პურზე და დედათქვენზე!

„კარგად გამომცხვარი პურის ყუა ადამიანის გონების ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა“ — ეს სიტყვები საქვეყნოდ ცნობილ აკადემიკოსს კონსტანტინე ტიმირიაზევს ეკუთვნის.

ადამიანმა მიწის დამუშავება ათი ათასი წლის წინათ დაიწყო. ჩვენს წინაპრებს, ვინ უწყის, რამდენი დრო, შრომა და ჰირთათმენა დასჭირდათ, რომ ქვით აჩიჩქნილ მიწაში ველური ხორბლის პირველი მარცვალი ჩაეთესათ.

დღესაც დასადგენია, სად და როდის გაჩნდა ხორბლის წარმოების პირველი კერა. არსებობს მოსაზრება, რომ ხორბლის კულტურის უძველესი კვალი, უპირველეს ყოვლისა, ეგვიპტეში, ჩინეთსა და საქართველოში უნდა ვეძიოთ.

ხორბალს, ისევე როგორც სხვა მარცვლეულს, ვიდრე პურის ცხობას ისწავლიდა, ადამიანი ფაფის სახით შეექცეოდა.

მარცვლეულის დანაყვა წინ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო. ქვაზე დანაყილ და დაჩეჩქვილ ხორბალს წყალში ზელდნენ, ცეცხლზე გახურებულ ქვებზე ასხამდნენ და ლავაშის მსგავს ყუათიან საკვებს აცხობდნენ.

გამოხდა ხანი, ადამიანმა ქვის პრიმიტიული საფქვავი დაამზადა.

ეს საფქვავი ერთმანეთზე დამაგრებული ორი მრგვალი ქვისაგან შედგებოდა. ზედა ქვა ბრუნავდა, ქვედა — არა. პეშვით ჩაყრილ ხორბალს ზედა მბრუნავი ქვა ნელ-ნელა ფქვავდა, კუთხეში აგროვებდა და საგანგებო ღარიდან გარეთ გამოჰქონდა.

დღემდეა შემორჩენილი ლეგენდა, რომელიც ჩვენს პლანეტაზე პირველი ნამდვილი პურის გამოცხობის ამბავს გვამცნობს.

აი ეს ლეგენდაც:

ოდესღაც, რომელიღაც ქვეყანაში,

ცხოვრობდა საიდანღაც მონად წამოყვანილი კაცი.

უცნაური ვინმე იყო. გამრჯე, დამჯერი, სათნო, მაგრამ ძალიან გულმავიწყი.

ერთხელ მონას უბრძანეს, ფქვილი წყალში მოზილე, ცეცხლზე გახურებულ ქვებზე დადე და გამოაცხვეო.

ის-ის იყო ფქვილი მოზილა და სხვა საქმეზე უხმეს. მისდგა იმ საქმეს, მოითავა, მოღლილი მიწვა და მიიძინა.

დილით, როცა გაიღვიძა, მაშინღა გაახსენდა მოზელილი ფქვილი და ხელი შუბლში შემოირტყა.

ეცა ჭურჭელს, მოხადა სარქველი, ჩახედა და ელდა ეცა.

სადღა იყო, რაც დატოვა. ცომს ფერი შეეცვალა, საამო იერი დასდებოდა, აფუებულიყო და ჭურჭელში აღარ ეტეოდა.

აი, ასე გამომცხვარა საფუარით გალაღებული პირველი დაბრაწული პური.

დაიგემოვნეს და ვიღა მოეშვებოდა. ხორბალმა სწრაფად დაიწყო გავრცელება სხვადასხვა ქვეყანაში.

ადამიანმა ოდითგანვე შეიცნო პურის ყადრი, ჩასწვდა მის უპირველესობას, იწამა პურის სიყვარული, პატივისცემა და გაფრთხილება, თაყვანისცემა და დაფასება.

ღმერთის მიმართ აღვლენილი ადამიანის პირველი ლოცვა, პირველივე თხოვნა-ნატვრაც ასეთია:

„პური ჩვენი არსებობისაᲔ მოგვეც ჩვენ დღეს“.

. . .

კაცობრიობის ნახევარზე მეტი დღეს ხორბლით იკვებება. ნიშანდობლივია თუნდაც ეს: ჩვენს პლანეტაზე ხორბლის ნათესებს 1800. 600 000 ჰექტარი ფართობი უკავია.

დღემდე ცნობილია ხორბლის 30-მდე სახეობა. ეს სახეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფერით, ფორმით, სიმაგრით, გამძლეობის უნარითა თუ სხვა ბიოქიმიურ-სამეურნეო ნიშნებით.

კაცობრიობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში, ცხადია, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხორბლის გამძლე და უხმოსავლიანი ჯიშების გამოყენებას.

მეცნიერებმა ამ მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. სელექციონერებმა ხორბლის ძველი ჯიშებიდან მიიღეს ახალი სახეობები, რომლებიც გაორმაგებულ მოსავალს იძლევიან.

ქართული ხორბლის ჯიშებზე დაყრდნობით კანადელმა, ამერიკელმა, იაპონელმა სელექციონერებმა ახალი, გაუმჯობესებული თვისებების მქონე, თანაც უხმოსავლიანი ჯიშის ხორბალი შექმნეს, რომელიც შხამქიმიკატებს აღარ საჭიროებს.

წარმატებებია მიღწეული ხორბლის ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაშიც. აი თუნდაც ერთი მაგალითი: პერუს მთიანეთში, რომელიც ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მდებარეობს, წარმატებით მოჰყავთ რბილი ხორბლის ყინვაგამძლე ჯიში. ხორბლის — ჩვენი არსებობის უპირველესი საფუძვლის, გულმოდგინე შესწავლა და თვისებრივი გაუმჯობესება კვლავაც გრძელდება.

. .

საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები ჰუმბოლდტი და ბრაუნი აუცილებელ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ: თუ რომელიმე კულტურული მცენარის წარმოშობის ადგილი გაურკვეველია, მაშინ მის სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ ის ქვეყანა, სადაც ამ ჯიშის ყველაზე მეტი სახეობა გვხვდება ველური სახით.

მსოფლიოში, როგორც მოგახსენეთ, ხორბლის 30-მდე ჯიშია ცნობილი.

ჩვენში?

ჩვენში ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო მეტი ხორბლის ადგილობრივი ჯიში გვხვდება.

მაინც რამდენი?

— თოთხმეტი ნაირსახეობა!

ქართული ხორბლის ჯიშებს იმუნიტეტის საოცრად დიდი უნარი აქვთ. აღტაცებას იწვევს ჩვენებური ხორბლის მაღალი ხარისხი, მაწივრობა, საუკეთესო გემო.

აი, ამიტომაც იყო, რომ გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ვავილოვმა საქართველო ხორბლის სამშობლოდ აღიარა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — ხორბალი საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა!

ხორბლის პატივისცემა ჩვენს წინაპრებს ოდითგანვე მოსდგამთ. პურის ცხობა ძველად ერთგვარი ხელოვნება გახლდათ. გატაცებაც. იგი დიდ ფიზიკურ შრომას, სულიერ სიფაქიზეს, უნარსა და დახვეწილ ოსტატობას მოითხოვდა.

მცხობელმა იცოდა: მახობლიან პურს ჩვილი ცომი სჭირდება, შავფხას — მაგარი ცომი, დოლის პურს — მომაგრო და გადაკვეთილი, თავთუხს — ზუსტად ისეთივე, როგორიც შავფხას...

სასტუმრო პურისთვის წითელი დოლის ფქვილს არჩევდნენ და სამტკიცეში ცრიდნენ.

შემდეგ... კოჭობში გაფუებულ ცომს ლაფათაზე გაშლიდნენ, თონეს ააგუზგუზებდნენ, კინჭუტსა და ასტამს მოიშველიებდნენ, პაჭიჭამოცმულ ხელს ცომიანად დაიქნევდნენ და ტყაპ! — თონის კედელზე შოთი გაწვებოდა.

თონიდან პირველად ამოყრილ პურს — წინაპური ერქვა, ბოლოს ამოყრილს — ლოლო, თონეში ჩავარდნილს კუტი პური.

ანაცერ ქატოს ინახავდნენ.

მას საძაღლოს ეძახოდნენ.

ხაბაზის ოსტატობა მემკვიდრეობითი გახლდათ. პურის ცხობის მადლი, ფხა, ცოდნა და გამოცდილება პაპიდან მამას გადაეცემოდა, მამიდან შვილს, შვილიდან შვილთაშვილებს...

. .

ეს ამბავი ალბათ ყველამ არც იცის.

აგვისტო იდგა.

საგურამოდან ერის მამას, წმინდა ილიას მოასვენებდნენ.

გლოვობდა ხალხი.

საქართველო ძაძებში იყო გახვეული.

დიღმის გაშლილ მინდვრებზე საგურამოდან დაძრულ პროცესიას გლეხები შეეგებნენ.

ყველა გაირინდა.

მივიდნენ დიღმელები. მოიყარეს მუხლი. შრომაში დაკოჟრილი თითებით მოიწმინდეს უპეები და საგანგებოდ დარჩეული გვირგვინი ჩამოდეს ცხედართან. გვირგვინი პატარა იყო.

ბევრ დიდ გვირგვინს აჯობებდა...

მარჩენალმა გლეხკაცებმა ერის სულიერ დამპურებელს — ილია ჭავჭავაძეს ქართული პურის თავთავებიდან შეკრული გვირგვინი მიუძღვნეს...

პატარა გვირგვინის უკან დიდი საქართველო იდგა.

. .

დღევანდელი პურის უხარისხობაზე, მის უყაირათოდ ხარჯვაზე, მომავლის „ნათელ“ პერსპექტივებზე ბევრი ითქვა და თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ ერთს ვიტყვი:

ქართული თავთუხი და ზანდური, შავფხა თუ დოლის პური; ჩვენებური კოჭობი, თონე, კინჭუტი თუ ასტამი, ნუთუ მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად უნდა დავუტოვოთ შვილთაშვილიშვილებს?

. .

საქართველოში თურმე 1300-მდე პურის ქარხანა და საცხობია.

თბილისში, საბავშვო ქალაქის „მზიურის“ ახლოს, არაყიშვილის ქუჩის ასახვევში მდებარე ქართული პურის მაღაზიაში ვარ.

ეს საწარმო მთელ რესპუბლიკაში სასიკეთოდ გამორჩეულია.

ღმერთმა ქნას, ამ მონდომებულ, თავისი საქმის მცოდნე და ერთსულოვან კოლექტივში საფუძველი ჩაეყაროს პურის ცხობის მიკარგული ტრადიციების აღზევებას.

— როგორი უნდა იყოს კარგი პური? — ჩემს შეკითხვას იმეორებს საწარმოს ხელმძღვანელი ნელი ვარშამიძე და დინჯად განაგრძობს:

— ხორბლის კარგ პურს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს საკმაო წონა და მოცულობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ, ლამაზ ფორმას, ნორმალურ შეფერილობას, კარგად დაბრაწულ ქერქს. პურის ქერქზე არ უნდა იყოს ბზარები, პურის გული სასურველია ელასტიკური, წვრილი და თანაბარი ნასვრეტებით...

გემო?

გემო არომატული და სასიამოვნო.

გინახავთ ასეთი პური თბილისში? ალბათ იშვიათად.

საწარმოს განზრახული აქვს, ეს იშვიათობა არაიშვიათობად აქციოს.

— შეძლებთ?

— მარტონი ვერ მოვერევით. ეს დარგობრივი პრობლემაა. ყველანი უნდა დავირაზმოთ.

ცხადია, მრავალმხრივი დახმარება გვჭირდება ზემოდან.

მინის ტიხრის მიღმა, საამქროში პურის ცხობის მთელი პროცესი კარგად მოჩანს. თეთრ ხალათებში გამოწყობილი ახალგაზრდები მუხლჩაუხრელად დაფუსფუსებენ. ცომი იზილება. საჭრელი მანქანა გუნდებს ჭრის და ანაწევრებს. მერე ცომი იწონება. მოგრძო ფორმებში ლაგდება. პური 270 გრადუს ტემპერატურაზე, ოცოდე წუთში უკვე გამომცხვარია.

ვიდრე აქ მოვიდოდი, ვიცოდი, რომ ფქვილის ხარისხს განსაზღვრავს მისი ფერი, სუნი, ნესტიანობა, ნაცრიანობა, წებოგვარას შემცველობა. ისიც ვიცოდი, საუკეთესო ხარისხის ფქვილს მხოლოდ მოსკოვი და რამდენიმე სხვა ქალაქი იღებს.

რასაც გვაძლევენ, იმას მაინც მივხედოთ!

— უნდა მივხედოთ! — შეთანხმება მოსაუბრე.

— როგორ?

ეს ცალკე თემაა.

ამის შესახებ ღრმად და ამომწურავად სპეციალისტები უნდა გვესაუბრონ.

. .

თუ გახსოვთ, ბერტოლდ ბრეჰტი ერთ თავის ცნობილ პიესაში ამბობს: „რად უყვართ სამშობლო? რადგან მშობლიური მიწის პური უფრო გემრიელია, ცა უკიდეგანო, ჰაერი გაცილებით სურნელოვანი, ხმები — ომახიანი, მიწაც იოლი მოსავლელი“

ეს სიტყვები საქართველოზეა.

ამ მიწას, პურს, თვით ჰაერსაც მოვლა უნდა.

ღმერთმა ქნას, ყოველთვის იყოს პური ჩვენი გემრიელი, ცა ჩვენი მშვიდობიანი და უკიდეგანო, ჰაერი ჩვენი — სუფთა და სურნელოვანი, ხმები ჩვენი — ბედნიერი და ომახიანი, მიწა ჩვენი — პატრონს, გლეხს ჩაბარებული და იოლი მოსავლელი!

. .

ამინდი ჭირვეულობს.

ლენინგრადში თვითმფრინავის გაფრენა ჭიანურდება.

ხალხით გაჭედილ მოსაცდელ დარბაზში ვსხედვართ და ვსაუბრობთ:

— როცა ლენინგრადში გვეწვევით, დედათქვენიც წამოიყვანეთ.

— როგორ შეგაწუხოთ.

— რას ამბობთ, — ზოია პუშკოვსკაიას ეღიმება, — თქვენი ოჯახის ყველა წევრი ახლობელივით შემიყვარდა... მართლა, როგორ არის საქმე? პურზე ნარკვევის წერა დაამთავრეთ?

— ცოტადა დამრჩა.

— იცით რა..

— რა?

ზოია ჯერ დადუმდა, შემდეგ კი სხაპასხუპით მომაყარა:

— თბილისში ბევრ პურს ყრით, უამრავს! მივლინების დღეებში რამდენიმე ოჯახში მიმიწვიეს და საკუთარი თვალით ვნახე...

მერე მოულოდნელად დაუმატა:

— ნუთუ აუცილებლად ოშია საჭირო, რომ ადამიანმა პურის ფასი გაიგოს?

თვითმფრინავში ჩასხდომა დაიწყო.

ზოიას დავემშვიდობე.

ეინჭღლავდა. ცა ჩამოიბურა.

სახლში მოვდიოდი და ისევ იმ საშინელ კითხვაზე ვფიქრობდი.

ნუთუ აუცილებლად საჭიროა, პურის ყანას ცეცხლი ეკიდოს, რომ შოლოხოვის რომანის გმირივით, ადამიანი ძირს გართხმულ თავთავს „ჩემო ძვირფასოო“ მიეფეროს? ნუთუ აუცილებლად პურის ბარათებით რიგში დგომა და ლოდინი, პურის ნამცეცების ძირს დავარდნის შიში უნდა იწვნიოს?ან საკონცენტრაციო ბანაკში შიმშილის ჰალუცინაციებმა და პურზე ოცნებამ დატანჯოს, რომ პურის მადლი შეიგრძნოს?

არა შგონია.

ზოგჯერ თურმე შავი პურის გამხმარი ნაჭრის დანახვაც კმარა.

დასავლეთ საქართველოში, უფრო სწორად, ფსოუ-ენგურის შუამდინარეთში გასულ წელს დატრიალებული უბედურება ყველას გვაფიქრებს.

— რა მოხდა?

— რისთვის მოხდა?

— ვინ გაშალა საავდრო ღრუბლები მოწმენდილ ცაზე?

აი კითხვები, რომლებიც აფიქრებს როგორც ქართველებს, ისე აფხაზებსაც — ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ ხალხებს.

უსამართლონი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია.

პასუხი მზად აქვთ სამართალდამცავ ორგანოებს, თავად მოსახლეობას, უდანაშაულოდ დაღუპულთა ჭირისუფლებს, მაგრამ რად გინდათ, დამნაშავეებს არავინ იჭერს, პირიქით უბედურების მოთავეთაგან ზოგიერთი ადრინდელზე უკეთეს სკამზე დასვეს და თავს დიდებულად გრძნობს.

რატომ?

იმიტომ, რომ ხელფეხშეკრულია სიმართლის მაძიებელი ძალა, თუ ნამდვილად ძალა შეიძლება ვუწოდოთ მას!

ახლა კი ჩვენ თავად გავცეთ პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებს.

მოხდა უბედურება!

იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში ბზარი გაჩენილიყო!

საავდრო ღრუბლები გაშალა მან, ვისთვისაც ხელსაყრელი არ არის ქართველთა და აფხაზთა თანადგომა!

მტერმა რა გამოიყენა საბაბად?

სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა?

ვითომ დავიჯეროთ ეს?

განა აფხაზ მოსახლეობას რამეს ართმევდა ფილიალის გახსნა?!.

ძაღლის თავი სხვაგან მარხია და მის ძებნას ამ წერილში ჩვენ არ შევუდგებით, რამეთუ ავტორის მიზანი სულ სხვაა, თუმცა რაღა ინკოგნიტოდ ვამბობთ, ავტორს სურს ცივი გონებით შეხედოს წარსულს და მკითხველს გააცნოს ის ადამიანები, რომლებიც იღვწიან სიკეთის ნერგის გასახარებლად, ორ მეზობელს შორის შემარიგებელ-შემაერთებელი ხიდის გასადებად.

დატრიალებული უბედურების მიზეზად ზოგიერთი კრასნოდარის მხარესთან ფსოუ-ენგურის შუამდინარეთის შეერთების მსურველთა ცდასაც ასახელებს, მაგრამ ესეც როგორ უნდა დავიჯეროთ?

განა ვინ ცხოვრობს ამ შუამდინარეთში ისეთი, ვინაც არ იცის, რომ საქართველოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე?

— სად არის ეს ნიკოფსია? — კითხულობს ზოგიერთი.

— ნიკოფსია ტუაფსეს ადრინდელი სახელწოდებაა, — უპასუხებს ისტორიის სიღრმეში ჩახედული კაცი ამ კითხვაზე.

დიახ, დღევანდელ ტუაფსემდე სწვდებოდა ქართველი მეფეების საბრძანებელი, პატივცემულო მკითხველო, და ავადსახსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ კი ეს მიწა თუ გააჩუქა საკუთარი შეხედულების მიხედვით, რა ჩვენი ბრალია?

ამ ერთი კაცის შეცდომას ახლა კიდევ მეორე შეცდომა დავუმატოთ და ფსოუ-ენგურის შუამდინარეთიც სხვას მივსცეთ?

ეს არ მოხდება, რანაირი ზურგის ქარიც არ უნდა ქროდეს ამის მსურველთა სასარგებლოდ.

დატრიალებულ უბედურებაში ლომის წილი რომ აქვთ შეტანილი გაფანტულ ქართველებს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც შუადღემდე ქართველები არიან და ნაშუადღევს აფხაზები, ესეც ვთქვათ და მერე ძირითად სათქმელს მივუბრუნდეთ.

ფსოუ-ენგურის შუამდინარეთში ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად დღეს მრავალი ადამიანი იღვწის, ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინების საშუალება უფრო იმ პირებს შეუძლიათ, ვინც ახლოს არიან მასთან, ვისაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს როგორც ქართველებთან, ისე აფხაზებთანაც.

ასეთი ადამიანების სიმრავლე შევნიშნეთ აფხაზეთის სამომხმარებლო ორგანიზაციაში და სრული ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დავუკავშირდით მისი გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ ოთარ აქუბარდიას.

ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დამთავრებული აქვს საერთაშორისო ეკონომიკური ფაკულტეტი, ბრწყინვალედ ესმის ქართულ-აფხაზური კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის ისტორია. იცის, რომ ქართველები და აფხაზები ოდითგანვე ძმები იყვნენ და უნდა იქნენ მომავალშიც. მან ხაზი გაუსვა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ტრაგიკულ ბედს, იმ მიხეილ შარვაშიძისას, რომელიც რუსეთის მთავრობამ ტყვარჩელის სამკურნალო წყლებიდან შორეულ გუბერნიაში გადაასახლა და იქ ამოხდა სული; ილაპარაკა მიხეილის შვილის, პოეტისა და დრამატურგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის შესახებ.

ოთარ აქუბარდია ის ქართველი აღმოჩნდა, ვისაც კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს ეროვნული მოძრაობა, მეზობელთან კავშირში, უმცროს-უფროსობა.

საუბარი დღევანდელობაზე ჩამოვაგდეთ.

— როგორ უყურებთ საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, — ვკითხე მცირე პაუზის დროს.

— ამთავითვე მინდა ვთქვა, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, პირველ რიგში ზვიად გამსახურდიას, თავიანთ პროგრამაში ჩადებული აქვთ აზრი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ყველა ერის წარმომადგენელი, ვინც ჩვენთან ცხოვრობს და იცხოვრებს მომავალშიც, თავს კარგად იგრძნობს; ეს იმას ნიშნავს, რომ არ ექნება პრივილეგია არც ერთი ერის წარმომადგენელს, რითაც შეიქმნება ჰარმონიული ცხოვრების პირობები. ვფიქრობ, ეს ვერ გაიგეს აფხაზებმა და ოსებმა, კერძოდ, მათმა ზოგიერთმა ლიდერმა.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, ბატონო ოთარ, თქვენ, როგორც ეკონომისტს, მაინც როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი? — ვეკითხები მასპინძელს.

— დღეს რესპუბლიკის ყველა შრომით კოლექტივში დიდი ინტერესით იხილავენ საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტს, რომელიც ახლებურად განჭვრეტს თითოეული საწარმოს, სამინისტროსა და მთლიანად რეგიონის როლსა

ჩვენ უკეთესი პირნდლი იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელობას ახალი ეკონომიკური რეფორმის განხორციელების საქმეში, მისი ყველა სფეროს — ეკონომიკურის, სოციალურის, საზოგადოებრივის — გადაყვანას სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციამ უკანასკნელ ორ წელიწადში შეძლო ზეგეგმიანი მოგების სახით 4,3 მილიონი მანეთის მიღება.

— რახან თანხებზე ჩამოვარდა საუბარი, საინტერესოა თქვენი ორგანიზაციის წლიური დავალება.

— მიმდინარე 1990 წელს ორგანიზაციის საერთო საქონელბრუნვა დაგეგმილია 285 მილიონი მანეთის ოდენობით, გეგმის შესრულებაში ძირითად ბირთვს შეადგენენ საცალო და საკომისიო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, წარმოებისა და დამზადების სფეროში დასაქმებული კოლექტივები, რომლებშიც გაერთიანებულია 7 ათასზე მეტი კაცი. გეგმის შესრულებასა და მომსახურების კულტურის დონის ამაღლებაში დიდია როლი ექსპორტ-იმპორტის გაერთიანების მუშაკებისა, რომელთაც ჰამლეტ მაქაცარია ხელმძღვანელობს.

ბატონი ოთარის თქმით საზღვარგარეთთან სავაჭრო ურთიერთობაში ჩაბმულნი არიან გაგრის, გუდაუთისა და გალის კოოპერატივები, შემზადებულია ნიადაგი და მალე საზღვარგარეთთან გაცვლის საქონელს გალის სოფლის კოოპერატივი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში „აბსოიუზში“ შემავალმა სავაჭრო ობიექტებმა საზღვარგარეთ გააგზავნეს 45 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და შემოზიდეს 160 მილიონი მანეთის დეფიციტური საქონელი.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ვაჭრობის კულტურის ამაღლებასა და ერთა შორის ძმობის პროპაგანდის გაწევაში ჩაბმულნი არიან მაღალი ზნეობის ადამიანები, რომელთათვის ძვირფასია სიმშვიდე, სიყვარული, ძმობა და ერთობა. მათი რიცხვი, საბედნიეროდ, დიდია და ყველას ვერ ჩამოვთვლით, არადა ზოგიერთი მათგანი კია საჭირო მკითხველმა გაიცნოს.

ესენი არიან სოხუმის ქალაქის კოოპერატივის თავმჯდომარე მევლუდ კვანტალიანი, „აბსოიუზის“ საორგანიზაციო და კოოპერატიული მუშაობის განყოფილების გამგე მუშნი მარშანია, იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი ქოიავა, გალის ქალაქის კოოპერატივის თავმჯდომარე ბაბუცა ბულისკერია, გულრიფშისა და გალის სოფლის კოოპერატივების თავმჯდომარეები რუსლან თოლორაია და ქეთევან მარშავა, გალის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ გერგედავა, ლესელიძის სავაჭრო ცენტრის დირექტორი თამარ დოლბაია, გალის უნივერმაღის დირექტორი არჩილ შონია; დახლის მუშაკები ვიოლეტა კარაბულატი, ლეილა მამფორია, რაისა აქუბარდია, სვეტლანა ზანთარაია, საზოგადოებრივი კვების ობიექტების უფროსები როზა ხაგუში და რეზო ხაჟომია.

ბატონი ოთარი ალბათ კიდევ გააგრძელებდა გვარ-სახელთა ჩამოთვლას, კაბინეტში კადრების განყოფილების უფროსი გივი კემულარია რომ არ შემოსულიყო. გივიმ რომელიღაც წიგნი სთხოვა ოთარს და გავიდა.

მხოლოდ ახლა დავაკვირდი წიგნების კარადას — აქ უამრავ საინტერესო წიგნს ნახავთ.

— ვაჭრობას თითქმის ყველა კლასიკოსი შეეხო მეტ-ნაკლებად, მათ შორის დიდი შოთა რუსთაველიც; ეხებოდა რა თბილისსა და სტავროპოლს შორის სატელეგრაფო ხაზის მწყობრში ჩადგომის საკითხს, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ეს ხაზი სხვა სარგებლობის მოტანის გარდა გაადვილებსო ამბების გადაცემას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ნამეტნავად სავაჭრო საქმეებისათვის, — ამბობს ოთარი.

მასპინძელმა გაიხსენა ილიას ჩამოსვლა გაგრაში 1903 წლის გაზაფხულზე, სადაც იგი დაესწრო პრინც ოლდენბურგის მიერ კურორტისა და დაწყებითი სკოლის კურთხევას. ილია გაგრიდან სოხუმს მიიპატიჟეს ძმები შარვაშიძეების ოჯახში. დიდმა მწერალმა აქ სიტყვა წარმოთქვა, რომლის ჩაწერა მოახერხა თედო სახოკიამ.

„თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულებთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება“, — უბრძანებია ამ სუფრაზე ილიას.

სადაც საქართველოა, იქ არის აფხაზეთიც. ნელ-ნელა შუშდება ტკივილები, ხანდაზმული ქართველები და აფხაზები ძველი წესისამებრ ამშვენებენ ახალგაზრდობას, ურჩევენ შერიგებას.

ამის ნათელი დადასტურებაა მიმდინარე წელს საცხრააპრილოდ მოწყობილი ღონისძიებები. მხედველობაში გვაქვს მემორიალების გახსნა აჩადარაში, კოხორის საშუალო სკოლაში და სხვაგან. ამ მემორიალების გახსნაზე პროგრესულად მოაზროვნე აფხაზებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

არის კიდევ ერთი ფაქტი, რომლის მოტანა საჭიროდ მიგვაჩნია: თვითონ აფხაზებმა ურჩიეს ეროვნებაშეცვლილ ქართველებს, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ძირძველ კულტურასა და ნათესაობას.

შედეგმაც არ დააყოვნა.

უამრავი განცხადებაა შეტანილი, სადაც ქართული გვარის მატარებელი „აფხაზები“ პასპორტის გამოცვლას ითხოვენ.

ეს პროცესი დღითიდღე ძლიერდება — ბოლოს და ბოლოს ადამიანები გონს მოდიან. ეს იმას ნიშნავს რომ ფსოუ-ენგურის შუამდინარეთში მცხოვრები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა თავის ნამდვილ სახეს ღებულობს.

ამრიგად, მოწმენდილ ცაზე გაშლილი საავდრო ღრუბლები ქარს მიაქვს მიუსავლეთისაკენ, რაც იმისი ჭეშმარიტი გარანტიაა, რომ ხვალ უკეთესი ამინდი იქნება სრულიად საქართველოში.

იპოლიტე გამსახურდია

იმედის კოკონი

ასეც შეიძლებოდა დარქმეოდა ლეილა გორდელაძის ფილმს „ჩემი ბოშები“, რომელიც მაყურებელმა ახლახან იხილა თბილისის ეკრანებზე. ფილმი აგებულია ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „ბოშების“ მოტივზე და გადაღებულია 1987 წელს საქართველოს ტელევიზიის დაკვეთით.

როგორც დუმბაძის უმთავრეს ნაწარმოებებში, აქაც სამამულო ომის წლებია ასახული. ფილმში იგრძნობა ომით გამოწვეული მძიმე ატმოსფერო: ომმა ბავშვებს წაართვა ბავშვობა, თან წაიღო სოფლის სილაღე, სიმღერა, სიცილი, მოსტაცა მათ მამები, უფროსი ძმები, ახლობლები. სოფელში გამეფდა შიმშილი, ძაძებით შეიმოსა ოდესღაც სიცოცხლით სავსე საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე. თუმცა ზარბაზანის ხმა აქ არ გაუგიათ, ფოსტალიონის მიერ მოტანილი სამწუხარო წერილები შავით მოსავდა მთელ სოფელს.

რეჟისორი კარგად ხატავს ამ გარემოს. შავით მოსილი დედაკაცების გარდა, თვითეულ სახლზე გაკრული სამგლოვიარო წარწერა გვაგებინებს ამ ოჯახის უბედურებას. და ასეთ სიტუაციაში, სიცოცხლეჩამკვდარ სოფელში რამოდენა სიხარული მოუტანა ბავშვებს ხმაურიანი, მხიარული ბოშების გამოჩენამ. მოთხრობაში თუ მხოლოდ მთავარი გმირი ნოდარია დაახლოვებული ბოშებთან, ფილმში მათ ბავშვთა მთელი ჯგუფი დაყვება.

ნ. დუმბაძის თითქმის ყველა ნაწარმოების მთავარი გმირი ზურიკელა, სოსოია, და სხვა, კეთილშობილებით, სიფაქიზით, იუმორით აღსავსე პიროვნებაა და ადამიანების მიმართ სიყვარულით არის გამსჭვალული. „ბოშების“ გმირი ნოდარი (მიტო მაჭუტაძე) გამოჩენისთანავე თავისი კეთილი, ეშმაკური ღიმილითა და მოციმციმე თვალებით, გიპყრობთ და ადვილად გარწმუნებთ, რომ ეს ბავშვი დიდი გულისა, დიდი იუმორის მქონეა და თუმც ჯერ პატარაა, უნარი შესწევს, ქურდბაცაცა ბოშები ანუ „ჩაჩნები“, ეს საინტერესო ადამიანები განჭვრიტოს და მათ გულებთან მისადგომი გზა გამოძებნოს. მთელი სოფლის დედაკაცების ეს პატარა შემწე ხან თარჯიმნად გვევლინება და ხან შუამავლად თავის მეგობარ ბოშებსა და თანასოფლელებს შორის. ბავშვებს შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე ტყუპი ძმა. ბოშების უეცარი გაქრობის ეპიზოდში შთამბეჭდავია მათი თვალების გამომეტყველება, რომელიც ერთდროულად გამოხატავს გულაცრუებას, სინანულს... სოფლის ბავშვები, რომელთაც ომმა და გაჭირვებამ სიხარული მოპარა, სიცოცხლით სავსე ბოშებს მიეკედლნენ. საღამოობით აქ, დიდი კოცონით განათებულ არემარეში, ცეკვა-სიმღერისა და გიტარის ხმები ირხეოდა, რამაც მიყრუებული კუთხე ერთბაშად გამოაცოცხლა.

ლამაზი კადრებია ბოშათა ბანაკის სცენები. ამაში ლ. გორდელაძეს ხელი შეუწყო ბოშათა ინდივიდუალურმა მონაცემებმაც. რეჟისორმა ნამდვილი ბოშები მოიწვია, ანსამბლ „გილია რომენის“ მსახიობები: ტანწერწეტა ქალები და მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცები. ბოშათა ბარონის როლს ასრულებს ანსამბლის ხელმძღვანელი ვლადიმერ საკისჩი, ერთ-ერთ ცენტრალურ როლს — ოქსანას, ცნობილი მოლდაველი კინოვარსკვლავი სვეტლანა ტომა. მას აქამდე სამი ბოშა ქალის ბრწყინვალე როლი ჰქონდა შესრულებული კინოში, ტოლსტოის, გორკის და ჩეხოვის ნაწარმოებებში. იგი სიამოვნებით დათანხმდა რეჟისორს ფილმში მონაწილეობაზე

და როგორც თვითონ აღნიშნა ინტერვიუში, დიდი პასუხისმგებლობითაც მოეკიდა როლს. ნიჭიერმა მსახიობმა ოქსანას ძალიან მიმზიდველი და თბილი სახე შექმნა.

მსოფლიოში არაერთი მწერლის თემა გამხდარა ბოშათა ცხოვრება და ადათ-ჩვეულებები. დუმბაძეს აქ ლაკონურად აქვს მოცემული ამ ხალხის კონტრასტული თვისებები. რეჟისორმა ბოშათა კარგი მხარეები წამოსწია წინ. იგი ეყრდნობოდა ავტორის აზრს, რომ სოფელს დიდი სიკეთე მოუტანა ბოშა ქალების მარჩიელობამ: „ყველა დაქცეულ ოჯახს თუ არა, ნახევარს მაინც გაუცოცხლა ომში დაღუპული შვილები, ქმრები, ძმები, სიძეები, სასიძოები, მამები და ნათესავები...“

შესანიშნავი კადრია ნინა ძნელაძის (რუსუდან ქვლივიძე) სახლში ოქსანას მარჩიელობის სცენა. ოქსანა არწმუნებს ნინას, რომ მისი შვილი ცოცხალია. მსახიობი კარგად ხატავს მწუხარე დედის გრძნობებს. ის არა მარტო ამ პატარა კუთხის დედაკაცის სახეა, არამედ საერთოდ ფრონტზე დაღუპული ჯარისკაცის დედის განზოგადებული ხასიათია.

რეჟისორულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს მოთხრობის ტრაგი-კომიკურ პლანში გადაწყვეტა. ფილმში იუმორი მძიმე ატმოსფეროსთანაა შერწყმული.

ტრაგი-კომიკური სიტუაცია განსაკუთრებით იგრძნობა ფინალურ სცენაში, როდესაც ბოშები ერთ მშვენიერ დღეს აქედან აიბარგებიან და თან გაიყოლებენ ზენობნელების პაწია დოვლათს. იმ პატარა ეპიზოდში, როდესაც მილიცია ეჭვმიტანილ ბოშებს დააპატიმრებს და დაზარალებულებს იბარებენ თავიანთი ნივთების დასაბრუნებლად, საინტერესო ხასიათები იხსნებიან. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ორი ეპიზოდური როლი: სოფლის ბრძენი ბერიკაცი ლევანისა (მიხეილ ვაშაძე) და ბალიანის უფროსი (გოვენ ჭეიშვილი). მრავლის მთქმელია მათი პაექრობა. თითოეული თავისი პოზიციიდან მართალია. ერთი კანონის სადარაჯოზე დგას და დამნაშავისათვის ღირსეულ მიზღვას მოითხოვს, მეორე კი სოფლის თავკაცის როლში გვევლინება და ჰუმანისტურად უდგება ამ ფაქტს. იგი მილიციის უფროსს არწმუნებს, რომ ყველაფერი ეს მათ ბოშებს აჩუქეს. გამწარებული სოფლელები ივიწყებენ თავიანთ ზარალს და თავკაცის მხარეს იჭერენ. ამ თითქოს პატარა სცენაში მთელი ნაწარმოების აზრია ჩაქსოვილი და დიდი სიმძაფრითაა გამოვლენილი ქართველი ხალხის შემწყნარებლობა სხვა ერის მიმართ. ქართველებს სისხლში და ხორცში აქვთ გამჯდარი ჭეშმარიტი ჰუმანიზმი.

ბოლოსთვის მოვიტოვე ფილმის ერთი შესანიშნავი სახე. ეს არის ბებია (ნაზი კეკაყმაძე, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი, საქ. სსრ სახალხო არტისტი). ბებიას დაუვიწყარი სახე ეკრანზე შექმნა ისეთმა დიდმა მსახიობმა, როგორიცაა სესილია თაყაიშვილი, ამიტომ ნაზი კეკაყმაძე ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მან შეძლო შეექმნა ბებიის ახალი, სესილია თაყაიშვილისაგან განსხვავებული საინტერესო სახე. კეკაყმაძის ბებია არის კეთილი და ენაბასრი ტიპიური გურული ქალის ცოცხალი, დამაჯერებელი სახე. იგი ობოლ შვილიშვილს არც დედობრივ ალერსს აკლებს და არც ტუქსვას. წყევლაშიც არა ნაკლებ სითბოს აქსოვს, ვიდრე ალერსში.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმში ბებია და შვილიშვილი ცენტრალური როლებია, მთავარი გმირი მაინც ბოშათა და ზენობნელების ურთიერთობაა, რასაც გვიმტკიცებს ფინალში აყღერებული ხმა: „წავიდნენ ჩემი შავტუხა, ხალისიანი, მოჩხუბარი, მჭედელი, მოცეკვავე, მარჩიელა და ქურდბაცაცა ბოშები. წავიდნენ უკანმოუხედავად, თან წაიღეს ჩვენი სოფლის ერთი ციცქნა დოვლათი, სამაგიოროდ, ლაშის ღელის ჭალაში იმედის ისეთი კოკონი დაგვიტოვეს, რომ დღესაც მინთია გულში“.

იმედის კოკონი არის სწორედ ფილმის ლეიტმოტივი. ამ კუთხიდან არის დანახული მოთხრობაში გაშლილი მოვლენები და ხასიათები. ამითაა გამართლებული ფილმის ტრაგი-კომიკური ხასიათი.

ფილმის ძირითადი აზრის ხორცშესხმას ემსახურება არა მარტო მსახიობთა მიერ დახატული პერსონაჟები, არამედ ფილმის შემქმნელთა მთელი კოლექტივის — ოპერატორ იოსებ კრეპსის, მხატვარ გია ფერაძის, კომპოზიტორ იოსებ კეკეყმაძის — ერთობლივი შემოქმედება. ეს ყველაფერი ორგანულ კავშირშია რეჟისორ ლეილა გორდელაძის ჩანაფიქრთან.

როდესაც სვეტლანა ტომას გაეხუმრნენ, რას წაიღებს სვეტლანა ტომა ზენობნიდანო, მან უპასუხა: „სვეტლანა ტომა თან წაიღებს თქვენს გულღია ურთიერთობებს, სტუმრისადმი სიყვარულს, სუფრის წესს, კრიმანჭულს, დილაობით გადმოძახებულ „გამარჯობა სვეტლანა“-ს კვლავ სტუმრობის იმედს“.

ამ კეთილშობილური, ადამიანური გრძნობის მატარებელია სარეცენზიო ფილმი.

ლია გუგუნავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე
ლეილა გორდელაძე
თენგიზ აბულაძე

კადრები ფილმიდან
„ბოშები“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია გუგუშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რკინიგზის კულტურის
სასახლის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო თეატრი
„ბერიკონი“

„ეკიკოროის“ ვრცემიერა

ჩუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი მაყურებელს ვერ იტევს.

აქვე არიან რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის დიდი მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები...

არის უჩვეულო მღელვარება, თრთოლა, მოუთმენლობა... ერთი სიტყვით, ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევს.

კიდევ რამდენიმე წუთიც და...

იწყება სპექტაკლი.

სცენის სიღრმეში ვარდისფერ კოსტიუმში გამოწყობილი პატარა მსახიობი გამოჩნდება. ატმის ყვავილივით შემოანათებს მოხალვათებულ სცენაზე და ლოცვასავით წარმოთქვამს თავისი გმირის პირველ ფრაზას.

— რა მშვენიერია?!

ეს მზიაა, მეფის ასული — ცხრა წლის ფატუნა გიორგაძე.

ერთ მიზანსცენას მეორე ცვლის, მეორეს მესამე... თანდათან ვეცნობით კომედიის გმირებს, მათ სახეებს, სხვადასხვა ეპიზოდებს და პიესის პირველი ფრაზა მეტ ძალასა და ემოციურ დატვირთვას იძენს. აქ ყველაფერი არა მარტო მშვენიერია, უფრო მეტიც... შესანიშნავია, შთამბეჭდავია.

ამიერკავკასიის რკინიგზის კულტურის სასახლის II საკავშირო ფესტივალის ლაურეატი — ბავშვთა და მოზარდთა სახალხო თეატრი „ბერიკონი“ მორიგი პიესის პრემიერას წარმოადგენს.

გიორგი ნახუცრიშვილის კომედია „ჭინჭრაქა“.

უფროსი და საშუალო თაობის მაყურებელთა მეხსიერებას ჯერ ისევ ნათლად შემოუნახავს რუსთაველის თეატრის დიდი მსახიობების მიერ წარმოდგენილი ეს სპექტაკლი. ამიტომ მასთან ხელახლა შეჭიდების სურვილი, თითქოს, გაფიქრების საშუალებასაც გვიხსნიდა...

მაგრამ ეს მხოლოდ ბავშვთა და მოზარდთა თეატრის მიერ წარმოდგენილი „ჭინჭრაქას“ ნახვამდე ხდება.

შემდეგ კი... უამრავი მაყურებელი, ტაში და უთვალავი ყვავილი უთუოდ მეტყველებს ნორჩ მსახიობთა წარმატებაზე.

წარმატება კი იოლად როდი მოდის.

არც ამჟამად მოსულა.

მაინც სად უნდა ვეძებოთ მისი სათავე?

თავი და თავი, ვფიქრობ, კულტურის სასახლის დირექტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი ოთარ ცქიტიშვილია. ამ სასიკეთო საქმის დიდი ენთუზიასტი, რომლის უშუალო ინიციატივითაც შეიქმნა საბავშვო თეატრი 1986 წელს.

მაშინ კი მთავარი ის იყო, როგორ შეესხმებოდა ფრთები ამ ჩანაფიქრს, ვინ იქნებოდა პატარების გზის პირველგამკვალავი.

არჩევანი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მაშინდელ სტუდენტზე რევაზ გულუაზე შეჩერდა. თუმცა რევაზს სამსახიობო ფაკულტეტამდეც საკმაოდ კარგი სკოლა ჰქონდა გამოვლილი — ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი. იგი დღესაც თეატრალური ინსტიტუტის ამავე ფაკულტეტის სტუდენტია.

სტუდენტური შემოქმედების ერთობ გრძელი გზა სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, როგორ იქცა თეატრი მის ცხოვრებაში სისხლხორცეულ მოვლენად.

იღბლიანი გამოდგა რ. გულუას სარეჟისორო დებიუტიც.

იოლი როდი იყო პირველი ნაბიჯები. ახალბედა რეჟისორს, როგორც იტყვიან, „შიშველი ხელებით“ უხდებოდა მუშაობის დაწყება.

სხვადასხვა სკოლაში შეარჩია თეატრის მოყვარულთა პირველი ჯგუფი თხუთმეტი ბავშვის შემადგენლობით. მერე კი დღითიდღე მატულობდა მათი რიცხვი. დღეს კი „ბერიკონი“ ორმოცამდე ნორჩ მსახიობს ითვლის.

— სანამ პიესას შევარჩევდით, — იგონებს რევაზ გულუა, — საჭირო იყო, ბავშვებში გამეღვივებინა ის სიყვარული, რომელიც მათ გააჩნდათ თეატრისადმი. დავიწყე მათთან მუშაობა სასცენო მეტყველებაზე, მსახიობის ოსტატობაზე, სასცენო მოძრაობაზე, რითმიკაზე, ვოკალზე. ხშირად ვესაუბრებოდი თეატრის ისტორიაზე. ყოველივე ამის სინთეზმა და შეჯერებამ მოგვცა თეატრის პირველი დებიუტი — ს. მიხალკოვის „ბლუმენ შტრასენ 27“.

მეორე სპექტაკლი, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ერის ქომაგი“ ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა.

სპექტაკლი, რომელმაც პირველი დიდი სიხარული მოუტანა, როგორც ნორჩ მსახიობებს, ასევე მათ რეჟისორს, იყო პამელა ტრავერსის „მერი პოპინსის“ მიხედვით შექმნილი მიუზიკლი. სპექტაკლმა თვითშემოქმედების II საკავშირო ფესტივალზე ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ხოლო მის რეჟისორსა და თხუთმეტ ნორჩ მსახიობს საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა.

სპექტაკლი ფართო მაყურებელს წარუდგინა საქართველოს საბავშვო გადაცემათა რედაქციამ (რედაქტორი ნუნუ ცხომელიძე).

ამავე სპექტაკლით მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის კულტურის სასახლემ „ბერიკონი“ საგასტროლოდ მიიწვია. პატარებმა თავიანთი ხელოვნება მოსკოვში ქართული კულტურის ცენტრ „მზიურშიც“ წარმოადგინეს, სადაც დაგეგმილი ორი სპექტაკლის ნაცვლად სამი სპექტაკლი ჩატარდა. აქვე შეხვდნენ ისინი საზღვარგარეთელ სტუმრებს.

სწორედ ამ იღბლიან სპექტაკლს ხვდა წილად ანდერსონის სახელობის პოლონეთის თოჯინებისა და მსახიობთა სახელმწიფო თეატრის მიწვევა გასული წლის მარტში.

პოლონეთში წარმოადგინეს აგრეთვე სპექტაკლი „თბილისური საღამოები“. წარმატებები აქაც შთამბეჭდავი იყო. პოლონურმა პრესამ გამოაქვეყნა სპექტაკლების რეცენზიები, ვარშავის ტელევიზიამ კი სპეციალური გადაცემა მიუძღვნა მათ.

პატარა ქართველი მსახიობები ვალში არ დარჩენენ უფროს უცხოელ კოლეგებთან და საპასუხო გასტროლებზე მოიწვიეს ისინი. ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამ ორი თეატრის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

კიდევ რამდენიმე საინტერესო სპექტაკლს ითვლის „ბერიკონელთა“ ნუსხა. ესენია: შ. შამანაძის ცნობილი პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“, პ. გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური“, თ. მაღალაშვილის „სად ხარ, სოფიკო“, დიუმანუა და დინერის „დონ ჟუანი და ბაზანი“.

ამჟამად კი გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“!

ეს ის სპექტაკლებია, რომლებმაც მაყურებლის ყურადღება მიიპყრო თავისი აქტუალობით, პრობლემურობით, რეჟისორული თუ მხატვრული გადაწყვეტით, და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, ეს გადაწყვეტა ზედმიწევნით მიახლოებული და დაკავშირებულია ჩვენს დღევანდელ საფიქრალთან. მთავარი კი მაინც სიკეკეთისაგან ბოროტების ძლევაა.

ასე აქვს ჩაფიქრებული ყოველი სპექტაკლი რეჟისორს. რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალის ლაურეატს რევაზ გულუას, თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელს დალი კალაძეს, რეჟისორის ასისტენტ ხათუნა ჩხეიძეს, ამავე აზრს იზიარებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ვანო ასკურავა და ბალეტმაისტერი ლიანა აბულაძე.

ასეთივე სულისკვეთებით იზრდებიან ნორჩი მსახიობები: ფატუნა გიორგაძე, ნათია გუჯაბიძე, სოფიკო ცხადაია, პაატა კორძაძე, ძმები გიორგი და თეიმურაზ კორტავები, დიმიტრი მინდიაშვილი და ზურაბ ალავერდაშვილი, კესო ჩიღუნაძე და ნათია გიორგობიანი, მარიამ თიბილაშვილი, ანა ვარდოსანიძე, ირაკლი კერესელიძე და ჯემალ სოლომნიშვილი, ლელა დანგაძე თუ ნინიკო ყოჩიაშვილი... სხვებიც, ვინც ამ თეატრში ფეხი შემოდგა.

აქაური ალსაზრდელებიდან უკვე ორი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია, ბევრი ოცნებობს მსახიობობაზე. თუმცა ყველა ალბათ მსახიობი ვერ გახდება, მაგრამ თუ ეს პატარა თეატრი თუნდაც ერთ ან ორ დიდ მსახიობს დაულოცავს გზას, მისი მისია, ვფიქრობ, შესრულებულად ჩაითვლება.

* * *

— მონად სიცოცხლეს სიკვდილი გვიჯობს!... ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს მთელ სპექტაკლს.

— გაუმარჯოს თავისუფლებას!.. — ამ სიტყვებით კი მთავრდება სპექტაკლი „ჭინჭრაქა“.

ეშვება ფარდა, რომელიც კულისებს მიღმა დარჩენილ ნორჩ მსახიობებს და მათ ხელმძღვანელებს მრავალ საზრუნავსა და საფიქრალს უტოვებს, მაყურებელს კი მათთან ხელახალი შეხვედრის დიდი სურვილით განაწყობს.

ნუნუ კუკრეიშვილი

ზედა სიმონეთი ჩემი მშობლიური სოფელია. წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში განისვენებენ ჩემი წინაპრები — პატიოსანი მშრომელები... იქ ცხოვრობს ჩემი 80 წელს მიღწეული ბებია...

ავტორი

ბილის-ქუთაისის მთავარ მაგისტრალზე, თერჯოლის რაიონში, არის გადასახვევი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გზა აქედან ქართველი კლასიკოსი მწერლის — დავით კლდიაშვილის მშობლიური სოფლის — ზედა სიმონეთისაკენ მიდის. ამ სოფელში არის მისი სახლ-მუზეუმი. მწერლის ეზოს დაჰყურებს გორა, რომლის თავზეც სოფლის სასაფლაოა. აქ, ეზოში, დგას XI საუკუნეში წმ. გიორგის სახელზე აგებული სამნავიანი ბაზილიკა — ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში. ადიხართ გორაზე და იქიდან თვალწინ გადაგეშლებათ ბრწყინვალე გადასახედი, გამოჩენილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის იმერულ პეიზაჟებს რომ მოგვაგონებს. სერზე გაშენებული სიმონეთი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და ხალხმრავალი სოფელია თერჯოლის რაიონში. იგი ისტორიულად მოიცავდა დღეს არსებულ სოფლებს, რომლებიც ადრე მისი უბნები იყო. ესენია: ზედა და ქვედა სიმონეთი, ნახშირღელე, ნავენახევი, ბარდუბანი, ეწერი, ძევრი და სეფარეთი. შემდგომში ეს უბნები თანდათანობით გამოეყვნენ სიმონეთს და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად დამკვიდრდნენ. თითქმის ყველა მათგანს აქვს თავისი ეკლესია, რომელთაგან უმეტესობა XIX საუკუნეში და XX-ის დასაწყისშია აგებული.

ამ წერილში ჩვენ ზედა სიმონეთის წმ. გიორგის ეკლესიასა და სოფელ სიმონეთის ისტორიას შევეხებით.

სიმონეთის ზემოთ არის „შინდოვნის“ (უნაგირას) მთა. გადმოცემის თანახმად, სოფელი მის კალთებზე ყოფილა გაშენებული. შემდგომ მოსახლეობას თანდათანობით ქვემოთ ჩამოუნაცვლებია. ამას ადასტურებს უნაგირას აღმოსავლეთ ქიმზე შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც „ნასაყდრალს“ უწოდებენ. მისი ქვები გამოყენებულია წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობისათვის. როგორც პროფესორი ზ. ჭუმბურიძე ვარაუდობს, „შინდოვნის“ მთაზე მდებარე ეკლესიაც სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. იგი აგებული ყოფილა თლილი ქვისაგან, შემოვლებული ჰქონია ქვის დიდი გალავანი. კარგად ჩანს მისი საფუძველი, რომელიც დღეს ძირითადად ნანგრევებით არის დაფარული. ეკლესიასთან ერთადერთი საცალფეხო ბილიკი გვაკავშირებს, დანარჩენი სამი მხარე კი მიუვალია.

შინდოვნის მთა რომ დასახლებული ყოფილა, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: 1937 წელს ზედა სიმონეთში მცხოვრებ ილიკო საპანაძეს მიწის დამუშავების დროს ე. წ. „წიფლარში“ უპოვნია „ბრინჯაოს თოხი“ და სხვა საგნები. ეს თოხი ამჟამად დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ჩხარის თოხის“ სახელწოდებით.

როდის მოხდა ბარში გადმოსახლება, ძნელი სათქმელია; ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნეზე ადრე რომ მოხდებოდა, ეს აშკარაა. გადმოცემით, ბარად ჩამოსახლებულ ხალხს ახალი ეკლესია აუგია, რისთვისაც „უნაგირაზე“ არსებული ეკლესიის წარწერიანი ქვები გამოუყენებიათ. წმ. გიორგის ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამნავიანი ბაზილიკაა. მის დასავლეთით ცალკე დგას დაახლოებით XVIII-XIX საუკუნეებში აშენებული სამრეკლო. ეკლესია ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, თავისი წარწერებით იპყრობს. ასომთავრულითა და ნუსხურით შესრულებული ათი წარწერა განფენილია ეკლესიის ყველა კედელზე. წარწერებში დაფიქსირებულია სოფლის სახელი, ეკლესიის ამშენებლისა და ცალკეულ პიროვნებათა ვედრებანი. ისინი სათანადოდ შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ვ. სილოგავას წიგნში „დასავლეთ საქართველოს წარწერები“. ნაკვ. I (IX-XIII ს.ს.). ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ წარწერებს გავაცნობთ მკითხველს.

ეკლესიის სამხრეთი მინაშენის აღმოსავლეთ კედელზე გიორგი ღვინოსძის წარწერაა, შესრულებული ნუსხურნარევი ასომთავრულით: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე ღვინოს ძეი გ(იორგ)ი; ამავე კედელზეა იაკობის წარწერა: „ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, მო(ი)ხსენე ს(უ)ლი იაკობ(ი)სი“. აქვეა ივნას წარწერაც: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ივნა“.

აღმოსავლეთის ფასადზე არის იაკობის გრაფიტი: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე იაკობ“. ამავე კედელზე არის ნუსხურით შესრულებული ხატიას გრაფიტი „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ხ(ა)ტ(ი)აა“. აგრეთვე ვხვდებით შალვას წარწერასაც „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე მ(ო)ნ(ა)ი შ(ე)ნი შ(ა)ლ(ვა)“.

დასავლეთის ფასადზე არის კვირიკესა და იანვარის წარწერა: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე კ(ვრიკ)ე, იანვარ-ორნივე ძმანი“.

ჩრდილოეთ მინაშენის ფასადში არის შემდეგი წარწერა: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე სოფელი სომიანეთი“. აქვეა სტეფანე კალატოზის წარწერაც: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე სტ(ე)ფ(ა)ნე კ(ალა)ტ(ო)ზი“.

წმ. გიორგის ეკლესიის კედლები მაღალი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმებითაა დამშვენებული. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთის კედელი იქცევს.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. სამივე კარის თავზე ჯვრებია ამოკვეთილი და მათ ნახევარრკალად ზემოდან ჩუქურთმა აქვთ შემოვლებული.

ჩვენ დრომდე შემონახული კანკელი ძალიან საინტერესოა თავისი შესრულების დონითა და სილამაზით.

ეკლესიას აშკარად ეტყობა საგრძნობი ცვლილების კვალი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარეს); ამასვე გვაფიქრებინებს „თაღისებური ჩუქურთმების არასიმეტრიულობა სამხრეთის კედლის გარეთა მხარეს და დასავლეთის კედელში უკუღმა ჩასმული წარწერიანი ქვა. (კვრიკესა და იანვარის წარწერა — გ. ს.). პროფ. ზ. ჭუმბურიძის სამართლიანი შენიშვნით, „წარწერა უკუღმა შეიძლებოდა მოექციათ მხოლოდ მოგვიანებით, როცა (მშენებლებს — გ. ს.) ძველი ასოები უკვე მივიწყებული ჰქონდათ და წაკითხვა აღარ შეეძლოთ“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ. 14/IX, № 38). ჩვენი ვარაუდით ეს XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე შეიძლება მომხდარიყო. როგორც ცნობილია, თემურლენგმა თავისი შემოსევების დროს იმერეთიც დალაშქრა; ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდა, გადაწვა და [illegible] საფიქრებელია, რომ წმ. გიორგის ეკლესიაც მის მიერ იქნა დანგრეული, ხოლო ოსტატებმა, რომელთაც იგი აღადგინეს, ძველი ქართული დამწერლობა არ იცოდნენ და ამიტომაც წარწერიანი ქვა კედელში უკუღმა ჩასვეს.

... ხრესილის ისტორიული ომის წინ ქართველთა ლაშქარი სწორედ წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში შეკრებილა. ეს ფაქტი ვრცლად და მხატვრულად აქვს აღწერილი რევაზ ჯაფარიძეს „მძიმე ჯვარში“. მოვიტანთ მცირე ნაწყვეტს:

„მუხურაში დაბანაკებულმა იმერთა ლაშქარმა... დაბლობში დაშვება და... სიმონეთის მიდამოებში თავმოყრა დაიწყო...

ზედა სიმონეთის საყდარში, რომელიც სოფლის ქვედა უბნებს ასწლოვანი ცაცხვებითა და მუხებით დაბურული გორაკიდან გადაჰყურებდა, კათალიკოსმა ბესარიონმა და მის ამალაში მყოფმა საეკლესიო მამებმა პარაკლისი გადაიხადეს, ჯარი დაამწყალობეს და ცად სამართლიანი საქმის გამარჯვების საევედრებელი აღავლინეს“...

ამის შემდგომ სიტყვა წარმოუთქვამს სოლომონ მეფეს და გამარჯვება უსურვებია ქართველთა ჯარისთვის.

... XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიას დანგრევის საშიშროება შექმნია: კედლები დაბზარვია, სახურავიც დაზიანებია... მაგრამ მას მშველელად მოვლენია გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვარი, წარმოშობით სიმონეთელი, ჩვენი უნივერსიტეტის ამშენებელი სვიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი, რომელსაც საიმედოდ გაუმაგრებია ეკლესიის კედლები (ე. წ. მოჭიმვის მეთოდით). მისი წყალობითაა, რომ ეკლესიამ ჩვენამდე მოაღწია.

ახლა კი სოფელ სიმონეთის ისტორიის შესახებ. მისმა სახელწოდებამ საუკუნეების მანძილზე ცვლილებები განიცადა: XI საუკუნეში [illegible] წარწერა გვაუწყებს, მას სომიანეთი რქმევია, შემდგომში იგი სვიმონეთმა შეცვალა. ასე უწოდებდნენ სოფელს ამ საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა დამკვიდრდა — „სიმონეთი“.

სიმონეთში, შინდოვნის მთის სამხრეთ კალთის ძირში, გადიოდა ძველი საქარავნო გზა, რომელიც დღეისთვის მთლიანად მოჭიწყებულია. ეს გზა მოდიოდა სკანდეს ციხიდან, გამოივლიდა ჩიხორს, ჩხარს და მდ. ძევრულაზე გადადიოდა. დღეს არსებული ხიდის ჩრდილოეთ მხარეს შემორჩენილია ძველი ხიდის თაღბურჯების ნარჩენები. ამ ხიდის შესახებ ვახუშტი გვეუბნება: „ძევრს არს ხიდი ქვიტკირისა. სვეტთა ზედა წერილ არს: „არა მამამან, ძე მანდა, არა სულმან წმიდამან, ძე მანდა“... გზა აქედან გამოივლიდა ძევრის „ჩეხნარის“ ეკლესიასთან, შემდეგ წმ. გიორგის ეკლესიასთან, ბროლიქედსა და ნავენახევის გორებს შორის გავლით გადიოდა მდ. ჭიშურაზე, სადაც დღესაც არის ქვის ძველი ხიდი. გზა ამ ხიდიდან ორად იყოფოდა — ერთი დასავლეთით მიემართებოდა ქუთაისისკენ, ხოლო მეორე ჩრდილო-დასავლეთით — გელათის მონასტრისკენ.

სოფელი სიმონეთი XVI საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე საგანმგებლოდ ჰქონია მიცემული ვინმე გოხასძეს. ამ პერიოდიდან კი იგი გადასულა მესხეთიდან წამოსული ფეოდალის კლდია შალიკაშვილისა და მისი მემკვიდრეების მფლობელობაში, რასაც ადასტურებს იმე-

აჭიდან ილეოვა სვეროვლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთის მეფის — გიორგი II-ის (1563-1583) წყალობის სიგელი, რომელიც 1563-1564 წლებშია შედგენილი.

დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა: „ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა — ლიხთიმერისა და ლიხთამერისა — თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან, ღმრთივ აღმატებულმან და ღმრთივ-დამყარებულმან, ძლიერმან და უძლეველმან და ჩვენ ღმრთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან დედოფალთ-დედოფალმან რუსუდან ესე წყალობის საიმედო წიგნი და სიგელი გიბოძე შენ, კლდიაშვილთ შალიკაშვილს და შენს შვილს გოგიჩას და შალიკას და ზაქარიას და ბენიამინს, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედან, რომ საათაბაგოდგან რომ წამოვედით, შენ თან წამოგვყევით შენის ცოლითა და შვილით, შვიდის (კომლის) გლეხით, ცხენის ჯოგით, ხარისა და ძროხის ჯოგით, ცხვრისა და თხის ჯოგით. სხვაგან ბევრგან გაძლიეთ სარჩო, მაგრამ არსათ ინდომეთ — სვიმონეთს მოინდომეთ მოსახლობა. გიბოძეთ გოხაძისოული ალაგი მისის ყოვლისფერით: სახლ-კარით, ჭურ-მარნით, ტყითა და ველით, სასაფლაო ერთი ტანი გელათს ჩემს საფერხეს გაძლიე, მაგრამ არ მკადრე; გიბოძე სვიმონეთს საყდარი და სასაფლავო. შვიდის წლის ყმარწვილს აქეთ კაცი რომ მოკვდებოდა, მანდ სვიმონეთს საფლავს მივიღებდით და ისევ ჩვენი სასაფლაო გიბოძეთ; და ერისგანს — მოხელობა. ოთხი პატრიარქი გარდმოგვყვა და მირჩიეს, რატომ ერთი ეფისკოპოზი შენს სასაფლაოზედ არ ზისო; აბაშიძე გენათლად დავსვი. შენ გენათელს მიგაბარე და ჩემათ საჯეროდ ჯვარწითელად დაგაყენე“... (იმერთა მეფის გიორგი II სიგელი).

სიმონეთისა და იქ მომხდარი ამბების თაობაზე არაერთი ისტორიული ცნობაა შემორჩენილი. მათგან გავიხსენებთ ზოგიერთს.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისი დასავლეთ საქართველოში აღინიშნა გამუდმებული შინაომებით, შფოთითა და ინტრიგებით, რაშიც იმერეთის მეფე გიორგი VI-ც აქტიურად იყო ჩაბმული. თავისი უმსგავსო მოქმედებებით სწორედ იგი აძლევდა ტონს გამთიშველ ძალებს. იმ ხანებში მომხდარ ბრძოლებს შორის ერთ-ერთი სოფელ სიმონეთში გაიმართა 1716 წელს, რაზაც შედეგად გიორგი VI-ის ტახტიდან გადაგდება მოჰყვა (ეს უკვე მესამედ).

იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, რომელიც საქართველოში 1771 წლის ოქტომბრიდან 1772 წლის ნოემბრამდე იმყოფებოდა, არგვეთის მხარეში სხვებთან ერთად მოხსენიებული აქვს მდ. ძევრულაზე მდებარე სოფელი სიმონეთიც.

სიმონეთმა გარკვეული როლი ითამაშა 1810 წლის აჯანყების დროს: 28 ივლისს აქ მოხდა დიდი ბრძოლა რუსის ჯარსა და აჯანყებულთა შორის, რომელიც ამ უკანასკნელთა მარცხით დამთავრდა.

XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფო მმართველობის მხრივ ექვს ოკრუგად იყოფოდა: ვაკის, საჩხეიძეოს, ოკრიბის, ლეჩხუმის და რაჭის. მათ ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ და ქვეყნის გამგებლობა 26 სამოურავოში იყო თავმოყრილი, რომელთაც სათავეში მეფის მიერ დანიშნული მოურავები ედგნენ. ისინი მეფის კუთვნილ ციხეებში იმყოფებოდნენ ან ისეთ სოფლებში, სადაც სახასო გლეხები ცხოვრობდნენ. მოურავები თავიანთ საგამგებლოებს მათდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირთა დახმარებით მართავდნენ. ისინი ერთი და იმავე გვარიდან ინიშნებოდნენ. სიმონეთის სამოურავოს სათავეში აზნაური კლდიაშვილი ედგა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის სახელმწიფომ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობა გამოაცხადა. იგი ცდილობდა, ევროპიდან აზიისკენ მიმავალ ვაჭრებს, ტრაპიზონზე გამავალი გზის ნაცვლად, საქართველო-ამიერკავკასიის გზა აერჩიათ. ამან გამოიწვია საქართველოსადმი უცხოეთის სახელმწიფოების ინტერესის გაძლიერება. წამყვანი ევროპული ქვეყნებიდან საგანგებო დავალებით გამოგზავნილი პირები დიდი გულმოდგინებით სწავლობდნენ საქართველოს, განსაკუთრებით კი მის სავაჭრო-ეკონომიკურ მდგომარეობას. ასეთ მოგზაურთა რიცხვს ეკუთვნოდა ჟან ფრანსუა გამბაც — საფრანგეთის მეფის კონსული თბილისში, რომელიც საქართველოში 1820-1824 წლებში იმყოფებოდა და საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა მის სხვადასხვა კუთხეს. გამბას დაკვირვებები ფართოდ აისახა მის თხზულებაში. ამჟამად ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ის, რომ ფრანგი კონსული სოფელ სიმონეთის მოურავს კლდიაშვილსაც სტუმრებია და იმერელთა სანაქებო სტუმართმოყვარეობაც უგემებია. ამასთანავე, მან ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. აი როგორ აქვს გამბას აღწერილი სიმონეთში მოგზაურობა: „ყვირილას მარჯვენა ნაპირიდან სიმონეთამდე 15 ვერსი ორსაათნახევარში დავფარეთ. ჩვენ მიერ გამოვლილი გზა ჯერ ვაკეზე გადიოდა, შემდეგ კი მთას აუყვა. ასე ვიარეთ მანამდე, ვიდრე არ მივაღწიეთ წარჩინებული კლდიაშვილის კარ-მიდამოს. რუსეთის სამსახურში მყოფი ეს ლეიტენანტი ამჟამად სოფლის ერთ-ერთი პირველი მემამულეთაგანი და მისი მოურავი გახლავთ. ამ ცოტა ხნის წინათ მას აუშენებია საცხოვრებელი სახლი, რომელიც თავისი ფორმითა და ოთახების განლაგებით ჩვენ მიერ ნანახი ყველა სახლისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. მთავარი ოთახის წინ დატოვებული იყო ვიწრო შემოსასვლელი, რომელიც სახლის გარდიგარდმო განლაგებულ ორ საძინებელ ოთახსაც უკავშირდებოდა. შენობას ირგვლივ ერტყა რვა ფუტის სისქის ბოძებზე დაყრდნობილი გადახურული აივანი, ჰქონდა შემინული ფანჯრები და აგურის ბუხრები, მაგრამ ეს სახლიც მთლიანად ხისა იყო... სიმონეთის მოურავის სახლის ავეჯი შედგებოდა თათრული ნოხებითა და ბალიშებით გაწყობილი ტახტებისა და რამდენიმე გრძელი სკამისაგან. სადილი, რომელიც მან გაგვიმართა, დიდებულ სადილად ითვლება ამ ქვეყანაში და კერძების სიუხვით გამოირჩეოდა. ღვინო საუცხოო გახლდათ და ბლომადაც მოგვართვეს. იმერლების

სადილი კარგახანს გრძელდება რუსების სადილობისაგან განსხვავებით...

ორივე სქესის ყმათა რიცხვი, რომლებიც მოურავს შინამოსამსახურეობას უწევდნენ, ან მისი კარ-მიდამოს ირგვლივ მიმოფანტულ შენობებში ცხოვრობდნენ, ძალზე დიდი იყო. ქალები აბრეშუმს რთავდნენ და მისგან ქსოვილებს ქსოვდნენ. ზოგიერთი მათგანი ბამბას გრეხდა; ზოგი კი გარეული ჯიშის მსხალსა და ქლიავს ჭყლეტდა და მათი მურაბისმაგვარი ფაფისაგან მჟავე მასას ამზადებდნენ...“

რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, კერძოდ, 1814 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა დებულება იმერეთის ახალი ადმინისტრაციული დანაწილების შესახებ, რომლის მიხედვითაც იმერეთი 6 ოკრუგიდან 4 ოკრუგამდე შემცირდა. ქუთაისის ოკრუგში, სხვებთან ერთად, სოფ. სიმონეთიც შედიოდა. 1829 წელს გიორგი სამანიშვილმა აქ ააგო „ფოსტა“, რომელიც შორაპანსა და ქუთაისს შორის მდებარეობდა. „ფოსტა“ იყო სიმონეთის ცენტრი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმონეთს გამოეყვნენ მისი უბნები და შექმნეს საკუთარი სასოფლო საბჭოები. დღეისთვის სიმონეთის ისტორიული ტერიტორია დაყოფილია ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად. ერთ-ერთი მათგანია ზედა სიმონეთის სასოფლო საბჭო. სოფლის სახელი საქვეყნოდ განადიდეს ერის სახელოვანმა შვილებმა, უპირველეს ყოვლისა, დავით კლდიაშვილმა, სიმონეთელთა საამაყო რძალმა ეფრო კლდიაშვილმა და მისმა ვაჟებმა — საბა და სვიმონ კლდიაშვილებმა, სერგო კლდიაშვილმა, დავით ღვინეფაძემ, ცნობილმა ფიზიოლოგმა კალენიკე აბულაძემ და სხვებმა.

დღეს ამ ტერიტორიაზე არის ერთი საშუალო და ერთი დაწყებითი სკოლა, ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა, კლუბ-კანტორა, ორი მაღაზია, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, პურსაცხობი, სპორტული მოედანი, მაღალი ძაბვის ქვესადგური, ორი ელექტროწისქვილი, კოლმეურნეობა, საექიმო პუნქტი, სამკურნალო აბანო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები და სხვ.

სოფელს სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემებიც აქვს. მათგან ყველაზე აქტუალურია ის, რომ მაგისტრალური, შიგა სასოფლო და საუბნო გზები კეთილმოუწყობელია და შეკეთებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ზედა სიმონეთის ეკლესიას საბჭოთა პერიოდში მოაკლდა ზრუნვა, დაიკარგა ბევრი საეკლესიო ნივთი; ამჟამად სახურავიდან წყალი ჩამოდის, აფუჭებს კედლებს. ვერა და ვერ მოხერხდა მისი შეკეთება, არადა შეიძლება ძეგლი სულ მალე ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ეკლესია ელის იმ ბედნიერ დღეს, როცა მის კედლებში კვლავ ჩატარდება ქართული წირვა-ლოცვა.

სასურველია, ზედა სიმონეთის წმ. გიორგის სახელზე XI საუკუნეში აშენებული ეკლესია — ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში, საგანმგებლოდ გადაეცეს საპატრიარქოს, დაინიშნოს მღვდელი და აღდგეს ქართული წირვა-ლოცვა.

გოჩა საითიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ომენდანტის საათის შემოღების იმ ავადმოსაგონარ დღეებში თბილისელები მეტწილად დღისით ქუჩაში ფეხით დადიოდნენ. ჰოდა, მეც „ჟიგული“ მეგობრის გარაჟში დავაყენე და ავლაბრის დალმართს ჩავუყევი.

დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიით გაოგნებული მივუყვებოდი ტროტუარს. მტირალა კლდესთან რომ მივალწიე, ძაძით შემოსილ მოხუც ქალს წამოვეწიე. ბეჭებში მოხრილი მოხუცი ხელჯოხის მოშველიებით მილასლასებდა. ცალ ხელში წითელი მიხაკები ეჭირა, ცალითაც ჯოხს ეყრდნობოდა, გაივლიდა თუ არა მცირე მანძილს, ცოტა ხანს შედგებოდა, შეისვენებდა და ისევ ჯოხის კაკუნით განაგრძობდა გზას.

ქვემოთ რომელიღაც ეკლესიაში ზარს ჩამოჰკრეს. მოხუცი იმწამსვე შეჩერდა, შუბლზე ხელისგული მიიჩრდილა, მზისკენ მიქცეული მოჭუტული თვალებით გახედა ქალაქს და პირჯვარი გადაისახა.

— ქალბატონო ელენე, დაბრძანდით, მიგიყვანთ, — შეეხმიანა მოხუცს დამუხრუჭებული ავტომანქანიდან თავგამოყოფილი მძღოლი.

— გმადლობთ, შვილო, დათქმული მაქვს, ხოცვა-ჟლეტის იმ ადგილამდე ფეხით მივიდე.

რატომღაც, მეც ნაბიჯი შევანელე. ვიდრე ბარათაშვილის ხიდამდე ჩავალწევდით, კიდევ ორმა სხვამ შესთავაზა მოხუცს მანქანა. ისინიც იმავე პასუხით გაისტუმრა.

ხიდთან ხალხის ნაკადში შერევისას მოხუცი თვალიდან დამეკარგა. ფურცელაძის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე ავედი. განა მარტო მე? ქუჩაში მიმავალთა უმრავლესობა აქეთ მოეშურებოდა. თითქოსდა წინასწარ შეთანხმებულანო, ყველას ყვავილები ეჭირა, ზოგსაც — ვეება თაიგულები. მარტო მე ვიყავი ხელცარიელი. ყვავილების ჯიხურთან გრძელი რიგი იდგა, ქაშვეთის გალავნის კუთხეში სოფლელი დედაკაცი ყუთზე ჩამომჯდარიყო. ტიტებსა და მიხაკებს სთავაზობდა გამვლელ-გამომვლელთ.

— რა ღირს?

— ჩემს ეზოშია მოყვანილი, შვილო, რაც გულმა გირჩიოს, იმდენი გადამიხადე. ამ ფულითაც მარტო სანთლებს ვყიდულობ. აგე, გახედე ამ კედლის გასწვრივ სულ ჩემი დანთებულია. ჩანავლდება თუ არა, ახლებს ვუნაცვლებ. შვილებს გეფიცები, ბევრსაც სულ მუქთად ვატან. ალალი იყოს იმ საცოდავებისათვის, — მითხრა თვალებზე ცრემლმომდგარმა და შეძლეული თუმნიანი, ხურდის უქონლობის საბაბით, უკანვე დამიბრუნა.

ქაშვეთის გალავანი, ეზო, კარ-მიდამო ნაირნაირი ყვავილებით იყო მოფენილი.

მთავრობის სასახლის შემოგარენში კი ყვავილები სქლად, ფენა-ფენა ელაგა, ზემოდან ყოველთვის ცინცხალი სინორჩით გამორჩეული. გეგონებოდათ, ყვავილები კი არ დაუწყვიათ ბორდიურებსა და ასფალტზე, ნოყიერ ნიადაგზე გაუხარებიათო.

გახმაურებული სიმღერის სიტყვები გამახსენდა: „მილიონ, მილიონ წითელ ვარდს“... და სიტყვა მილიონი მეცოტავა. არც გამემტყუნება. აქ, ამ წმინდა ადგილას, სისხლის ფერი რომ სჭარბობდა, რისი მილიონი, ამაზე უთვალავჯერ მეტი ვარდი, ტიტა, მიხაკი, ია და ყაყაჩო ეწყო, სანთლებით გაჩირაღდნებული. თუ ქვეყნად ამდენი ყვავილი და სანთელი იქნებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი.

იმ ხელჯოხიან მოხუც ქალს მივეკარი. თვალი. ახლოს მივედი. ჯიხი ბორდიურზე მიეყუდებინა, მუხლებში ჩაკეცილი, ყვავილებზე გადამხობილიყო და გულსაკლავად ხმამაღლა მოსთქვამდა:

— შვილო გიორგი, მოგვიდნენ, ბიჭო, თანატოლები... გაუფრთხილდი, მოუკოე, შემოგევლე, შენი არ იყოს, მაგათაც აქ არავინ გაუფრთხილდა. ცხოვრებაუნახავებს ამოუღამეს თვალები. ვაი, შენს დედას, ვაი, მაგათ დედებს. შენც გაბარებ, შვილო თამრიკო, მაგათ უცოდველ სულებს.

მოტირალს მანდილოსნები ამოუდგნენ მხარში, წამოაყენეს, დაშოშმინება დაუწყეს, მაგრამ რა დააშოშმინებდა გულიდან მომსკდარ ვარამს.

არაქათგამოცლილმა ტირილი რომ შეწყვიტა, ერთ-ერთმა ხნიერმა კაცმა მორიდებით ჰკითხა:

— ქალბატონო, ორმოცდათექვსმეტში დაიღუპნენ თქვენი შვილები?

— ორმოცდათექვსმეტის ცხრა მარტს ძმისწული შეიწირეს, ჩემი შვილი კი ბევრად ადრე, და ისეთივე იარაღით, რითაც ეს საბრალონი...

ეს სიტყვები რებუსივით ჩამესმა. ამიტომაც მისი ბოლომდე ამოხსნის სურვილი გამიჩნდა.

საამისო საბაბიც მალე მომეცა.

— დედაშვილობას, დამეხმარე, მუხლები აღარ მემორჩილება, გადამიყვანე ქაშვეთში, სანთლები მინდა დავანთო, — მითხრა მოხუცმა და დამჭანარი ხელი გამომიწოდა. ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით ტაძრისაკენ გავსწიეთ.

იქ სანთლებზე დიდი რიგი იდგა. ბედად რიგში ნაცნობი შევნიშნე და ფული გადავაწოდე.

... რამდენჯერმე შემოვუმწკრივეთ სანთლები ოქროსფერ კანდელს. ლოცვა-ვედრებით გული რომ იჯერა, წინ გავუძეხი, ზღვა ხალხში გზა გავუკაფე, ფრთხილად ჩავიყვანე კიბეებზე და ეზოში გავედით.

— ისევ დავიღალე, შვილო, დაიქცა სიბერის მომგონი, ცოტა ხანს აქაც ჩავიმუხლებ, — თქვა მოხუცმა და ჯიშკრის კუთხეში დადგმულ ძელსკამზე ხვნეშით ჩამოჯდა.

— მითხარით, გეთაყვა, რა იარაღით მოკლეს თქვენი შვილი?

— ახლავე მოგახსენებ, თუმცა... მოიცა, შვილო, ჩემზე კარგად აი, ეს გაგცემს პასუხს, — მოხუცმა კაბის შიდა ჯიბიდან შეფუთული რაღაც ამოიღო. დიდხანს სვენებ-სვენებით ხსნიდა. ბოლოს დროკამისაგან გაყვითლებული და გაცრეცილი ჯარისკაცის სამკუთხა ბარათი გამოაჩინა. გამომიწოდა. ისევ სწრაფად გამომართვა, თვითონვე ფრთხილად, კანკალით გაშალა, ხელში რომ არ შემოდნობოდა, და მითხრა: ეს ბარათი ჩემს ძმას, აცხონოს ღმერთმა, შარშან გულის ჯიბეში გადანახული ვუპოვეთ...

ტუჩების ცმაცუნით შევუდექი კითხვას.

— ხმამაღლა წამიკითხე, შენს გახარებას, — მთხოვა მოხუცმა. გულისყურით მისმენდა, თითქოს ამ საიდუმლოს მისთვისაც პირველად უნდა ახდოდა ფარდა.

— გამარჯობა, ძიაკაცო, მაუწყებდა გაკრული ხელით დაწერილი ბარათი. — ჩვენ ერთმანეთს ვერა ვცნობთ. მარტო ის ვიცი, გიორგის ბიძა რომ ხარ. თავდაპირველად ვიფიქრე, გიორგის ოჯახს მივწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასანგრე ნიჩაბი



გიორგი გელაშვილი

მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. მამა რომ ცოცხალი ჰყოლოდა, იმას გავანდობდი სათქმელს. კაცი მაინც კაცია, მეტი გამძლეობა მიუცია ღმერთს. რასაც აქ წაიკითხავ, გიორგის დედას არამც და არამც არ გაუმხილო, ცოდოა. ერთადერთი ბიჭის მშობელმა ვაითუ, ვერ გადაიტანოს. ამიტომ ისევ გემუდარები, ეს საიდუმლო სამარეშიც თან ჩაიტანო, დაე დედას მოლოდინი მაინც დარჩეს...

მე და გიორგის ორმოცდაორში ერთად მოგვიწია ჯარში წასვლამ. თვრამეტი წლისანი ვიყავით მაშინ. ერთ სამხედრო ნაწილში მოვხვდით, სადაც სულ რაღაც ორ თვეში ნებიერა, დაღლარა ბიჭები ცოტა კალაპოტში ჩაგვაყენეს, გვასწავლეს მიბრუნ-მობრუნება. მწყობრში სიარული. მაზარის დახვევა მხარიღლივ წამოსაცმელად. შაშხანის საკეტის დაშლა-აწყობა. დამიჯერებთ? სულ ერთხელ გვასროლინეს სამიზნეზე საბრძოლო ტყვიები. ეგ იყო და ეგ. მემრე, ჰაიდა! ჯერ უმწიფარ ჯარისკაცებს ფრონტზე გვიკრეს თავი. სადესანტო ნაწილში მოვხვდით.

საბრძოლო საქმეს ათასი წვრილმანი ჰქონია, ბიძაჩემო, თუ რომელიმე გამორჩა კაცს. იქნება საბედისწეროც გაუხდეს. აკი, ამიტომ ამბობენ სამხედროები: მესანგრე თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ცდებაო.

შორიდან დავიწყე, ძიაკაცო. და უნდა მაპატიო: მიჭირს, ძალიან მიჭირს ახლოს მისვლა იმ ვაისათქმელთან... მე და გიორგიმ ფრონტული ხიფათი რომ ვიყნოსეთ, ერთმანეთს შევფიცეთ: თუ ერთ-ერთი სიკვდილის წერა გავხდებოდით, გადარჩენილს შინაურებისათვის ეცნობებინა, როგორ დავიღუპეთ, თუნდაც იმიტომ, რომ რაიმე უნებური არცოდნა არცოდვად მიეღოთ და ჩვენთვის ჯაბნობად არავის ჩაეთვალა.

პირველივე სადესანტო ოპერაციამ ბედად გაგვიმართლა. ელვისებურად დავეშვით მტრისთვის მოულოდნელ ზონაში. გამოუცდელებს ხელი არ მოგვცარვია.

კვირისსწორს ისევ გადაგვსხეს მტრის განლაგებაში. ამჯერად კი წვრილმანის უცოდინარობა (ისიც იმიტომ, რომ თავის დროზე გულდადებით არავინ მიგვანიშნა) გიორგისათვის ავად დასრულდა. ალბათ იფიქრეთ, დაკეცილი პარაშუტი არ გაეშალაო, არა ძიაკაცო, ეს არ მომხდარა. გიორგიმ ვერ მოისაზრა უბრალოზე უბრალო რამ — ქამარზე ჩალითით დაკიდებული სასანგრე ხელბარი დაშვებისას სხეულზე მიკრული დაეჭირა... და გვერდულად დაცემის დროს იმ ოხერ ნიჩაბს წამოეგო.

უკან დაბრუნებისას იმავე ნიჩბით გავუთხარე სამარე ერთ მიყრუებულ რუსულ სოფელში. ის ნავსი მიწის საჩიჩქნელა საფლავში ჩავაყოლე, რათა მიწასვე შეეჭამა და კაცის მოსაკლავად აღარასოდეს გამომდგარიყო.

კარგი ბიჭი იყო გიორგი. გული ჩაგვწყვიტა მისმა სიკვდილმა. რა უბრალოდ დაიღუპა საწყალი. რა ფათერაკი არ ემუქრება კაცს ფრონტზე. ტყვიის წვიმა, ბომბები, ნაღმები, ტანკის მუხლუხები, ყინვა, თოში და ათასი სხვა უბედურება... მაგრამ, აბა, რას ვიფიქრებდით, ამ მშვიდობიანი იარაღით კაცის მოკვლა თუ შეიძლებოდა...

მოხუცმა კითხვა შემაწყვეტინა. ტირილით გამანდო:

— იქ ბარის წერა ბრმა შემთხვევით გახდა ჩემი შვილი, აქ კი, იმ ხელებდასადუნებლებმა სატევარივით მოიქნიეს ალალმართალ ქალ-ვაჟთა ამოსაჟლეტად.

მოხუცმა აცახცახებული მკლავები ზეცისაკენ აღაპყრო. ცოტა სული რომ მოითქვა, თუ ამას სულის მოთქმა ჰქვია, მომიბრუნდა და მითხრა:

— ჩადი ბოლომდე!...

კითხვა განვაგრძე:

— ძიაკაცო, მგონი სიტყვა გამიგრძელდა. მერედა, რომელი კარგი ამბის მახარობელი მე ვარ. არ დაგზოგე. გულს დარდი მოგახვიე. რა მექნა? პირობა პირობაა — ძმაკაცისათვის მიცემული. სხვაფრივ მოქცევა არ შემეძლო. რასაც გწერ, მწარე სიმართლეა.

აქ რომ ჩამოვედით, ქართველებს ვერ დაითვლიდი. ახლა კი მთელ დივიზიაში ჩემს მადლიან ენაზე ხმის გამცემი აღარავინ მეგულება. მგონი ყველგან დავცოტავდით ქართველები — შინ თუ გარეთ. ქართველს კი, არა თუ შვილი, სავარცხელს ჩამოყოლილი მისი თმის ღერიც კი არა აქვს დასაკარგავი. ერთმანეთის მოსიყვარულება და მხარი-მხარ დგომა თუ გადაგვარჩენს სამომავლოდ. გადაშენებისაგან კი გვარ-ჯილაგის მომრავლებაღა გვიშველის, სხვა არაფერი... თუ სადმე დავიქსაქსენით, უნდა თავი მოვიყაროთ. შევდულაბდეთ, გავსალკლდევდეთ...

კარგად მეყოლეთ.

უმცროსი სერჟანტი ზაქრო ჩოლოყაშვილი.

1944 წლის 19 აპრილი...

ვიდრე კითხვას ჩავათავებდი, იმასაც მივხვდი, მოხუცმა ზეპირად იცოდა სამკუთხა ბარათი. აკი, თვითონაც გამომიტყდა: რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, პირველივით გულს მწიწკნისო...

ერთიანად თრთოდა. ცრემლები ისევ ჩამოსდიოდა დანაოჭებულ, მიმქრალ ლოყებზე. რა დავმალო და, მეც გული ამომიჯდა. თითქოს ბოლმა შიგნით დამიგუბდა. ცრემლებმა საჟონი ვერ მოძებნეს და მაშინ კიდევ ერთხელ ვირწმუნე, ცრემლივით წმინდა, გულის ვარამის მომაოხებელი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე.

●

იმ დღიდან გიორგის დედა ახლობლად დავიგულე. ვუყურებ ამ გაუბედურებულ ქალს და ის სასანგრე ნიჩაბი სულ თვალწინ მიტრიალებს. როდის უნდა ამოჭამოს მიწამ ეს ნავსი საჩიჩქნელა, რომ კაცის მოსაკლავად აღარასოდეს გამოდგეს?..

19.316

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ სტეინბეკი

რუსული დოსიე

ფრაგმენტები

სადაც არ უნდა ვყოფილიყავით — რუსეთში, მოსკოვში, უკრაინასა თუ სტალინგრადში, მაგიური სიტყვა „საქართველო“ მუდმივად თან გვახლდა. ადამიანები, რომლებიც იქ არასდროს ყოფილან და, რომლებიც, შესაძლებელია, ვერც შეძლებდნენ იქ ჩასვლას, საქართველოს შესახებ აღფრთოვანებით საუბრობდნენ და მისი ნახვის დიდი სურვილი ჰქონდათ. ისინი ლაპარაკობდნენ ქართველებზე, როგორც სუპერმენებზე, ცნობილ მოცეკვავეებზე, განთქმულ მსმელებზე, მშვენიერ მუსიკოსებზე, გამრჯე ადამიანებზე, მიჯნურებზე. საუბრობდნენ კავკასიაში შავ ზღვასთან მდებარე ამ მხარეზე, როგორც მეორე სამოთხეზე. ჩვენ ვირწმუნეთ, რომ რუსების უმრავლესობას იმედი აქვს, თუ ისინი პატიოსნად და ზნეობრივად იცხოვრებენ, როცა მოკვდებიან, სამოთხეში კი არა, საქართველოში მოხვდებიან, მისი მშვენიერი ჰავით, მდიდარი მიწითა და საკუთარი პაწაწინა ოკეანითურთ. დამსახურება სახელმწიფოს წინაშე ზოგჯერ საქართველოს საგზურით ჯილდოვდება. აქ ჩამოდიან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძალ-ღონის აღსადგენად. და ომის დროსაც კი ეს ადგილი კურთხეული იყო. გერმანელებმა აქამდე ვერ მოაღწიეს. აქამდე ვერ მიფრინდნენ მათი თვითმფრინავები, ვერ მივიდნენ მათი ჯარები. ეს იყო ერთ-ერთი მხარეთაგანი, რომელსაც ომი სრულიად არ შეხებია.

როგორც ყოველთვის, აღრე დილით, მოსკოვის აეროპორტში გავემგზავრეთ და საათნახევარი ვისხედით სადეპუტატო ოთახში, სადაც სტალინის პორტრეტის ქვეშ ჩაის მივირთმევდით. ჩვეულებისამებრ, გამგზავრების წინ, წვეულება გვქონდა და თითქმის არ გვიძინია. ჩავსხედით თვითმფრინავში და იქამდე გვეძინა, სანამ როსტოვში არ დავეშვით. ასაფრენი მინდორი და აეროდრომი ძალიან დაზიანებული იყო და ახლა მას სამხედრო ტყვეები აღადგენდნენ. შორს მოჩანდა დანგრეული ქალაქი, რომელიც ომის დროს ძალზე ძლიერად დაზარალდა.

შემდეგ კი ძალიან დიდხანს უნაპირო ვაკეზე მივფრინავდით, სანამ, როგორც იქნა, მთები არ დავინახეთ. ეს იყო მშვენიერი რამ. ჩვენ ჰაერში ავმაღლდით და კავკასიონის თავზე აღმოვჩნდით. მწვერვალებსა და წვეტიან თხემებს ვხედავდით, მათ შორის კი მდინარეები და სოფლები მოჩანდა. მთის ზოგიერთი წვეტი ზაფხულობითაც თოვლით იფარება თურმე. ჩვენ უკვე ისე შევაჩვიეთ თვალი სავსებით ბრტყელ ველებს, რომ მთების შეხედვა გვსიამოვნებდა კიდეც.

კიდევ უფრო მაღლა ავფრინდით და შორს შავი ზღვა დავინახეთ. შემდეგ კი თვითმფრინავი დაეშვა და ნაპირის გასწვრივ გააგრძელა ფრენა. მიწა ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ზღვისკენ ჩამოქანებულ ბორცვებზე მშვენიერი კვიპაროსები ხარობდნენ, ყველაფერი მწვანეში იყო ჩაფლული. ბორცვებს შორის სოფლები, დიდი სახლებითა და სანატორიუმებით, კალიფორნიას მოგაგონებდათ. ოღონდ იმ განსხვავებით, შავი ზღვა ძალიან ლურჯია და ალერსიანი, წყნარ ოკეანესავით მღელვარე არაა, ხოლო ნაპირი ნაკლებ ქვიანია. პლაჟები კი თეთრი ფერისაა.

ჩვენი თვითმფრინავი ნაპირის გასწვრივ დიდხანს მიფრინავდა. და აი, ბოლოსდაბოლოს, სოხუმში, ზღვასთან ახლოს, გაკრეჭილი ბალახის გრძელ ზოლზე დაეშვა. ბალახი ხასხასა მწვანე ფერისა! აეროპორტის ირგვლივ ევკალიპტები! რუსეთში ყოფნის დროს ისინი პირველად ვნახე. აღმოსავლური არქიტექტურის ფონზე ყველგან ყვავილები და აყვავებული ხეები მოჩანდა. პატარა აეროპორტის წინ მწკრივად ქალები ჩამომსხდარიყვნენ და ხილს, ყურძენს, ნესვს, ლეღვს, მშვენიერ ატამსა და საზამთროს ჰყიდნენ. ყურძენი, ატამი და ლეღვი ვიყიდეთ. ჩრდილოეთიდან ჩამოფრენილ მგზავრები ხილს დაეძგერნენ, მათთან ხომ ხილი საკმარისად არ არის. ამ ხალხმა იმდენი ჭამა, რომ შემდეგ ბევრი ცუდად შეიქმნა. მათი კუჭი და ორგანიზმი ხილს არაა მიჩვეული. აი, რა იცის გადამეტებამ.

თბილისში ოცი წუთის შემდეგ უნდა გავფრენილიყავით, მაგრამ თვითმფრინავის ეკიპაჟმა სხვანაირად გადაწყვიტა: მფრინავები ზღვაზე საბანაოდ წავიდნენ. ორი საათის განმავლობაში არ მობრუნებულან. ჩვენ კი ამ დროს აეროპორტის ბაღებში დავხეტიალობდით. ჩვენც დიდი სიამოვნებით ვიბანავებდით, რომ გვცოდნოდა, თუ თვითმფრინავი ოცი წუთის შემდეგ არ გაფრინდებოდა. ჰაერი თბილი, ნოტიო და მომლაშო, მცენარეულობა კი ხშირი, მწვანე და გაფუებული! ეს გახლდათ ნამდვილი ტროპიკული ბაღი.

ქართველები რუსებს სრულიად არ ჰგვანან. ისინი შავგვრემანები არიან, ძალიან მოგაგონებენ ბოშებს პრიალა კბილებით, გრძელი, მსხვილი ცხვირითა და შავი ხვეული თმით. თითქმის ყველა მამაკაცი ულვაშს ატარებს და გარეგნულად ქალებს სჯობიან კიდეც. გამხდარნი და ენერგიულნი, შავი, ბრიალა თვალებით. წაკითხული გვქონდა და გვეუბნებოდნენ კიდეც, ქართველები ძველი სემიტური მოდგმის ხალხიაო. მათ წინაპრებს ევფრატის ხეობებში უცხოვრიათ იმ დროს, როცა ბაბილონი ჯერ კიდევ ქალაქი არ ყოფილა. შუმერების შთამომავლები, დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ტომია. მგზნებარენი, ამაყნი, გულმხურვალენი, მხიარულნი! რუსეთის ყველა სხვა ხალხი მათით აღტაცებულია. ყოველთვის საკუთარ ძლიერებაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე და მამაკაცურ ნიჭიერებაზე ლაპარაკობენ. მშვენიერი მხედრები და კარგი მებრძოლები გახლავან. და კიდევ: ქართველი მამაკაცები რუს ქალებთან დიდ წარმატებით სარგებლობენ. ტრადიციული აზრით, ესაა პოეტური, მუსიკალური და მოცეკვავე ხალხი, მხურვალე მიჯნურები. ეჭვგარეშეა, ქართველები დალოცვილ მხარეში ცხოვრობენ, რომლისთვისაც, და ეს სრულიად აშკარაა, იძულებულნი იყვნენ ორი ათასი წლის განმავლობაში ებრძოლათ.

ორი საათისათვის ეკიპაჟი დაბრუნდა. ზღვაში ბანაობის შემდეგ, ჯერ თმა არ შეშრობოდათ...

ჩვენ კვლავ ავიღეთ სტარტი და ზღვასთან, დაბლა მივფრინავდით. შემდეგ კი მაღლა ავიჭერით. მივფრინავდით მთების თავზე, რომლებიც ისევე პირქუშად და ყავისფრად გამოიყურებოდნენ, როგორც კალიფორნიაში. ღრმა უფსკრულებში პატარა მთის მდინარეები მიიკლაკნებოდნენ, ხოლო მწვანით გაბურულ ნაპირებზე სოფლების გარჩევა შეიძლებოდა. მთები აქ, თვალისმომჭრელ სინათლეში, მკაცრად და პირქუშად გამოიყურებოდნენ. შემდეგ უღელტეხილს გადავუარეთ. მწვერვალები თითქმის ჩვენს გვერდით აღმოჩნდნენ და, როგორც იქნა, თბილისის ხეობაში შევედით.

ეს უზარმაზარი, მშრალი ხეობა ნიუ-მეხიკოს ჰგავს. როდესაც თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა, ჰაერი ცხელი და მშრალი იყო. ჩვენ ხომ უკვე ზღვიდან შორს ვიყავით, მაგრამ სიცხე გვსიამოვნებდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, არავითარი დისკომფორტი არ გვიგვრძნია. ეს ვრცელი, ბრტყელი ვაკე ადგილი, რომელიც ვეებერთელა მთებითაა გარშემორტყმული, თითქოს ნოტიო ჰაერისგან იზოლირებული იყო.

დიდ აეროდრომზე დავეშვით. აქ უამრავი თვითმფრინავია, ძირითადად რუსული ავიაგამანადგურებლები. ორი მათგანი ძირს დაეშვა, ორი მაშინვე ჰაერში აიჭრა. როგორც ჩანს, ისინი აქედან შორიახლოს მდებარე თურქეთის საზღვარს პატრულობდნენ.

დასავლეთით, მთის მაღალ თხემზე, ცის ფონზე შავად აღმართულიყო ძველი ციხე-სიმაგრე ქონგურებიანი კოშკებითურთ.

აეროდრომზე თბილისის საკავშირო კულტურულ ურთიერთობათა კავშირის წარმომადგენლები დაგვხვდნენ. დიდი, მშვენიერი მანქანით მოვიდნენ და საერთოდაც ძალიან სასიამოვნო ხალხი აღმოჩნდნენ. ჩვენ დაცემული, მშრალი ხეობით უღელტეხილის მიმარ-

თულებით გავემართეთ. სწორედ ამ უღელტეხილის იქითაა თბილისი — ლამაზი ქალაქი, რომელიც მრავალი ასწლეულის მანძილზე სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმავალ მთავარ სავაჭრო გზაზეა განლაგებული. გზის ორივე მხარეს, კლდეებზე, ხშირად შეხვდებით ძველ სიმაგრეებს, და თვით ქალაქის თავზეც, კლდიდან, ციხე-სიმაგრე იყურება. ვაკის მოპირდაპირე მხარესაც ციხე-სიმაგრე დგას. ამ ვიწრო უღელტეხილით სამხრეთიდან სპარსელები და ერაყელები, ხოლო ჩრდილოეთიდან — თათრები და სხვა დამპყრობლები მოდიოდნენ.

ამ ადგილას ბევრი ბრძოლა გამართულა. ამიტომაც აქ თავის დროზე დამცველი ნაგებობანი გაუშენებიათ.

ქალაქის ნაწილი ძალიან ძველია, და მთიან ხეობაში ცალი მხარისკენ ცოცხალ კლდოვან-ნაპირიანი მდინარე მოედინება. მაღალ კლდეებზე ერთიმეორეზე მიწყობილი ძველი სახლები დგას. თბილისი მართლაც ძველი ქალაქია. თუ მოსკოვი ამ წელიწადს თავისი დაარსების რვაას წელს აღნიშნავს, თბილისს გაისად ათას ხუთასი წელი უსრულდება. მაგრამ თანამედროვე თბილისი ახალი დედაქალაქია...

მისი ქუჩები ფართოა და ჩრდილიანი, და აქ ბევრი თანამედროვე შენობაა. ყოველი მხრიდან ზევით, გორაკებისკენ მიემართებიან ქუჩები. გორაკის თავზე დასავლეთისკენ პარკია განლაგებული, სათამაშო მოედნებითა და ფუნიკულიორით. ესაა გიგანტური პარკი დიდი რესტორნით, საიდანაც მრავალი მილის მანძილზე მოჩანს ხეობა. ქალაქის ცენტრში კი, კლდეზე, ნახევრად დანგრეული და პირქუში ციხეა, რომელსაც უზარმაზარი მრგვალი კოშკები და მაღალქონგურებიანი კედლები აქვს გარშემოვლებული.

თვით ქალაქში და მის ირგვლივ გარშემორტყმულ კლდეებზე უამრავი ძველი ეკლესიაა. ქრისტიანობა ქართველებმა ხომ ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში მიიღეს და მრავალი ახლა მოქმედი ეკლესია იმ ძველ დროშია აშენებული. ესაა ძველი ლეგენდებისა და ძველი ლანდების ქალაქი. არსებობს თქმულება იმის შესახებ, რომ ირანის მუსლიმანმა მეფემ უბრძანა თავის მეომრებს, შეერეკათ თბილისის დატყვევებული მოსახლეობა ხიდზე. დადგა იქ ღვთისმშობლის ხატი და ბრძანა, რომ გაათავისუფლებს მხოლოდ მათ, ვინც ხატს შეაფურთხებს. ხოლო ვინც უარს იტყვის, მათ თავს მოკვეთენ.

თქმულების თანახმად იმ დღეს იმ ხიდიდან მდინარეში ათასობით მოკვეთილი თავი გადაეშვა.

თბილისელები უკეთესად გამოიყურებიან და უფრო შთაგონებულნი ჩანან, ვიდრე ის ხალხი, რომელიც ჩვენ რუსეთში ვნახეთ. ქუჩებში მხიარულება და სინათლეა. ხალხი ლამაზადაა ჩაცმულ-დახურული, ხოლო ქალები ფერად თავსაფრებს ატარებენ.

ესაა წარმოუდგენლად სუფთა ქალაქი, პირველი სათუთად მოვლილი აღმოსავლური ქალაქი, რომელიც მე ვნახე. მდინარეში, რომელიც ქალაქის ცენტრს ჰკვეთს, ბიჭები ბანაობენ. აქ არაა ნგრევის კვალი. ხედავ მხოლოდ ისეთ ნანგრევებს, რაც დრო-ჟამისგანაა გამოწვეული.

თბილისში თავს უცხოდ არ ვგრძნობდით. ის ბევრ დამთვალიერებელს მასპინძლობს და საზღვარგარეთელ სტუმრებს მიეჩვია. ამიტომ ჩვენ აქ ისე არ გამოვირჩეოდით, ვთქვათ, როგორც კიევში ყოფნისას. თავი თითქმის შინაურებად მიგვაჩნდა. თბილისი იყო და ახლაც რჩება ქალაქად, სადაც ერთმანეთს ეგუება მრავალი რელიგია. აქაა ბევრი ეკლესია, ძველი სინაგოგები და მუსლიმანური მეჩეთებიც. აღსანიშნავია ისიც, არც ერთი მათგანი არასდროს არ ყოფილა დანგრეული.

მაღლა, გორაკზე, ქალაქის ზემოთ, დავითის ეკლესიაა. სადაა იგი და ლამაზი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მეშვიდე საუკუნეში უნდა იყოს აგებული. მძღოლმა მანქანით რაც შეეძლო ახლოს მიგვიყვანა მასთან. დანარჩენი გზა კი მთაზე მივბობღავდით. ხალხი ერთიმეორის მიყოლებით ადიოდა ეკლესიისაკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე.

ქართველი ხალხი თაყვანს სცემს ძველ ეკლესიას. ეკლესიის ეზოში დიდი ქართველი მწერლები და კომპოზიტორები არიან დაკრძალულნი. აქვე, სულ უბრალო ლოდის ქვეშ, სტალინის დედაა დამარხული. მოხუცი კაცი და სამი ხნიერი ქალი ერთი კომპოზიტორის საფლავის ქვასთან ისხდნენ და ძველ ლიტანიებს, მშვიდ, საიდუმლოებით აღსავსე მელოდიებს გალობდნენ.

ეკლესიაში წირვა მიდიოდა, ისიც აგრეთვე გალობის თანხლებით. ხალხი მწკრივად ადიოდა მაღლა და ბილიკიდან ეზოში შესვლისთანავე, ყველა მუხლს იყრიდა.

ეს იყო განმარტოებული და მშვიდი ადგილი, დაბლა, შორს კი, ქალაქი ჩანდა, კრამიტის სახურავებს ქვეშ. აქედან შეგვეძლო დაგვენახა ბოტანიკური ბაღი, ჯერ კიდევ ლეგენდარული თამარ მეფის დროს რომ გაუშენებიათ. მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა მეფე თამარი. იყო მშვენიერი, კეთილი და ძლიერი. სახელმწიფოს მართვისა და შენების დიდი უნარი შესწევდა. აგებდა სიმაგრეებს, მფარველობდა პოეტებს... გახლდათ ერთი იმ ზღაპრულქალთაგანი, როგორიც იყვნენ ელისაბედი, ეკატერინე არაგონელი, ან ელეონორა აქვითანელი.

ტაძრის ზარებმა დაიგუგუნეს და ეკლესიაში შევედით. ეს იყო მდიდარი აღმოსავლური ეკლესია დრო-ჟამისაგან ძლიერ ჩაშავებული მოხატულობით. ხალხი ერთიმეორეში იჭეოდა. წირვა მიჰყავდა ჭაღარა მოხუცს ოქროს გვირგვინით თავზე. ისეთი ლამაზი იყო მოხუცი, ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. კათოლიკოსი ბრძანდებოდა, ქართული ეკლესიის მამამთავარი. მისი სამოსი უხვად შეემკო ოქროს. წირვას სიდიადის დაღი ესვა. დიდი გუნდი შეუდარებლად გალობდა. საკმევლის კვამლი ეკლესიის მაღალ ჭერს აღწევდა. მზის სხივები ფანტავდნენ კვამლს და გუმბათს ანათებდნენ.

თბილისში ორი მუზეუმია. ერთია ქალაქის მუზეუმი, რომელიც მთის ქედზე დგას. მასში ძველი სახლების მშვენიერი მაკეტები და ძველი ქალაქის ხედებია მოთავსებული. მაგრამ ყველაზე საინტერესო მუზეუმში, მისი მცველი აღმოჩნდა. ეს კაცი მსახიობი უნდა ყოფილიყო. ის გაჰყვიროდა, სხვადასხვა პოზას იღებდა. დროდადრო ტიროდა გულამოსკვნილი და ხმამაღლა იცინოდა. ძალიან მეტყველად გამოსდიოდა, როცა მარჯვენა ხელს ზურგსუკან იქნევდა ხოლმე. გაჰყვიროდა კი, რა თქმა უნდა, ქართულად, ძველი ქალაქის დიდების შესახებ. მუზეუმიდან გაბრუებულნი, მაგრამ ბედნიერნი გამოვედით.

ამ მუზეუმთან ახლოს გზაზე, აღმართულია სტალინის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ეფექტური ქანდაკება საბჭოთა კავშირში. ესაა გიგანტური ფიგურა, რამდენიმე ფუტი სიმაღლისა, და მისი კონტურები ნეონში მეორდება. და თუმცა ეს სისტემა ახლა დაშლილია, ამბობენ, როცა ის მუშაობდა, პორტრეტი ოცდარვა მილის სიშორიდან მოჩანდაო.

დღისით ჩვენ დავესწარით მატჩს თბილისისა და კიევის გუნდებს შორის. ეს იყო მშვენიერი, სწრაფი და გააფთრებული თამაში უზარმაზარ სტადიონზე, ორმოცი ათასი მაყურებელი მაინც ესწრებოდა და ხალხი ძალიან ემოციურად რეაგირებდა, რადგან კლუბებს შორის თამაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები გააფთრებით იბრძოდნენ და თამაში მკაცრი და სწრაფი გახლდათ, არც რაიმე გაუგებრობა, არც ჩხუბი არ მომხდარა. მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ერთი პატარა დავის მოწმენი გავხდით. მატჩი დამთავრდა ანგარიშით ორით-ორი და, როგორც კი თამაში დასრულდა, სტადიონიდან ორი მტრედი ააფრინეს. საქართველოში, ძველ დროს, ნებისმიერი შეჯიბრების შემდეგ, ჩხუბისა და დავის შემთხვევაშიც კი, გამარჯვებისას თეთრ მტრედს ააფრენდნენ თურმე, ხოლო დამარცხებისას შავს. ამ დღეს კი, ვინაიდან თამაში ფრედ დამთავრდა, ააფრინეს შავიცა და თეთრი მტრედიც.

ჩვენ თბილისის უნივერმაღებიც შემოვიარეთ: ისინი სავსეა ხალხით. დახლებზე საქონელი აწყვია. მაგრამ ფასები, განსაკუთრებით ტანსაცმელზე, ძალიან მაღალია. ბამბეულის პერანგი სამოცდახუთი მანეთი ღირს, რეზინის კალოშები სამასი მანეთი, პორტატული საბეჭდი მანქანა სამი ათას მანეთად ფასობს.

მთელი დღე ქალაქში დავსეირნობდით. ვტკბებოდით პარკებისა და შადრევნების ცქერით. მუშათა პარკში ვნახეთ მშვენიერი საბავშვო რკინიგზა. ესაა ნამდვილი პატარა მატარებელი, რომელიც ჩვეულებრივი მატარებლის ყველა დეტალს იმეორებს, ხოლო მემანქანე, მეისრე, სადგურის უფროსი, ცეცხლფარეში — ყველანი ბავშვებია. მათ კონკურსის გავლით მიიღეს თავიანთი ადგილი და ისინი მართავენ მატარებელს, რომლითაც ბავშვებიცა და დიდებიც სეირნობენ. ჩვენ ამ მატარებლით ვიმგზავრეთ უზბეკეთიდან არდადეგებზე ჩამოსულ ბავშვთა დელეგაციასთან ერთად. მემანქანე — პატარა ბიჭი, ძალზე ამაყად გამოიყურებოდა. სადგური ისე მოეწყოთ, როგორც ნამდვილ რკინიგზაზეა, მხოლოდ ყველაფერი უფრო მცი-

რე ზომისაა, ბავშვები კი თავის მოვალეობას მთელი სერიოზულობით ეკიდებიან...

თბილისში ზაფხულის მშვენიერი საღამოები იდგა — რბილი, მსუბუქი და მშრალი. ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ქუჩებში სეირნობდნენ და ამინდით ტკბებოდნენ. ახალგაზრდებს რიგიანად ეცვათ : მძიმე თეთრი აბრეშუმის ქამრით შეკრული კიტელი, ვიწრო გრძელი შარვალი და რბილი შავი ფეხსაცმელი.

ძველი სახლების მაღალი აივნებიდან ღამით ბნელ ქუჩებს ეფინებოდა ჩუმი სიმღერა, წყნარი მუსიკა, რომელიც ინსტრუმენტის აკომპანიმენტით, ხან მანდოლინის, ხან ფლეიტის ხმას მოგაგონებდათ...

●

... ბათუმი ძალიან სასიამოვნო ტროპიკული ქალაქია, პლაჟებითა და სასტუმროებით, შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტი, ბუჩქებითა და ხეებით დაჩრდილული ქუჩების ქალაქი, ზღვიდან მონაბერი სიო რომ აგრილებს.

ადგილობრივი „ინტურისტი“ ყველაზე უფრო მდიდრული სასტუმროა მათ შორის, რაც კი საბჭოთა კავშირში მინახავს. ოთახები ძალიან სასიამოვნოა, ახალგარემონტებული, ყოველ ნომერში გასაწევგამოსაწევკარიანი ბალკონით. ვაგონში გატარებული ღამის შემდეგ, რომელიც სამუზეუუმო ექსპონატს გავდა, შემცბარი თვალებით გადავხედეთ ლოგინებს. მაგრამ ფუფუნებისათვის დრო აღარ გვრჩებოდა. შხაპის გადავლება ძლივს მოვასწარით. წუთები გამოთვლილი გვქონდა, ბევრი რამის დათვალიერება კი უნდა მოგვესწრო.

ღღისით რამდენიმე დასასვენებელ სახლს ვეწვიეთ. შესანიშნავ ბაღებში ჩაფლული უზარმაზარი სასახლეები! თითქმის ყველა მათგანი ზღვას გადაჰყურებს. ამგვარ სიტუაციაში ექსპერტობა ყოველთვის ძალიან სახიფათოა. თითქმის ყველა, ვისაც კი ოდესღაც რუსეთში უმოგზაურია, ექსპერტი გამხდარა და ერთი სპეციალისტი მეორე სპეციალისტს არ ეთანხმება. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვსაუბრობდეთ ამ დასასვენებელი სახლების შესახებ. მხოლოდ იმას უნდა ვამბობდეთ, რაც იქ ვნახეთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაშიც კი გამოჩნდება ვინმე, ვინც საპირისპიროს დაამტკიცებს...

საღამოს მატარებლით მგზავრობა გველოდა, მაგრამ მასპინძელთა ვარაუდით, მანამდე თეატრში უნდა წავსულიყავით. ჭამით, ღვინითა და შთაბეჭდილებით ისე ვიყავით გატანჯულნი, სპექტაკლმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. „ოიდიპოს მეფე“ მიდიოდა ქართულ ენაზე, და ჩვენ თვალი ძლივს ავახილეთ, რომ დაგვენახა ოიდიპოსი — ლამაზი მამაკაცი, მოელვარე ოქროს კბილით და თვალისმომჭრელი ყელი პარიკით. მოქმედება კიბეზე, ხან ზევით, ხან ქვევით... ოიდიპოსი ტექსტს ხმამაღლა და გამოთქმით წარმოთქვამს. როდესაც ის ბრმავდება და სისხლიან ტანსაცმელს იხევს, თვალები მთლიანად მიგველულა, თუმცა ისევ მალე გამოვაჭყიტეთ. სპექტაკლზე მოსულთა ნახევარი ჩვენ, ამერიკელებს, გვიცქეროდა. საქმე იმაშია, ამერიკელები აქ ჩამოფრენილ მარსელებივით იშვიათი სტუმრები ყოფილან. თანაც თვალტანადობით ვერ გამოვირჩეოდით. ძილ-ღვიძილში ჩაფლულები, მასპინძელმა თეატრიდან გამოგვიყვანა. ჯერ მანქანაში, შემდეგ ვაგონში ჩავტენა. ჩვენ კი მთელი ამ დროის განმავლობაში მთვარეულებივით დავბორიალობდით. მერე ჩვენ-ჩვენს საწოლებზე დავემხეთ და წამსვე დაგვეძინა.

ქართველებს, ამ საოცარ ხალხს, ჩვენ ვერ შევეჯიბრებით. მათ შეეძლოთ ჩვენზე გაცილებით მეტი ესვათ, ეცეკვათ და ემღერათ. მათში იტალიელთა გააფთრებული მხიარულება და ბურგუნდელთა ფიზიკური ენერგია ბობოქრობს. ყველაფერი, რასაც კი ხელს მოჰკიდებენ, მარჯვედ და მკვირცხლად გამოსდით. ისინი სრულიად არ გვანან რუსებს, რომლებსაც ჩვენ ვხვდებოდით. ადვილი გასაგებია, სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქენი რატომ არიან ქართველებით ასე აღფრთოვანებულნი. ტროპიკული ჰავა კი არ ამცირებს, აძლიერებს კიდეც მათ სიცოცხლისუნარიანობას და მათი ინდივიდუალობის, მათი ნებისყოფის დათრგუნვა, არაფერს შეუძლია. საუკუნეების განმავლობაში დამპყრობლები, მეფის არმიები, დესპოტები თუ ადგილობრივი დიდგვაროვანნი, ამის გაკეთებას ცდილობდნენ. მაგრამ ყველაფერი შეემსხვრა ამ ხალხის ნებას და ვერაფერმა შეძლო მისი შერყევა.

ჩვენი მატარებელი თერთმეტი საათისთვის ჩამოვიდა თბილისს, ჩვენ კი მთელი გზის განმავლობაში გვეძინა. ტანთ ძლივს ჩავიცვით, სასტუმროში გავემგზავრეთ და კიდევ ცოტა ხანს ვიძინეთ. საჭმლისთვის პირი არ დაგვიკარებია, ჭიქა ჩაიც არ დავლიეთ, რადგან მეორე დილით, მოსკოვში წასვლამდე, კიდევ რაღაც გველოდა. საღამოს თბილისის ინტელიგენცია და კულტურის მოღვაწენი ჩვენ საპატივცემულოდ წვეულებას მართავდნენ. და თუ თქვენ მოგეჩვენათ, რომ ჩვენ ღორმუცელობის რეკორდს ვამყარებდით, არც შეცდებით. ჩვენი მონაყოლით არ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ გამუდმებით ვჭამდით. უბრალოდ, ეს ასე იყო.

როგორც მომეტებული საკვებითა და ღვინით კუჭმა შეიძლება დაკარგოს კერძის გემო და ღვინის ბუკეტი, ასევე გონებაც შეიძლება ჩაახშო შთაბეჭდილებებით, გაავსო სურათებით, მაგრამ ისე, რომ ფერსა და მოძრაობას ვეღარ არჩევდე. ჩვენ კი, ყველაფერთან ერთად გაგვტანჯა ზედმეტმა ჭამამ, ზედმეტმა სმამ და ნანახ-განცდილმა. ამბობენ, უცხო ქვეყანაში შთაბეჭდილებები მკაფიოდ და ზუსტად მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში შეიძლება აღიქმებოდეს. შემდეგ კი ისინი ბუნდოვანდება და მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვეღარ ლაგდებიან. ამიტომ უცხო ქვეყანაში ან ერთი თვით, ანდა ხუთი წლით უნდა დარჩე.

ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს გარემოს უკვე მძაფრად ვეღარ აღვიქვამდით. და იმ საღამოს ქართველ ინტელიგენციასთან ვახშმობის წინ, ცოტა შეძრწუნებულნი ვიყავით. ძალზე დაღლილებსა და დაქანცულებს, განსაკუთრებით ინტელექტუალური სიტყვების მოსმენა აღარ გვინდოდა. აღარ გვინდოდა გვეფიქრა ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე. ეკონომიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და რაც მთავარია, ჭამა-სმა აღარ შეგვეძლო. ლოგინში ჩაწოლა და თვითმფრინავამდე ძილი ყველაფერს გვერჩია. მაგრამ ქართველები ისე კეთილად და ალერსიანად იყვნენ ჩვენს მიმართ განწყობილნი, რომ აუცილებელი იყო მიღებაზე წასვლა. ეს იყო ერთადერთი ოფიციალური თხოვნა, რომლითაც მათ მოგვმართეს, და ქართველებისა და მათი ეროვნული სულის მიმართ მეტი ნდობა უნდა გამოგვეჩინა. თანაც ვახშამი, ჩვენ რომ გვეშინოდა, იმნაირი არ გამოდგა.

ჩვენი ტანსაცმელი საშინელი შესახედაობისა გახლდათ. ბევრი საჭირო ნივთის წამოღება ვერ შევძელით. როცა თვითმფრინავით მგზავრობ, ეს უბრალოდ შეუძლებელია. და საბჭოთა საზღვარზე გადასვლის შემდეგ სხვანაირად გამოვიყურებოდით : გაუუთოებელ შარვლებში. სუფთა, მაგრამ დაჭმუჭნული პერანგებით, ელეგანტური ამერიკის არცთუ კარგ ნიმუშს წარმოვადგენდით.

ფუნიკულიორზე, ამ დიდი მთის მწვერვალზე მდებარე რესტორანში აგვიყვანეს, საიდანაც მთელი ხეობის ხედი იშლებოდა. მოსალამოვებულიყო და ქალაქი ჩვენს ფეხქვეშ სინათლეში ელვარებდა. ... ონის შავი მწვერვალების ფონზე საღამოს ცას ოქროსფერი ელფერი დაჰკრავდა.

დიდი წვეულება იყო. გვეჩვენებოდა, თითქოს მაგიდა მთელი მილის სიგრძეზე გაეჭიმათ. სუფრა ოთხმოცი კაცისთვის გაეშალათ. აქ იყვნენ ქართველი მოცეკვავეებიც, მომღერლებიც, კომპოზიტორებიც, კინორეჟისორებიც, პოეტები, მწერლები. მაგიდაზე ყვავილები ლამაზად გაშლილი... ქვევით, ფრიალო კლდეებქვეშ, ბრილიანტებით აელვარებული ქუჩები, უამრავი ლამაზი მომღერალი და მოცეკვავე ქალი სტუმრად მოპატიჟებული...

როგორც ყველა ამგვარი წვეულება, ისიც ოფიციალური სიტყვებით დაიწყო, მაგრამ ქართული ნატურა, ქართული სული ამგვარ რამეს დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეეგუა და ყველაფერი ეს მალე დაიმსხვრა. საქმე იმაშია, რომ ეს ხალხი ფორმალობას მოკლებულია, და მათ არ შეუძლიათ დიდხანს ოფიციალურნი და მაღალფარდოვანნი იყვნენ. დაიწყო სიმღერა, მღეროდა სოლოცა და გუნდიც. გაფიცხდა ცეკვა. ისმებოდა ღვინო. წვეულება თითქმის დილამდე გაგრძელდა. მახსოვს, როგორ ასწია ქართველმა კომპოზიტორმა ღვინით სავსე თასი, გაიღიმა და თქვა:

— ჯანდაბას პოლიტიკა!

მახსოვს, როგორ მომეწონა ქართული ცეკვა და როგორ ვცდილობდი, მეცეკვა ლამაზ ქართველ ქალთან, რომელიც უთვალსაჩინოესი მოცეკვავე აღმოჩნდა. დაბოლოს, მახსოვს გუნდური სიმღერა ქუჩაში და ის მილიციელი, რომელიც მოგვიახლოვდა, რომ გაეგო, თუ რას ვმღეროდით და მერე სიმღერას თავისი ხმა შემოუერთა. ენობრივი წინაღობები და ნაციონალური საზღვრები დაინგრა და თარჯიმნის ყოველგვარი საჭიროება დაიკარგა.

საქართველო ესაა ჯადოსნური მხარე და იმ დროს, როცა თქვენ ტოვებთ მას, იგი სიზმარს ემსგავსება. ქართველი ხალხიც ჯადოქრული და მომხიბლავია. ნაღდია, რომ ესაა ერთი ყველაზე უფრო უმდიდრესთაგანი და უმშვენიერესთაგანი მხარე დედამიწაზე, და ეს ხალხი ამ ადგილზე ცხოვრების ღირსია. ახლა ჩვენ ვხვდებით, თუ რატომ იმეორებდნენ რუსები:

— სანამ საქართველო არ გინახავთ, თქვენ არაფერი არ გინახავთ საერთოდ!

თარგმნა

ალექსანდრე გუაჩიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ცხოვრება ჩემი მოღვაწეობა

ზოგიერთი რამ დასაფიქრებელი იმათთვის, ვინც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის იღვწის

ადამიანებით ბუნებრივია მუშაობა იმის შეგნებით, რომ ბედნიერება და კეთილდღეობა მიიღწევა მხოლოდ პატიოსანი შრომით. ადამიანის უმაღლესი, უმეტესად ამ ბუნებრივი გზიდან გადახვევის მცდელობის შედეგად მოგვევლინება ხოლმე. მე არ ვაპირებ ისეთი რამის შემოთავაზებას, რაც გაცდებოდა ამ ბუნებრივი პრინციპის უცილობელი აღიარების ფარგლებს. მე იმ ვარაუდიდან გამოვდივარ, რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ. ჩვენს მიერ აქამდე მიღწეული წარმატებები არსებითად წარმოადგენენ რაღაც ლოგიკური შეგნების შედეგს: რადგან მუშაობა გვიწევს, უმჯობესია ვიცხოვროთ გონივრულად და წინდაბედულად; რაც უფრო კარგად ვიმუშავებთ, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენთვის. აი, რას გვიკარნახებს, ჩემის ფიქრით, ელემენტარული სალი, ადამიანური აზრი.

სამუშაო საკმარისია. საქმეები — ეს იგივეა, რაც სამუშაო. პირიქით, ზზა პროდუქტებით სპეკულაციას საერთო არაფერი აქვს საქმეებთან — იგი, არც მეტი, არც ნაკლები, ქურდობის ყველაზე მარტივ სახეობას წარმოადგენს, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის გზით აღმოფხვრას. საერთოდ, კანონმდებლობის გზით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ: იგი არასოდეს არ არის კონსტრუქციული. მას არ შეუძლია გამოვიდეს პოლიციური ხელისუფლების ჩარჩოებიდან და ამიტომ ჩვენი მთავრობის ინსტანციებისაგან იმის ლოდინი ვაშინგტონში ან შტატების მთავარ ქალაქებში, რაც მათ არ ძალუძთ, ნიშნავს დროის ფუჭად ხარჯვას. მანამ, სანამ ჩვენ, ველით კანონმდებლობისაგან სილატაკის შველასა და პრივილეგიების აღმოფხვრას მსოფლიოში, უნდა ვუყუროთ, როგორ იზრდება სილარიბე და მრავლდება პრივილეგიები. მეტისმეტად დიდხანს გვკონდა ვაშინგტონის იმედი და მეტისმეტად ბევრი კანონმდებელი გვყავს, თუმცა ისე თავისუფლად ვერ გრძნობენ თავს ჩვენთან, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ისინი კანონებს მიაწერენ ისეთ ძალას, როგორიც მათ არ ახასიათებთ.

დევიზი „ნაკლები ადმინისტრაციული სული საქმიან ცხოვრებაში და მეტი საქმიანი სული ადმინისტრაციაში" ძალიან კარგი არა მარტო იმიტომ, რომ იგი სასარგებლოა საქმეებში და სახელმწიფოს მართვაშიც, არამედ იმიტომაც, რომ იგი სასარგებლოა ხალხისათვის.

ზნეობრივი პრინციპი — ეს არის ადამიანის უფლება თავის შრომაზე. ეს უფლება სხვადასხვაგვარი ფორმით გამოიხატება. ადამიანი, რომელმაც მოიპოვა თავისი პური, მოიპოვა მასზე უფლებაც. თუ სხვა ადამიანი პარავს ამ პურს, იგი იპარავს მეტს, ვიდრე პურია — იპარავს წმინდა ადამიანურ უფლებას.

თუ ნიადაგ თვალწინ არ გვექნება მიზანი, ძალზე ადვილია თავი ფულით გადავიტვირთოთ და შემდეგ, გაუთავებელ მცდელობაში ვიშოვოთ კიდევ უფრო მეტი ფული, სრულიად დავივიწყოთ აუცილებლობა საზოგადოების უზრუნველყოფისა იმით, რაც მას სინამდვილეში ესაჭიროება. საქმეების კეთება წმინდა გამორჩენის საფუძველზე უმაღლესი ხარისხის რისკიანი წამოწყებაა. ეს აზარტული თამაშის ერთგვარი სახეობაა, რომელიც არათანაბრად მიმდინარეობს და იშვიათად, რომ გაძლოს რამდენიმე წელზე მეტ ხანს. წამოწყების ამოცანაა — ვაწარმოოთ მომხმარებლისათვის და არა გამორჩენისა ან სპეკულაციისათვის. ხოლო ასეთი წამოწყების პირობაა, რომ მისი პროდუქტები იყოს კარგი ხარისხისა და იაფი, რათა ეს პროდუქტები ემსახურებოდეს ხალხის და არა მარტო მწარმოებლის კეთილდღეობას. თუ საკითხი ფულის შესახებ მცდარ პერსპექტივაში განიწილდება, მაშინ პროდუქციაც ფალსიფიცირდება მწარმოებლის გულისმოსაგებად.

მწარმოებლის კეთილდღეობა საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია აგრეთვე იმ სარგებლობაზეც, რომელიც მას ხალხისათვის მოაქვს. მართალია, მას გარკვეულ პერიოდში შეუძლია თავისი საქმეები არცთუ ისე ცუდად წარმართოს, განსაკუთრებით საკუთარი თავის სასარგებლოდ, მაგრამ ეს დიდხანს არ იქნება. საკმარისია ხალხი მიხვდეს, რომ მწარმოებელი მას არ ემსახურება და მისი აღსასრულიც შორს არ იქნება.

ფული, სავსებით ბუნებრივია, სასასარგებლო საქმიანობის შედეგად მოგვევლინება. ფულის ქონა აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ მასთან არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ ფულის მიზანია არა უსაქმურობა, არამედ სასარგებლო შრომისათვის სახსრების გამრავლება. პირადად ჩემთვის არაფერია უსაქმურ ცხოვრებაზე უფრო საზიზღარი.

ამრიგად, ჩემი იდეის კვინტესენცია იმაში მდგომარეობს, რომ ბედოვლათობა და სიხარბე ამუხრუჭებს ჭეშმარიტ პროდუქტიულობას. მაგრამ ბედოვლათობა და სიხარბე სულაც არ არის გარდუვალი ბოროტება. ბედოვლათობა მეტწილად გამომდინარეობს არასაკმარისად გონივრული დამოკიდებულებიდან ჩვენს მოქმედებებზე ან მათ დაუდევრად შესრულებაზე. სიხარბე ახლომხედველობის სახეობაა. ამგვარად, ჩემი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გვეწარმოებინა მასალისა და ადამიანური ძალის მინიმალური დანახარჯებით და გაგვეყიდა მინიმალური მოგებით, რის დროსაც, საბოლოო მოგებისათვის მე გასაღების მასშტაბების იმედი მქონდა.

გამიგონია, რომ კონკურენცია ვითომდა საფრთხეს წარმოადგენს და რომ მოხერხებული საქმოსანი თავიდან იცილებს თავის კონკურენტს, იქმნის რა ამით თავისთვის ხელოვნურ მონოპოლიას. ამასთან, გამოდიან იმ აზრიდან, რომ მყიდველთა რიცხვი განსაზღვრულია და, რომ ამიტომ საჭიროა კონკურენციის თავიდან აცილება. დრო, რომელიც იხარჯება კონკურენტებთან ბრძოლაზე, ფუჭად იფლანგება; უკეთესი იქნებოდა მისი სამუშაოზე გამოყენება. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც სიამოვნებით, გულმოდგინებითაც კი ყიდულობენ იმ პირობით, რომ მათ ხელსაყრელ ფასებში ამარაგებენ და ამარაგებენ იმით, რაც მათ ნამდვილად ესაჭიროებათ. ეს შეეხება როგორც პირად მომსახურებას, ისევე საქონელსაც.

როცა ვმუშაობთ, საქმეს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ; როცა ვმხიარულობთ, მაშინ ვიმხიარულოთ ხრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. უაზრობაა ერთის მეორესთან შერევა. თითოეულმა ჩვენგანმა მიზნად უნდა ღაისახოს სამუშაო კარგად შეასრულოს და ამისათვის კარგი ანაზღაუ-

ტრაგიკოსი

ანტონ ჩეხოვი

ტრაგიკოს ფენოგენოვის ბენეფისი იყო. „თავადი სერებრიანი“ წარმოადგინეს. თვითონ ამ თავშეყრის მიზეზი, ვიაზემსკის თამაშობდა, ანტრეპრენერი ლიმონადოვი — მოროზოვის რაზმელს, ქალბატონი ბეობახტოვა — ელენეს. სპექტაკლი დიდებული გამოვიდა. ტრაგიკოსი პირდაპირ სასწაულებს სჩადიოდა. ცალი ხელით იტაცებდა მაღლა ელენეს და სცენიდან როცა გაყავდა, თავს ზემოთ ეჭირა. ყვიროდა, სისინებდა, ფეხებს აბრახუნებდა, მკერდზე ხიფთანს იგლეჯდა. მოროზოვი დუელზე როცა უარს ამბობდა, მთელი ტანით ისე კანკალებდა, როგორც სინამდვილეში არასდროს ხდება ხოლმე და ქშენისაგან სული ეხუთებოდა. თეატრი ტაშისაგან ზანზარებდა. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამოიხმეს სცენაზე მსახიობები. ფენოგენოვს ვერცხლის პორტსიგარი მიართვეს გრძელი ლენტით. ქალები ცხვირსახოცებს უქნევდნენ და მამაკაცებს აიძულებდნენ, რომ ტაში დაეკრათ, ბევრნი ტიროდნენ... მაგრამ მსახიობთა თამაშით ყველაზე მეტად პოლიციის უფროსის სიდორეცკის ქალიშვილი — მაშა გახლდათ აღელვებული და აღტაცებული. ის პირველ რიგში იჯდა მამის გვერდით. ანტრაქტის დროსაც ვერ მოეწყვიტა სცენისათვის მზერა და უსაზღვროდ აღტაცებული იყო. ნაზი ხელ-ფეხი უკანკალებდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და სულ უფრო და უფრო ფითრდებოდა. თუმცა ყველაფერი ეს რა გასაკვირია, ის ხომ თავის ცხოვრებაში პირველად იყო თეატრში.

— რა კარგად წარმოადგინეს, რა ჩინებულად, — ეუბნებოდა ხშირ-ხშირად მამას, როცა ფარდა ეშვებოდა. — რა კარგია ფენოგენოვი! და მამილოს აზრების წაკითხვა რომ სცოდნოდა, თავისი ქალიშვილის ფერმიხდილ, ნაზ სახეზე ტანჯვამდის მიღწეულ აღტაცებას ამოიკითხავდა. ის იტანჯებოდა როგორც მსახიობთა თამაშით, ასევე პიესისა და მთელი ამ გარემოს გამო. ანტრაქტის დროს, როცა ბოლკის ორკესტრი იწყებდა დაკვრას, ღონემიხდილი თვალებს ხუჭავდა.

— მამა! — მიმართა მან პოლიციის უფროსს უკანასკნელი ანტრაქტის დროს. — სცენაზე ადი და ხვალ ყველა მსახიობი სადილად მოიწვიე. პოლიციის უფროსი კულისებში შეხვდა მსახიობებს. კარგი თამაშისათვის ყველა შეაქო, ხოლო ქალბატონ ბეობახტოვას ქათინაურით უთხრა.

— თქვენი ლამაზი სახე ტილოზე ამ-ბეჭდვის ღირსია. ო! რატომ მხატვარი არა ვარ!

და ფეხი ფეხზე შემოკრა. შემდეგ კი მსახიობები სახლში მოიწვია სადილად.

— ქალების გარდა ყველანი მოდით, — ჩურჩულით თქვა მან. — მსახიობი ქალები არ გინდათ, სახლში ქალიშვილი მყავს.

მეორე დღეს მსახიობები პოლიციის უფროსთან სადილობდნენ. ანტრეპრენერი ლიმონადოვი, ტრაგიკოსი ფენოგენოვი და კომიკოსი ვოდოლაზოვი მოვიდნენ მხოლოდ. სხვებმა უდროობა მოიმიზეზეს. სადილმა მოსაწყენად ჩაიარა. ლიმონადოვი პოლიციის უფროსს არწმუნებდა, რომ დიდ პატივს სცემს და საერთოდ ეთაყვანება უფროსობას. ვოდოლაზოვმა მთვრა-

---

რება მიიღოს. როცა სამუშაო დამთავრებულია, გართობაც შეიძლება. ხწორედ ამიტომ ფოთლის ფაბრიკებსა და საწარმოებში არ არის არავითარი ორგანიზაცია, არავითარი საგუშაგოები განსაკუთრებული მოვალეობებით, არავითარი შემუშავებული ადმინისტრაციული სისტემა, ძალზე ცოტა ტიტულები და არავითარი კონფერენციები. ჩვენს კანტორაში ზუსტად იმდენი მუშაკია, რამდენიც საქმისთვისაა აუცილებელი. საერთოდ არ არის არავითარი „დოკუმენტები“ და აქედან გამომდინარე, საქმის გაჭიანურებასაც არა აქვს ადგილი.

რადგან ჩვენ არა გვაქვს არც ტიტულები, არც სამსახურებრივი უფლებამოსილებანი, ამიტომ ჩვენთან ადგილი არა აქვს არც საქმის გაჭიანურებას და არც ძალაუფლების გადაჭარბებას. — ყველა მუშაკს ყველასთან მიესვლება. ეს სისტემა იმდენად ჩვეულებრივი გახდა ჩვენთან, რომ საამქროს უფროსი თავს სულაც არ ჩათვლის შეურაცხყოფილად, თუ რომელიმე მისი მუშა მის გარეშე უშუალოდ ფაბრიკის ხელმძღვანელს მიმართავს. მართალია, მუშას იშვიათად აქვს საბაბი ჩივილისათვის, რადგან სახელოსნოების უფროსებმა მშვენივრად იციან, რომ ყოველგვარი უსამართლობა ძალიან მალე გამოშუღავნდება და მაშინ ისინი სახელოსნოების უფროსები აღარ იქნებიან. უსამართლობა ჩვენთან მათ რიცხვს მიეკუთვნება, რისი მოთმენაც არ შეიძლება. თუ ადამიანს მაღალმა თანამდებობამ თავბრუ დაახვია, ეს მალე მუღავნდება და მას საამუშაოდან ითხოვენ ან დაზგასთან აბრუნებენ.

სიღარიბე მთელი რიგი წყაროებიდან გამომდინარეობს, რომელთაგან უმთავრესნი აღრიცხვას ემორჩილებიან. მე გადაჭრით შესაძლებლად მიმაჩნია სიღარიბისა და განსაკუთრებული პრივილეგიების გაბედგურება. იმაზე, რომ ერთიც და მეორეც სასურველია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან სიღარიბე და პრივილეგიები არაბუნებრივია, მაგრამ დახმარებას მხოლოდ და მხოლოდ მუშაობისაგან უნდა ველოდოთ და არა კანონმდებლობისაგან.

სიღარიბისაგან თავდახსნის წამალი მდგომარეობს არა წვრილმან ყაირათიანობაში, არამედ წარმოების საგნების საუკეთესო განაწილებაში. მცნება „ყაირათიანობა“ და „ეკონომია“ გაზვიადებულია. სიტყვა „მომჭირნეობა“ ავადმყოფობის გამომხატველია. არამწარმოებლური ხარჯვის ფაქტი, მთელი თავისი ტრაგიკული სიდიდით უმეტესწილად შემთხვევით გამოვლინდება ხოლმე და მას მაშინვე მოჰყვება გაცხარებული რეაქცია არამწარმოებლური ხარჯვის წინააღმდეგ — ადამიანი ეჭიდება მომჭირნეობის იდეას. სამწუხაროდ, იგი მხოლოდ ცვლის ნაკლებ ბოროტებას უფრო დიდით, ნაცვლად იმისა, რომ უკან გაიაროთ მთელი გზა, რომელსაც ცდომილებიდან ჭეშმარიტებამდე მივყავართ.

მომჭირნეობა ნახევრადცოცხალი ადამიანების საყვარელი წესია. უდავოა, მომჭირნეობა მფლანგველობაზე უკეთესია, მაგრამ ისევე უდავოა, რომ იგი სასარგებლო ხარჯებზე უარესია. ხალხი, რომელიც არაფერს მოითხოვს თავისი დანაზოგებიდან, ქადაგებს მათ როგორც ზნეობრიობას. მაგრამ არის კი უფრო საცოდავი სანახაობა, ვიდრე ხაწყალი, მრავალი საზრუნავით შეწუხებული ადამიანი, რომელიც თავის ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს დღეებში ლითონის რამდენიმე ნაჭერს ებღაუჭება?

კერძო სიმდიდრეების დაგროვებისაგან ქვეყანა დიდად არ ხდება. მიწადმოქმედი მოსახლეობის გადაქცევა სამრეწველოდ ასევე არ უწყობს ხელს ქვეყნის სიდიადეს. ქვეყანა დიადი ხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაპოვარი ნაწილდება მოსახლეობის რაც შეიძლება უფრო ფართო წრეებში და ყველაზე უფრო სამართლიანი გზით ხალხის შრომისუნარიანობისა და მისი შემოსავლის წყაროების ფრთხილი და გონივრული განვითარების დროს.

საგარეო ვაჭრობას ბევრ ცდომი-

ლი ვაჭრები და სომხები წარმოადგინა, ხოლო ფენოგენოვმა, მაღალმა, ჩაფსკვნილმა, შავთვალება, შუბლშეკრულმა მალოროსმა, რომელიც პასპორტში გვარად ჭნიში იყო, „საპარადო შემოსასვლელთან“ და „ყოფნა არ ყოფნა“ წაიკითხა. ლიმონადოვმა თვალებზე ცრემლმორეულმა მოუთხრო მსმენელებს, თუ როგორ შეხვდა ის ყოფილ გუბერნატორს, გენერალ კანიუჩინს. პოლიციის უფროსი მოწყენილი უსმენდა და უდარდელად იღიმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიმონადოვს შეტრუსული ფრთების სუნი ასდიოდა, ხოლო ფენოგენოვს სხვისი ფრაკი და ქუსლმოღრეცილი ჩექმები ეცვა, ის კმაყოფილი იყო. მის ქალიშვილს მსახიობები მოსწონდა და მხიარულებას გვრიდნენ. მამისთვის კი ეს სავსებით საკმარისი გახლდათ. ხოლო მაშას თვალი ვერ მოეწყვიტა მათთვის.

ასეთი ჭკვიანი, არაჩვეულებრივი ადამიანები არასდროს ენახა. საღამოს მამა და შვილი კვლავ თეატრში იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ კი მსახიობები ისევ სადილობდნენ უფროსებთან. და აქედან მოყოლებული თითქმის ყოველდღე დაიწყეს პოლიციის უფროსის სახლში ხან სადილად და ხან კიდევ საუზმეზე სიარული.

და მაშა კიდევ უფრო მეეჯაჭვა თეატრს, ყოველდღე დადიოდა წარმოდგენებზე.

მას ტრაგიკოსი ფენოგენოვი შეუყვარდა. ერთ მშვენიერ დილას, როცა პოლიციის უფროსი მღვდელმთავრის დასახვედრად წავიდა, ის ლიმონადოვის დასის წევრებთან ერთად გაიქცა და გზაზე ჯვარი დაიწერა შეყვარებულზე. როცა ქორწილი გადაიხადეს, მსახიობებმა, გრძელი, მგრძნობიარე წერილი გამოუგზავნეს პოლიციის უფროსს. წერილს ყველა ერთად ხელს აწერდა.

— შენ მას მოტივები, მოტივები აუხსენი! — ეუბნებოდა ლიმონადოვი ვოდოლაზოვს, კარნახობდა რა ტექსტს. — მოწიწება გამოხატე. ჩინებს დახარბებულ ხალხს უყვარს ასეთი რამ. იმისთანა რამეები დაწერე, თვალებზე ცრემლი მოადგეს.

ამ წერილზე პასუხი ძალზე უნუგეშო გამოდგა. მამამ ხელი აიღო შვილზე, რომელიც, როგორც იგი წერდა, მისთხოვდა: „სულელ, უსაქმოდ მოყიალე, გაურკვეველი საქმიანობის ხოხოლს“.

მეორე დღეს, როცა ეს პასუხი მოვიდა, მაშა წერდა:

„მამა ის მცემს! გვაპატიე!“

ის სცემდა მას. ერთხელ ლიმონადოვის, მრეცხავისა და ორი გამნათებლის თანდასწრებით სცემა. ფენოგენოვს კი კარგად ახსოვდა ჯვრისწერამდის ოთხი დღით ადრე, საღამოს მსახიობებთან ერთად რომ იჯდა ტრაქტირ „ლონდონში“ და მაშაზე საუბრობდნენ. დასის წევრები რისკზე წასვლას ურჩევდნენ, ხოლო ლიმონადოვი თვალებზე ცრემლმორეული არწმუნებდა:

— ამგვარი შემთხვევის ხელიდან გაშვება სისულელეა. ამდენი ფულისთვის არა თუ ცოლის შერთვა, ციმბირში წასვლა შეიძლება! ცოლს როცა მოიყვან, საკუთარ თეატრს ააშენებ და შენს დასში ამიყვან. იმ დროს მე კი არა, შენ იქნები მთავარი.

ფენოგენოვს ახსოვდა რა ყველაფერი ეს, ახლა მუშტებს კუმშავდა და ბუტბუტებდა:

— ფულს თუ არ გამომიგზავნის, დავანაფოტებ. ეშმაკმა დამფლითოს, თუ ვინმეს მოვატყუებინო თავი.

ერთი საგუბერნიო ქალაქიდან დასმა ფარულად, მაშას გარეშე დააპირა წასვლა, მაგრამ მან გაიგო და სადგურში მეორე ზარის შემდეგ, როცა მსახიობები ვაგონში ისხდნენ, მაშინ მოირბინა.

— მამაშენისაგან შეურაცხყოფილი ვარ! — უთხრა მას ტრაგიკოსმა, — ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია. ხოლო მაშამ, მიუხედავად იმისა, რომ ვაგონში ხალხი იყო, თავისი პატარა ფეხები მოხარა, მის წინ მუხლებზე დაეშვა და მუდარით გაიშვირა ხელები.

— მე თქვენ მიყვარხართ! ნუ გამაგდებთ კონტრატი ივანიჩ, — ეხვეწებოდა ის. — თქვენს გარეშე არ შემიძლია ცხოვრება!

შეისმინეს მისი მუდარა და ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ მიიღეს დასში „მადამ გრაფინიას“ ამპლუაში, — ასე უწოდებდნენ მსახიობებს, რომლებიც სცენაზე გამოდიოდნენ და უსიტყვო როლებს ასრულებდნენ. დასაწყისში მაშა მოახლეებისა და პაჟების, ხოლო შემდეგ, ლიმონადოვის დასის თაიგული, ქალბატონი ბეობახტოვა რომ გაიქცა, მის როლს ასრულებდა. ის ცუდად თამაშობდა. ლაპარაკის დროს ჩლიფინებდა და მოთქვამდა. თუმცა სცენას ჩქარა შეეჩვია და ბევრ მაყურებელსაც მოსწონდა. ფენოგენოვი კი მუდამ უკმაყოფილო იყო.

— განა მსახიობია? ამბობდა ის, — არც ფიგურა, არც მანერა. სისულელეა და მეტი არაფერი...

ერთ-ერთ საგუბერნიო ქალაქში ლიმონადოვის დასი შილერის „ყაჩაღებს“ უჩვენებდა. ფენოგენოვი ფრანცის როლს ასრულებდა, მაშა — ამალიას. ტრაგიკოსი ყვიროდა და ცახცახებდა. მაშა თავის სიტყვებს კარგად შესწავლილი გაკვეთილივით წარმოთქვამდა და პიესა ჩაივლიდა ისე, როგორც ჩაუვლიათ საერთოდ პიესებს, ერთი სკანდალური ფაქტი რომ არ მომხდარიყო. ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა პიესის იმ ადგილამდის, სადაც ფრანცი სიყვარულს უხსნის ამალიას, ხოლო მან ფრანცის დაშნას უნდა სტაცოს ხელი. მალოროსმა დაიყვირა, დაისისინა, აცახცახდა, თავისი ძლიერი ხელები მოუჭირა ამალიას და ჩაიხუტა. ხოლო მაშას იმის ნაცვლად, რომ ხელი ეკრა მისთვის და ეყვირა „შორს“, როგორც ჩიტი აკანკალდა და გაინაბა, თითქოს გაქვავდა.

— შემიბრალეთ! — ჩასჩურჩულა მან ყურში, — შემიბრალეთ! მე ისე უბედური ვარ!

— როლი არ იცი! სუფლიორს მოუსმინე! — წაისისინა ტრაგიკოსმა და ხელში დაშნა მიაჩეჩა.

სპექტაკლის შემდეგ ლიმონადოვი და ფენოგენოვი სალაროსთან ისხდნენ და საუბრობდნენ.

— შენი ცოლი როლებს რომ არ სწავლობს, ამაში სწორი ხარ, — ამბობდა ანტრეპრენერი — თავისი ფუნქცია არ იცის... ყოველ ადამიანს კი თავისი ფუნქცია აქვს... და მას ეს არ ესმის.

ფენოგენოვი უსმენდა, ოხრავდა და სულ უფრო და უფრო იღუშებოდა.

მეორე დილით ადრე, მაშა წვრილმანი მოვაჭრის ფარდულში იჯდა და წერდა:

— „მამა, ის მცემს! გვაპატიე! გამოგვიგზავნე ფული!“

თარგმნა თამაზ კიკიანმა.

ლებამდე მივყავართ. უნდა ვისურვოთ, რომ ყოველმა ერმა ისწავლოს, რამდენადაც შესაძლებელია, თითონ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები. იმის მაგივრად, რომ მივისწრაფოდეთ, დავამყაროთ სხვა ერების დამოუკიდებლობა ჩვენი მრეწველობის პროდუქტებზე, ჩვენ უნდა გვესურვა, რათა ყოველ ერს შეექმნა მტკიცე საფუძველზე დამყარებული თავისი საკუთარი მრეწველობა და საკუთარი კულტურა. როცა ყოველი ერი ისწავლის აწარმოოს ის ნივთები, რომელთა წარმოებაც მათ ძალუძთ, მაშინ ჩვენ თანდათანობით შიშველი ვიქამდე, რომ ერთმანეთს გავუწევთ საშსახურს იმ სპეციალურ დარგებში, სადაც კონკურენცია არ არის. ჩრდილოეთის ზღვიერი სარტყელი ვერასოდეს ვერ შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ტროპიკების ტროპიკული ქვეყნების პროდუქტებში. ჩვენი ქვეყანა არასოდეს ჩაებმება შეჯიბრებაში აღმოსავლეთთან ჩაის ან სამხრეთთან — რეზინის წარმოებაში.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა მეტწილად ჩვენი საზღვარგარეთელი მყიდველების ჩამორჩენილობას ემყარება. მოტივი, ამ ჩამორჩენილობას რომ კვებავს, არის ეგოიზმი. ადამიანურობა — მოტივია, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ჩამორჩენილ ერებს, მიაღწიონ მტკიცე ბაზისს დამოუკიდებელი არსებობისათვის.

თუ აფრიკის მკვიდრნი საკუთარი ბამბის მოყვანას დაიწყებენ, რუსეთის მოსახლეობა თითონ მოკიდებს ხელს სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებას, ხოლო ჩინეთი თითონ შეძლებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მაშინ, ეს, რასაკვირველია, დიდი ცვლილება იქნება; მაგრამ არის თუნდაც ერთი ჭკვიანი ადამიანი, რომელსაც სერიოზულად სჯერა, რომ მსოფლიოს შეუძლია კიდევ დიდხანს გაძლოს თანამედროვე საწყისებზე, როცა რამდენიმე ერი ამარაგებს მთელ მსოფლიოს? ჩვენ უნდა შევეგუოთ აზრს იმ დროის შესახებ, როცა ყველა ხალხს შეეძლება საკუთარი ძალებით იოლად წავიდეს.

თუ რომელიმე ქვეყანა ძალიან ამაყობს თავისი საგარეო ვაჭრობით, მაშინ იგი, ჩვეულებრივ, სხვისი ნედლეულის შემოზიდვაზეა დამოკიდებული. იგი თავის მოსახლეობას საფაბრიკო მასალად აქცევს, ქმნის მდიდართა ცლასს, უგულებელყოფს რა თავის უახლოეს, სისხლხორცეულ ინტერესებს. შეერთებულ შტატებში ჩვენ ისე ვართ დაკავებული ჩვენი საკუთარი ქვეყნის განვითარებით, რომ კიდევ დიდხანს შეგვიძლია იოლად გავიდეთ საგარეო ვაჭრობის გარეშე. ჩვენი საოფლის მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია, რათა ჯერ კიდევ გამოგვკვებოს ჩვენ, ხოლო ჩვენი სამუშაოს შესასრულებლად ფული ჩვენ ასევე საკმაოდ გვაქვს.

საფრანგეთს შეუძლია მსოფლიოს მისცეს ისეთი რამ, რისი ჩაკვლაც არავითარ კონკურენციას არ შეუძლია; ისევე როგორც იტალიას, რუსეთს, სამხრეთ ამერიკულ შტატებს, იაპონიას, დიდ ბრიტანეთს, შეერთებულ შტატებს. რაც უფრო მალე დავუბრუნდებით სისტემას, რომელიც ბუნებრივ ნიშნზეა დამოკიდებული და სავსებით უარს ვიტყვით სისტემისაგან „წაიღე, რაც შეიძლება“, მით უფრო მალე უზრუნველყოფთ ერების თვითპატივისცემასა და საერთაშორისო შშვიდობას. მცდელობამ — დავიპყროთ მსოფლიო ვაჭრობა, შეიძლება ომი გამოიწვიოს, მაგრამ არასოდეს მიგვიყვანს ეკონომიკურ აყვავებამდე. დადგება დღე, როცა საერთაშორისო ფინანსური წრეებიც კი მიხვდებიან ამას.

თარგმნა მ. ჩიქოვანმა

ჯვარედინი



თარაზულად: 3. რუსი მწერალი. 8. ჯარების საბრძოლო მწყობრის ან მოძრაობაში მყოფი კოლონის ნაწილი. 9. იტალიელი მწერალი. 11. ჭრილობა. 13. აღნიშვნა, რეგისტრირება, ჩაწერა. 14. კერძო სატანვარჯიშო სკოლა ბიჭებისათვის ძველ საბერძნეთში. 15. ცხვრის ჯოგი. 17. სვლების მოფიქრებისათვის საჭირო დროის ნაკლებობა ჭადრაკსა და შაშის თამაშში. 20. ქართველი რეჟისორი და პედაგოგი, ქართული დრამატული სტუდია-თეატრის დამაარსებელი. 23. რუსი საბჭოთა ნოვატორი-პედაგოგი. 25. თეატრალური პიესის, ოპერის ან ბალეტის პირველი წარმოდგენა. 27. ტაჯიკი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 28. შესვენება წარმოდგენებს შორის. 30. წარმოდგენა, გამართული მისი ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად. 32. ჭედადი მოვერცხლისფრო ლითონი. 34. ევროპის სახელმწიფო. 35. საბჭოთა მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი, გრაფ. სეგედის როლის შემსრულებელი კინოფილმ „დათა თუთაშხიაში". 36. საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებ წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება.

ვertიულად: 1. უ. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი. 2. საქართველოს მდინარე. 4. ცხენოსნის შარვალი ძველად. 5. ჰიდროტექნიკური ნაგებობა. 6. პედაგოგი-დემოკრატი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი რუსეთში. 7. აღმოსავლური სევდიანი სიმღერის კილო. 10. ცოდნის, მეცნიერების დარგი, სასწავლო საგანი. 12. თანამედროვე ცეკვა. 15. მოგონილი, შეთხზული რამ. 16. მძიმე ლითონების გოგირდმჟავა მარილი. 18. ძველი რომაელი ხალხების ზედა ტანსაცმელი. 19. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 21. თევზების საჭერი მოწყობილობა. 22. რომელიმე თეატრის მსახიობთა კოლექტივი. 24. უკრაინის საოლქო ცენტრი. 26. ქალაქი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 29. ძაღლების ჯიშის საერთო სახელწოდება. 31. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. 32. სპორტის სახეობა. 33. ვაზის მოკლედ აჭრილი რქა.

შეადგინა გ. ყურდოვანიძემ

მე-6 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პაბლისიტი; 8. კანაფი; 9. ბოროტი; 10. ავიზო; 11. ბრუტო; 12. ისანი; 14. შაბლონი; 17. ხვიჩა; 19. უტილი; 21. რედფორდი; 22. მიგრაცია; 23. ორგია; 26. ძიუდო; 28. ნიგერია; 29. ირემი; 31. კლონი; 32. ლუგა; 34. სტრიპი; 35. კამჩია; 36. აცეტილენი.

ვertიულად: 1. პიანო; 2. ბაია; 3. ინდიელი; 4. იაბო; 5. იარდი; 6. კაზუსი; 7. ატლასი; 11. ბაბტრიონი; 13. იმიტატორი; 15. ამიდოლი; 16. ნუდიზმი; 18. ჩიფსი; 20. ტრაპი; 24. გლერტა; 26. ბენგალი; 27. უტოპია; 30. ირიდა; 31. კომში; 32. ლილე; 33. ამე.

ეროსის რჩევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძსოვარი დროიდან ადამიანები სხვადასხვა ბალახეულობასა და საკვებში ეძებდნენ ვნების აღმძვრელ თვისებებს, რადგან იცოდნენ, რომ ეგრეთ წოდებული აფროდიტეს კერძი ჯანსაღი სექსუალური ურთიერთობის მყარი საწინდარი იყო. იმასაც კარგად ითვალისწინებდნენ, რომ ნაყოვანება არლევეს სულიერ წონასწორობას, ამძიმებს გონებას და აჭკვეითებს ვნებათაღელვას.

თანამედროვე მედიცინაც აღიარებს, რომ ზოგიერთი საკვები შეიცავს ადამიანის ჰორმონების მსგავს ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანში ეროსს აღვიძებს.

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ერი ინდივიდუალურად ირჩევდა აფროდიტეს ამა თუ იმ კერძს. მაგალითად საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XV ფავორიტი მადამ პომპადური ვნების აღსაძვრელად სვამდა ცხელ შოკოლადს ნიახურის ნახარშთან და სურნელოვან ამბრთან ერთად.

ნიახურს, როგორც ვნების აღმძვრელ საშუალებას, ოდითგანვე იყენებდნენ ეროტიული მიქსტურების შემადგენლობაში. დელა პორტა წერდა, რომ ეს გრძნეული ბალახი უნდა ამკობდეს ახლადშეულლებულების საწოლს.

„უჯობესია შეაჯავო ერთი დიდი ხახვი, შენს ბოსტანში მოყვანილი რომელიმე მასტიმულირებელი მწვანილი, რამდენიმე კვერცხი და თაფლი" — წერდა ოვიდიუსი. „სიყვარულის მეცნიერების" და „სასიყვარულო ელეგიების" ავტორი ამ შხამში გულისხმობდა ველურ მდოგვს, რომელიც ძველ რომაელებს ყველაზე ძლიერმოქმედად მიაჩნდათ. რაც შეეხება ხახვს, იგი უთუოდ წითელი უნდა იყოს, ამტკიცებენ იტალიის სამხრეთი პროვინციების პაულიისა და ლიკატას მცხოვრებნი. რომელთა აზრით, ერმა-კვერცხი წითელი ხახვით მათშიც კი აღვიძებს ვნებას, ვისაც იგი კარგა ხანია აღარ აწუხებს.

ამ მხრივ ძველი ბერძნები უპირატესობას ანიჭებენ თოხლო კვერცხს, კაკების ბორცს, ლოკოინას, ღორისჭადას სალათს და ნიახურს. ჰარაკლიდე ტარატელი ამტკიცებდა, რომ „წითელი აფრიკული ხახვი" თუმც მძიმეა გადასამუშავებლად, სამაგიეროდ ყველაზე ნაცადი და საიმედო საშუალებაა.

უახლესმა გამოკვლევებმა დაადასტურა წინაპართა ეს დაკვირვებანი, ხახვი მართლაც ხელს უწყობს ჰორმონალური წონასწორობის შენარჩუნებას და ორგანიზმის გაახალგაზრდავებას. ლაციოში — იტალიის ერთ-ერთ მხარეში ჩატარებულმა გამოკვლევამ, თუ როგორ გავლენას ახდენს კვების ნაირგვარობა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, დაადასტურა, რომ ამ მხარეში მეტია სიცოცხლის ხანგრძლივობა, რადგან იქაური მკვიდრთა ყოველდღიური საკვებია ხახვის სუპი, და პური შემწვარი ხახვით.

„ინტიმური ურთიერთობის წარმატებით წარმართვისათვის საჭიროა ყოველ დილით უზმოზე კვერცხის გულის მიღება, ან სამი დღის მანძილზე ხახვისა და კვერცხის ჭამა და თავად გაგაოცებთ საკუთარი ვნებიანობა", — გვასწავლის XV საუკუნის ერთი კულინარიული წიგნი და მართლაც, ოვიდიუსიდან მოყოლებული დღემდე ყველა მეცნიერი აღიარებს ხახვიანი ტაფამწვარის ეფექტს.

ნაფეაულის ცნობილი ტრაქტატი „არაბული სიყვარულის ხელოვნება" ნეფეს ურჩევს ქორწილის წინ რამდენიმე დღის მანძილზე მიიღოს შემწვარი ხახვი და კვერცხის გული, ხოლო ინდური „კამასუტრა" „სიყვარულის დაუვიწყარი ღამის წინ" ბრინჯის, რძეში მოხარშული ბელურის კვერცხის, შემწვარი ხახვისა და თაფლისაგან დამზადებულ კერძს გვთავაზობს.

გასული საუკუნის ერთი ექიმი წერდა: „თევზი და ზღვის სხვა ძღვენი ყოველთვის ითვლებოდა სიყვარულის ძლიერ მასტიმულირებლად. ცნობილია, რომ ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი მრავალშვილიანობით გამოირჩევიან. ჯერ კიდევ ძველი რომაელები, როგორც „სიყვარულის საუკეთესო საშუალებას", მიირთმევდნენ ზვიგენის ბორცს, კიბორჩხალას, მელანთევზას, ხამანწკას, და სხვა, იმ მიზნით, რომ თევზში ჭარბად არის ფოსფორი, ნივთიერება, რომელიც მეცნიერთა მტკიცებით, აძლიერებს სასიყვარულო პოტენციას.

რა შეიძლება ითქვას ლვინოზე, ანუ სასიყვარულო ინტრიგების აუცილებელ ატრიბუტზე? როგორც ტერენტიუსი ამტკიცებდა, „უბაზუსოდ ვენერა იყინება", მაგრამ საჭიროა ზომიერების გრძნობა, განსაკუთრებით მამაკაცებისათვის, რადგან ერთმა ზედმეტმა ჭიქამ შეიძლება დაანგრიოს კოშკი, რომელსაც ასე გულისთქმით აგებს იგი.

იტალიური ჟურნალი „ეი ეი პიუ"

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე:
პური ჩვენი არსობისა. ფოტო თენგიზ ფურცხვანიძისა. გარეკანის
მესამე გვერდზე: „სამადლობელი" ფოტო იური რიდალოვისა.

გადაეცა წარმოებას 29. 05. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 07. 90. უე 08052. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღრიცხვო-ხელმოსაწერი თაბახი 5,69. ტირაჟი 54.500. შეკვეთა 1244. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული ფასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდ.ეაქსი 76056 6 57/90

ეროვნული ბიბლიოთეკა